

სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



# შრომები

Т Р У Д Ы

ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XXII

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского Государственного Университета им. Сталина

თ ბ ი ს ს ი

1942

დაიბეჭდა სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის  
დ. ყიფშიძის განკარგულებით

პ/მგ. რედაქტორი დ. ყიფშიძე

ტირაჟი 300

ხელმოწერილია დასაბ. 25/V-1942 წ.

ზე 7135

სტ. შეკვ. № 557

ზომა 7×11=50000

სასტ. ფორმ. რაოდ. 7<sup>3</sup>/<sub>4</sub>. საავტ. 8<sup>1</sup>/<sub>2</sub>.

სტალინის სახელ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომც. სტამბა, მარის ქ. № 1.



## შინაარსი

### ენათმეცნიერება

1. გ. ახვლედიანი, როგორ ეძებენ დოიჩლანდის გერმანელი ფაშისტები თავიანთ „წინარესამშობლოს“ . . . . . 1

### ისტორია

2. ერ. ბურჭულაძე, ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაცია . . . . . 13

### ფსიქოლოგია

3. დ. უზნაძე, ზოგი რამ ფაშიზმის „თეორიებიდან“ . . . . . 39  
4. დ. ასათიანი, ეიდეტის რასული ინტერპრეტაციის სიყალბე . . . . . 51

### პოლიტიკური ეკონომია

5. И. Талахадзе, Политическая экономия фашизма . . . . . 59

### ზოოლოგია

6. Г. Кокочашвили, К вопросу о присутствии в водах Грузии украинской миноги *Lampetra mariae* Berg . . . . . 85

### ქიმია

7. В. Хухия, Иод, бром и хлор в природных водах Грузии . . . . . 93

### ასტრონომია

8. შ. გორდეღაძე, იონიზაცია ვარსკვლავთა განფენილ ქრომოსფეროებში . . . . . 105

### მათემატიკა

9. В. Челидзе, О независимости трехмерного поверхностного интеграла от поверхностей интегрирования в четырехмерном пространстве . . . . . 119



## ОГЛАВЛЕНИЕ

1. Г. Ахвледиани, Немецкие фашисты и вопрос о „прародине“ германцев . . . . .	1
2. Ер. Бурчуладзе, Фашистская фальсификация истории . .	13
3. Д. Уznaдзе, Из „теорий“ фашистов . . . . .	39
4. Д. Асатиани, К вопросу о расовой интерпретации эйдетизма . .	51
5. И. Талахадзе, Политическая экономия фашизма . . . . .	59
6. Г. Кокочашвили, К вопросу о присутствии в водах Грузии украинской миноги <i>Lampetra mariae</i> Berg . . . . .	85
7. В. Хухия, Иод, бром и хлор в природных водах Грузии . .	93
8. Ш. Горделадзе, Ионизация в протяженных хромосферах . .	105
9. В. Челидзе, $\Phi$ независимости трехмерного поверхностного интеграла от поверхностей интегрирования в четырехмерном пространстве . . . . .	119

## SOMMAIRE

1. G. Akhvlediani, Les fascistes allemands et la question de „la patrie primitive“ des germains . . . . .	1
2. Erm. Bourtchouladzé, La falsification fasciste de l'histoire . .	13
3. D. Ouznadzé, A propos de quelques „théories“ de fascistes . .	39
4. D. Assathiani, Sur la question de l'interprétation raciste, de l'éidétisme . . . . .	51
5. И. Talakhadzé, L'économie politique chez les fascistes . .	59
6. G. Kokotshashvili, To the question about the presence of the Ukraine lamprey, <i>Lampetra mariae</i> Berg, in the rivers of Georgia . . . . .	85
7. V. Khoukhia, Iode, brome et chlore dans les eaux naturelles de Géorgie . . . . .	93
8. Ch. Gordéladzé, Ionisation dans les chromosphères étendues . .	105
9. V. Tchélidzé, Sur l'indépendance de l'intégrale superficielle à trois dimensions des surfaces d'intégration dans l'espace à quatre dimensions . . . . .	119



3. ახგვადინანი

როგორ ეძებენ დოიჩლანდის გერმანელი უაზისტები  
თავიანთ „წინარესაშროგლოს“

1. შოგინისტური ტერმინები: „ინდო-გერმანული“ და „არიული“

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დამდეგიდან 40-იან წლებამდე და-  
ბტკიცდა სრულიად დამარწმუნებლად, რომ ურთიერთ მონათესავენი არიან ენათა  
შემდეგი ჯგუფები და ენები: ძვ. ინდური, ძვ. ირანული, სომხური—აზიაში, ძვ.  
ბერძნული, ლათინური, ალბანური, გერმანული, კელტური; ბალტური და სლავ-  
ური—ევროპაში; ამათივე მონათესავე აღმოჩნდნენ (XX საუკ. დამდეგს) აგრე-  
თვე ტოქარული ენა აღმოსავლეთ თურქესტანში და ხეთური ენების ნაწილი  
მცირე აზიაში<sup>2</sup>. ჩამოთვლილ ენათა ერთმანეთთან ნათესაური ურთიერთობის  
აღსანიშნავად ისინი ჩათვლილ იქნენ ერთი ოჯახის, სახელდობრ—ინდო-  
ევროპულ ენათა ოჯახის წევრებად.


<sup>1</sup> Deutschland-ს უმჯობესია ვებახდეთ არა „გერმანია“, არამედ დოიჩლანდი, ხოლო deutsche Sprache-ს დოიჩლანდური ენა და არა „გერმანული“. პოლიტიკური ცნებაა დოიჩლანდი და არა გერმანია. ამდენად უფრო თანამიმდევრულია, მაგ. უკრაინული Німеччина, ფრანგ. Allemagne, ესპ. Alemania, ვიდრე რუს. Германия, ქართ. გერმანია და სხვ. გერმანული შესაძლებელია იყოს მეციქონსა, დანიისა ან ნორვეგიის, ისე როგორც დოიჩლანდის; ტერმინები „გერმანია“, „გერმანული“, „გერმანელი“ ამ ხალხთა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ერთიანობის მნიშვნელობით არც არასრდეს არსებულა და არც იარსებებს, მიუხედავად ბანგერმანისტებისა და მათი ნახალარა დოიჩლანდის ჟაჟისტ გერმანელთა ოცნებისა.

<sup>2</sup> ძველი ინდურის განვითარებას წარმოადგენენ ახალი ინდური ენები (ჰინდი, ბენგალი, ფანჯაბი, გუჯარათი, მარათი და რამდენიმე სხვა). ძვ. ირანული განვითარებას—ახალი ირანული ენები (სპარსული, ქურთული, ავღანური, ოსური და სხვა), ლათინურის განვითარებას—ე წ. რომანული ენები (იტალიური, ფრანგული, ესპანური, რუმინული და სხვ.), გერმანული ისა—ისლანდური, ნორვეგიული, დანური, დოიჩლანდური („გერმანული“), პოლანდიური, ინგლისური; კელტური ენები—ველსური, ირლანდური, შოტლან-









აქედანაა, სხვათა შორის, საშ.-ირან. *ērān* და დღევანდელი ირან (*ārya-nān* „არიათა“ [ქვეყანა]—მრავლ. რიცხვ. ნათეს. ბრუნვა). არა-ს ეძახდნენ თავისთავს მხოლოდ ინდოელ-ირანელები, როცა ისინი, როგორც დამპყრობელნი („კეთილშობილნი“) კულტურულ-ენობრივად დაუპირისპირდნენ დაპყრობილებს— ინდოეთ-ირანში მოსახლე პირვანდელ ტომებს. მხოლოდ ამდენად აქვს ერთგვარი გამართლება ტერმინს „არიელი“, „არიული“; და, მართლაც, დღეს მეცნიერებაში იხმარება „არიული“ მხოლოდ „ინდო-ირანულის“ მნიშვნელობით. აქედან გამომდინარეობს შედარებით უფრო სწორი მეოთხე ტერმინი „არიო-ევროპული“, ე. ი. „ინდო-ირანულ-ევროპული“, მაგრამ მას დიდი გავრცელება არ ჰქონია.


თუ მოვიგონებთ, რომ იმთავითვე იგულისხმებოდა შემცდარი აზრი, თითქოს ენობრივი ერთიანობა უდრიდეს ეთნიურს, გასაგები ვახდება, თუ რატომ შემოიღეს შოვინისტმა მეცნიერებმა და რატომ გავრცელდა ტერმინები „არიული ენები, არიული ხალხები, არიული რასა“: ევროპელთა პატივმოყვარებას ელამუნებოდა არცა სიტყვის მნიშვნელობა („კეთილშობილი, უკეთესი“); თითქოს თვით სიტყვა მოწმობდა „არიული“ ენებისა და „არიელ“ ხალხთა უპირატესობას სხვა ენებთან და ხალხებთან შედარებით. ამ ტერმინშიც გამომჟღავნდა გარკვეული შოვინიზმი.

როგორც ცნობილია, ყველას შეუძლია თავისთავს „კეთილშობილი“, „უკეთესი“ უწოდოს, მაგრამ ისიცაა ცნობილი, რომ ობიექტურად ყოველთვის ეს მართალი არაა, მეტადრე მაშინ, როდესაც ხაზგასმითა და დაჟინებით აღნიშნავენ ხოლმე თავის „კეთილშობილებას“; ამას იმისათვის სჩადიან, რათა თავის არაკეთილშობილურ საქმეს კეთილშობილური სიტყვა გადააფარონ.

თავისთავად გასაგებია, რომ იმის შემდეგ, რაც ამ ტერმინმა დაჰკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, მას როგორც ტექნიკურ ტერმინს ხმარობდნენ სრულიად პატიოსნად და თანამიმდევრულად მოაზროვნე მეცნიერებიც. მათზე ჩვენ არაფერი გვეთქმის.

დოიჩლანდის პანგერმანისტებმა და მათმა ნაბოლარა ფაშისტებმა გამოიყენეს ტერმინები „ინდოგერმანულიც“ და „არიულიც“—პირველი, უმთავრესად, ენებისათვის („ინდო-გერმანული ენები“), ხოლო მეორე, უმთავრესად, რასის აღსანიშნავად („არიული რასა“, ე. ი. „კეთილშობილური რასა“), გააიგივეს რა ენობრივი და რასული ცნებანი. მაგრამ ურცხვმა ფაშისტებმა სრულ აბსურდამდე მიიყვანეს შემცდარი ტერმინის მნიშვნელობა: თუ არიული ან არიულ-ევროპული ერქმეოდა ინდოევროპულს, მაშინ სადღა გამოჩნდებოდა დოიჩლანდელი ფაშისტების უპირატესობა სხვა ევროპელთან? „არიელი“ ბევრია; ამიტომ საჭირო გახდა პანგერმანისტებისა და ნაძირალა ფაშისტებისათვის გამოჩეულიყვენ სხვა არიელთაგან: ამისათვის შეთხზეს თეორია „სუფთა არიელების“ შესახებ და ასეთებად, რა თქმა უნდა, ჩასთვალეს პირველ რიგში დოიჩლანდელები, შემდეგ—სხვა გერმანელი ხალხები (სკანდინავიელები), ხოლო დანარჩენი ინდოევროპელები აღმოჩნდნენ „არასუფთა სისხლის არიელები“. თუ რა სამსახურისათვის იყო განკუთვნილი მეცნიერების ასეთი გაყალბების ცდა, ეს დღეს მთელმა მსოფლიომ კარგად დაინახა. მაგრამ ყოველთვის როდი იყო (და როდი





ინდოევროპელები რასულად ერთიდაიგივეაო (ლინდენშმიდტი, ლენი, ჰირტი, მუხი, კოსინა და სხვები).

„ინდოევროპელთა“ „წინარესამშობლოს“ საკითხის ისტორია მოკლედ ასეთია:

ურყევ დებულებად მიიღეს, რომ არსებობდა ერთი ინდოევროპული ენა, მაშასადამე, არსებობდა მასზე მოლაპარაკე ერთი მთლიანი ხალხიც; გამოსარკვევი იყო, ენობრივი მონაცემების გზით, ამ ხალხის კულტურისა და ცივილიზაციის დონე, მისი „წინარესამშობლოს“ ადგილმდებარეობა. ამ დებულების უმართებულებაზე ზემოთ იყო მითითებული.

თუ როგორი მეთოდებით ამტკიცებდნენ, მაგ., ინდოევროპელთა „წინარესამშობლოს“ აზიურობას, რასაც თითქმის არაფერ ეწინააღმდეგებოდა XIX საუკუნის 50—60-იან წლებამდე, ჩანს ე. წ. „არყის ხის არგუმენტიდან“, რომელიც ჯერ კიდევ კლაპროთმა მოიყვანა 1830 წ. და რომელიც დღემდის არაა ლიკვიდირებული: ინდოელები მოსულნი არიან ჩრდილოეთიდან, საიდანაც გამოვიდნენ სხვა ინდოევროპელებიც და სადაც მათ ჰქონდათ საერთო სიტყვა არყის ხისათვისო. ეს სიტყვა შემონახულია სხვადასხვა სახით თითქმის ყველა ი. ე. ენაში; ეს ერთადერთი ხის სახელია, რომელიც მეორდება მათში კანონზომიერი შესატყვისობით: სანსკრ. bhūjah, ლიტვ. bėzas, ძვ. პრუს. berse, ძვ. სლავ. brъza, რუს. береза, ოსური bārz, ძვ. ზემო გერმ. birihha, დოიჩლანდ. Birke. ეს ხე იზრდება ჰიმალაის სამხრეთით. როცა ინდოელები მოვიდნენ ახალ სამშობლოში, მათ აქ ვერ იპოვეს ვერც ერთი სხვა ხე, რომელსაც ჩრდილოეთშიც იცნობდნენო.

ახლა ვიცით: არყი გავრცელებულია უმთავრესად აღმოსავლეთ ევროპაში და სამხრეთ ციმბირში. ჩრდილო ევროპაში ყველგანაა იგი, მაგრამ ძირითადად იგი გავრცელებულია ვისლას აღმოსავლეთით და ციმბირში. გარდა ამისა, ამ სიტყვასთანაა დაკავშირებული რუს. берест თელა, ძვ. სლავ. brъstъ, ლათ. fraxinus და farnus იფანი, იფნისა; თუ დაეუმატებთ, რომ ყველა ამ სიტყვის ძირის მნიშვნელობაა „თეთრი, მბრწყინავი“ (სანკრ. bhrajate „ბრწყინავს, აშუქებს“, ბერძნ. φειράν, ალბ. barz, გუთ. bairhts, კიმრ. berth, „თეთრი, ბრწყინვალე“, ძვ.-სლ. brъzъ „განთიადი“, ლატ. brēsko „თენდება“), გამოირკვევა, რომ ეს სახელი შესაძლოა რქმეოდა ყველა თეთრ ხეს<sup>1</sup>. მაშასადამე, „არყის საბუთი“ არ გამოდგება „წინარესამშობლოს“ ადგილის გამოსარკვევად.

მოიყვან ანალოგიურ ნიმუშს—ისევ ხის სამყაროდან—იმავე „წინარესამშობლოს“ საკითხისათვის, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო მიზნისათვის—„წინარესამშობლოს“ ევროპულობის დასამტკიცებლად—გამოყენებულს. ესაა „წიფლის არგუმენტი“:

გერმ. Buche, ძვ. ზემო გერმ. buohha, ძვ. ჩრდ. bōk, ამათ უდრის ლათ. fāgus „წიფელი“ და ბერძნ. φηγός „მუხა“, აგრეთვე ქურთ. bīz „თელა“, რუს. дуб, дубина. აქედან დაასკნინან, რომ ინდოევროპელები ცხოვრობდნენ წიფლის ტყეების არეში. ასეთია კონიგსბერგ-ყირიმის ხაზის დასავლეთით

<sup>1</sup> A. Brückner (Feist-თან, Indogermanen und Germanen, შენ. 33 გვ.).



(დანიამი წიფელი შესულია ბრინჯაოს ხანაზე არა უადრეს). მასსადამევედრომ<sup>1</sup> ევროპელების „წინარესამშობლო“ ამ ხანის დასავლეთით და დანიის სამხრეთით უნდა ყოფილიყო. თუ ამ შესიტყვებიდან გამოვრიცხავთ ქურთ., რუს. და ბერძნულს (ქსენი კი გამოსარიცხია, ვინაიდან სულ სხვა ხეს ჰქვია), საბუთი უქმდება, თუ არ დავუშვებთ, რომ მათი მნიშვნელობები ახალია; ასეთი დაშვება კი იმდენად ასუსტებს საბუთს, რომ „წინარესამშობლოს“ საკითხისათვის ეს არგუმენტი გამოუსადეგარია.

შედარებითმა ინდოევროპულმა ენათმეცნიერებამ დიდძალი მასალა დაგროვა 40—50-იანი წლებისათვის, მასალა, რომლის გამოყენება შესაძლებლად დაინახეს „ინდოევროპელი“ ხალხის პრეისტორიული კვლევისათვის; კერძოდ — „წინარესამშობლოს“ საკითხის გადასაწყვეტად. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ცდებს წარმოადგენს ა. კუნისა (Kuhn) და ა. პიქტეს (Pictet) და სხვათა შრომები. მეტადრე დიდი (მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, სრულიად დაუმსახურებელი) სახელი გაითქვა პიქტეს შრომამ *Les origines\* Indo-européennes*. 1859—63, 1877<sup>2</sup>, რომელშიც წარმოდგენილია „ინდოევროპელთა პირვანდელი სამშობლო“ ძველი ბაქტრიის სახით. იმ ლექსიკური მარაგის საფუძველზე, რომელსაც პიქტე თვლიდა „ინდოევროპელთა“ ერთიანობის ხანის მათ საერთო მარაგად, მან დაასკვნა „ინდოევროპელთა“ სრულიად დაუჯერებელი მაღალი კულტურა: მწყემსი და მიწათმოქმედი ხალხი, რომელიც იცნობს თითქმის ყველა ლითონს (და ხმარობს კიდევ), ჰყავს მას თითქმის ყველა შინაური ცხოველი, ავადმყოფობა მან არ იცის და ასე შემდეგ... არ იყო გათვალისწინებული სიტყვის მნიშვნელობის ცვლა დროთა განმავლობაში, არ იყო გათვალისწინებული სიტყვათა ნახესხებობა, ცალკეულ ენათა გრამატიკული სტრუქტურა და მრავალი სხვა. მაგ., პიქტემ შეამჩნია, რომ ძვ. ინდ. *pur-*, ძვ. ბერძნ. *πῦρ* და ლიტვური *pilis*, „ქალაქი“—ერთი და იმავე სიტყვის სხვაობა; აქედან მან დაასკვნა, რომ პირველყოფილ „ინდოევროპელებს“ ქალაქები ჰქონდათო. ნამდვილად კი ეს სიტყვა ნიშნავდა „გამაგრებულ ადგილს“, რაც ჩანს ბერძნ. *ἀκρόπολις*-იდან.

ასეთ ფანტასტიკურ პრეისტორიულ ძიებას ბოლო მოუღო ვიქტორ ჰენის (V. Hehn)<sup>1</sup> შესანიშნავმა შრომამ „კულტურული მცენარეები და შინაური ცხოველები“... 1870, 1911<sup>8</sup>, რომელმაც ურყევად დაამტკიცა, რომ არ შეიძლება ასეთი საკითხები გადაწყდეს მხოლოდ ლინგვისტური გზით: აუცილებელია ასეთი კვლევა წარმოებდეს ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინებით. და მართლაც, საერთოდ, ამ გზით წავიდა „ინდოევროპელთა“ პირველყოფილი კულტურის კვლევა (შრადერი, ფაისტი, პირტი...). 80-იან წლებიდან ამ მიმართულებით ყველაზე მნიშვნელოვანი შრომები დასწერა ო. შრადერმა. მან საერთოდ გაიზიარა ჰენის მეთოდოლოგია, მაგრამ ინდოევროპელთა „წინარესამშობლოს“ საკითხის კვლევისას სხვა შედეგი მიიღო. ჰენი იმდენად დამტკიცებულად თვლიდა „აზიურ თეორიას“, რომ მხოლოდ ირონიულად თუ

<sup>1</sup> დაბადებულია დორპატში, იყო საზ. სკოლის მასწ. პერნოვში, ხოლო შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელი ყოფ. პეტერბურგში.





მოიხსენიებდა ხოლმე „ევროპული თეორიის“ არსებობას; „აზიურმა თეორიამ“ მან უკრიტიკოდ მიიღო. შრადერიმა კი კრიტიკულად შეხედა ტრადიციულ შეხედულებას „საერთოდ ადამიანის აღმოსავლური წარმოშობის“ შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინდოევროპელთა „წინარესამშობლო“ უფრო დასავლეთში უნდა არსებულიყო, ვიდრე აღმოსავლეთშიო. შრადერი მივიდა ამ დასკვნამდე შემდეგი საბუთიანობით: არაა მართალი, თითქოს აღმოსავლური ი.-ე. ენები მეტადაა ძველი, ვიდრე დასავლური ი.-ე. ენები; პირიქით, ზოგჯერ დასავლურებში მეტი სიძველე ჩანს, ვიდრე აღმოსავლურებში; ერთ ენაზე მოსაუბრე ხალხი ან ხალხები შესაძლებელია ცხოვრობდეს უზარმაზარ ტერიტორიაზე და ენობრივი ერთიანობა დაცული ჰქონდესო (ანატოლიელს უკეთ ესმის იაკუტელის ენა, ვიდრე შვეიცარიელს საქსონელისო). ნახევრადმომთაბარე ხალხის გამოსაკვებად საჭირო იყო ძლიერ ფართო სივრცეო.

ო. შრადერი მრავალ ანთროპოლოგიურ, არქეოლოგიურ და ლინგვისტურ მასალაზე დაყრდნობით შესაძლებლად ცნობს დაადგინოს პირველყოფილ ინდოევროპელთა სამყოფი შემდეგ საზღვრებში: მეტ-ნაკლები სიფართოვის ზოლი ჰინდუკუშიდან შუა ევროპამდე (რინამდე), მთავარი მასივი კი უნდა ყოფილიყო შავი ზღვის ჩრდილოეთით, რუსეთის (უკრაინის) სტეპებში.


დღეს ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე მრავალრიცხოვანი და უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებული ხალხების საერთო წინარესამშობლოს ძიება, რა თქმა უნდა, სრულიად უიმედოა, მეტადრე ისეთ მცირე ტერიტორიაზე, როგორც ეს წარმოდგინათ აზიისა და როგორც წარმოუდგენიათ ევროპის ჰიპოთეზის დამცველებს. სრულიად აშკარაა, რომ ათასეული წლების განმავლობაში წინათ სხვა ენებზე მოლაპარაკე და სხვა წარმოშობის ხალხებიც ითვისებდნენ ი.-ევროპულ ენებს. ამიტომ შეუძლებელია იძიებოდეს საერთო სამშობლო, და ისიც მცირე ტერიტორიაზე, სხვადასხვა წარმოშობის ხალხთა.

იმ სამი მთავარი ჰიპოთეზიდან, რომელთაგან პირველი აზიის გარკვეულ ადგილს გულისხმობს, მეორე—ევროპისას და მესამე—აზიასა და ევროპას შორის ვრცელ ტერიტორიას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მესამეს—შრადერის თეორიას.

### 3. გერმანელთა „წინარესამშობლოს“ საკითხი

ზემოთ უკვე მოვიყვანეთ „წიფლის არგუმენტი“, რომელიც დღემდე ძალაშია ევროპის ჰიპოთეზის დამცველთათვის. იქვე ისიც ვნახეთ, თუ რა სიძლიერისაა ეს არგუმენტი. ასეთივე „სიძლიერის“ არგუმენტებია სხვაც, და ამიტომ ეს ჰიპოთეზა ითვლება ყველაზე უფრო სუსტად (სხვათა შორის, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ „წიფლის არგუმენტს“ ჩრდილო გერმანიის ჰიპოთეზის დამცველნიც—იხ: Helmut Arntz, Germanen und Indogermanen, 28, 1936). აღვნიშნავ თუნდაც „ორაგულის არგუმენტს“: ძვ.-ზემო დოიჩ. lahs, დოიჩლ. Lachs, რუს. лосось, ლიტვ. lašiša, ძვ. პრუს. lasasso, ლატვ. lasis. აზიის ი.-ევრ. ენებში ეს სიტყვა არ გვხვდება, მხოლოდ დასავლურია იგიო. ეს თევზი მხოლოდ ისეთ მდინარეებშია, რომლებიც ჩრდილო ზღვებში მიმდის.





ნარეობენო. მაგრამ უმტყუნა ბედმა ამ ჰიპოთეზის ავტორს: ეს სიტყვა წინდა ტოქარულში—შუა აზიაში: Iaks „თევზი“ (ტოქარული—ახლად აღმოჩენილი ენაა, თითქოს ამ „არგუმენტის“ გასაუქმებლად!).

ამიტომ ამ „თეორიაზე“ არ შევჩერდებოდით დიდხანს, რომ შუა ევროპა არ შეეზღუდათ ჩრდილო დოიჩლანდით ინდოევროპელთა „წინარესამშობლოს“ მოსათავსებლად და რომ არ დაესკვნათ აქედან დოიჩლანდელთა ყოველგვარი უპირატესობა უცნობ წარსულში და ამის გამო აწმყოშიც და მომავალშიც.

არა თუ პრეისტორია, არამედ დამოწმებული ისტორიაც ვერას ამბობს იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ წარმომობით ე. წ. გერმანელები და მით უფრო დოიჩლანდელები. ამისდა მიუხედავად, დოიჩლანდი გოეთეს და შილდერის მოწინავე ქვეყანა გახდა. მაგრამ გაფაშისტებული დოიჩლანდი დღეს წარმოადგენს ისეთ პირსისხლიან მხეცს, რომელსაც ვერ გაამართლებს და ვერ გადაარჩენს ვერავითარი ბრწყინვალე წარსული და მით უმეტეს—საეჭვო წარსული...

ევროპის „წინარესამშობლოდ“ მიღების ჰიპოთეზა 50-იანი წლებიდან მომდინარეობს: მისი უმთავრესი არგუმენტი ის იყო, რომ „წინარესამშობლო“ იქ უნდა მოეწიხათ, სადაც ი.ე.-თა უმეტესობა იპოვა ისტორიამო (ლათამი). ამ ჰიპოთეზას სერიოზულად დამცველი არ ჰყოლია 90-იანი წლებამდე (შრადერი, როგორც ზემოთ ითქვა, ამ მიმართულებას არ ეკუთვნის), ამ წლებიდან კი ევროპის თეორიას აღმოუჩინდნენ მომხრეები და „თეორეტიკოსები“. ეს ის წლებია, როცა დოიჩლანდის იმპერიაში ჩაისახა ზოგინისტური პანგერმანული მიმართულება (Alldeutsch-ის სახელით) მონოპოლისტური ბურჟუაზიისა და მილიტარიზმის გაძლიერების წიაღში. ამ დროიდან შესცვალეს შუა ევროპა ჩრდილო-დოიჩლანდით „წინარესამშობლოს“ იქ მოსათავსებლად (ჩემბერლენი, ლინდენშმიდტი, ნაწილობრივ ჰირტი.); აქედანვე დაიწყო ენათმეცნიერების ისტორიითურთ გაყალბებაც, რაც მათმა მემკვიდრე ფაშისტებმა სრულ გათახსირებად მიიყვანეს, მეტადრე რასიზმის თეორეტიკოსის ჰანს გიუნთერის „Rassenkunde des deutschen Volkes-ის გამოცვლიდან დაწყებული (1922). საყურადღებოა, სხვათა შორის, რომ ნორდული „წინარესამშობლოს“ დამცველნი თავის Altermumskunde-ში გაურბიან ლინგვისტური მასალის ანალიზს, ხოლო ჰარბად იყენებენ ანთროპოლოგიურ, რასოლოგიურ და არქეოლოგიურ მასალას. ცხადია, იმიტომ, რომ ენათმეცნიერებაში, მისი სიზუსტის გამო, ნაკლებ შეუძლიათ უპასუხისმგებლოდ თარეში. მაგ., თვით რასისტულად განწყობილი Hans Krahe ამხილებს იმავე Hans Günther-ს (Indogerm. Forsch. 1941, 83 გვ.), რომ არ შეიძლება „ინდოგერმანელები“ ყოფილიყვნენ ე. წ. „შურკერამიკ“-ის შემქმნელნი და გამავრცელებელნიო (გიუნთერს კი ამით უნდოდა დამტკიცებია გერმანელთა და ინდოგერმანელთა „წინარესამშობლოს“ იდენტობა): „შურკერამიკ“-ის ხანაში სრულიად ჩამოყალიბებული ცალკეული ენები არსებობსო“, ეუბნება ჰანს კრატე ჰანს გიუნთერს.

საყურადღებოა, რომ გამოჩენილი ენათმეცნიერი ჰირტი, რომელიც 1905—7 წელს (Die Indogermanen) ევროპის ჰიპოთეზის მომხრე კი იყო, მაგრამ „წინარესამშობლოს“ ათავსებდა სამხრეთ დოიჩლანდში, ღუნაის აუზის ჩათვლით, —უკვე 1925 წელს ასეთად აცხადებს ტერიტორიას ოდერსა და ვებერს




შუა, შლეზიგ-ჰოლშტეინს, დანიის კუნძულებსა და სამხრეთ შვეციას (Geschichte der Deutschen Sprache, 49 გვ.). ეს ის ტერიტორიაა, რომელიც ნორდისტ-რასისტებს სურთ თავიანთ პირვანდელ სამშობლოდ.

ჰირტიც ადასტურებს: „გერმანელებისა და ინდოევროპელების სამშობლო ერთია. ათასწლობით სხედან გერმანელები თავიანთ უძველეს მიწაზე, როგორც ტაციტუსი მოწმობს“. თუ ამას დავუმატებთ იმავე ჰირტის შემდეგ აზრს: „ინდოევროპელები არ იყვნენ ბარბაროსები, ყოველ შემთხვევაში, ჩრდილო ევროპა არ იყო ბარბაროსული და ნახევრად ველური... უკვე ქვის ხანაშივე მიაღწიეს მათ (ჩრდ.-გერმანელებმა) მაღალ კულტურას“, ცხადად დავინახავთ, რომ მომხდარა შეთანხმება რასისტ-ნორდისტებსა და ჰირტს შორის: ხუმრობა საქმე არაა, ათქმევინო რაც გინდა ისეთ გამოჩენილ მეცნიერს, როგორცაა Hirt! მაგრამ ვერ ათქმევინეს თავის სასარგებლოდ რასისტებმა აგრეთვე გამოჩენილს, მაგრამ უაღრესად პატიოსნად მოაზროვნე იმავე დოქტორ-დელ Feist-ს, ყოველ შემთხვევაში, 1937 წლამდე. ზედმეტად ვთვლი გავიგეორო აქ Feist-ის მსჯელობის საბუთიანობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ისტორიულ-ლინგვისტურია. ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: თუ რა ღირებულებისაა თუნდაც ჰირტის დებულება „გერმანელები ათასწლობით სხედან თავიანთ უძველეს მიწაზე, როგორც ტაციტუსი ამბობს“, ჩანს შემდეგი ლინგვისტურ-ისტორიული ანალიზიდან.

საკითხი შეეხება სახელწოდებას „გერმანელი, გერმანია“: ერთი მხრით, ლათ. ენაში გვაქვს germanus „ღვიძი“ (ძმა, და), მეორადი მნიშვნელობით „ნამდვილი, ქეშმარიტი“, რომელიც წარმომდგარია germen(-inis)-ისაგან: „კვირტი, ყლორტი“, გადატ. მნიშვნ. „ჩანასახი; შთამომავალი“. აქედან germino, -are „აღმოცენება, ფესვის გადგმა“. მეორე მხრით germani, -orum „ტომი“ და Germania, Germanicus და Germanus. გასაგებია, თუ რატომ სურს თავისი წარსულის განდიდებით გატაცებულ შოვინისტ გერმანელს, ლათინური სიტყვის („ნამდვილი“) მნიშვნელობით იქნას გავებული ისტორიულად მისი სახელწოდება. მართალია, „ნამდვილი“ შეიძლება კარგიც იყოს და ცუდიც, მაგრამ ამის გვერდის ავლა არც ისე ძნელია და მართებულიცაა, რადგან ირკვევა, რომ სიტყვათა ამ ორ ჯგუფს გენეტურად არავითარი კავშირი არა აქვს ერთმანეთთან. ლათინური ჯგუფი სიტყვათა (არა ტომის ან ადგილის სახელი) მშვენიერად შეესატყვისება სხვა მონათესავე ენების მასალას შედგენილობითა და მნიშვნელობით. მაგ., ლათ. germen „კვირტი“. „ჩანასახი“ შეესატყვისება სანკრ. jánman „დაბადება, წარმოშობა“ (მაშ., დისიმილაციით germen germen-ისაგან, როგორც carmen canmen-ისაგან) და სხვ.. რაც შეეხება Germania, germanus, მათი ისტორია სულ სხვაა:

გერმანელები ისტორიაში პირველად (დანამდვილებით!) მოხსენებულია სალუსტიუსის (I ს. ქრ. წინ) მიერ. იულიუს კეისარი ხშირად იხსენიებს და ტაციტუსი ხომ სპეციალურად ასწერს მათ. მაგრამ მათი აღწერილობა მიუთითებს მათ კელტობაზე და არა გერმანელობაზე (როგორც ჩვენ გვესმის დღეს ეს ტერმინი). ერთი სიტყვით, როდესაც ეს ავტორები ლაპარაკობენ გერმანელებზე, მხედველობაში ჰყავთ კელტები. მაგ., კეისარი ამბობს:





Plerosque Belgas esse ortos ab Germanis... (Bell. gall. 2, 4: „მრავალი ბელგი გერმანელთაგან წარმოიშვა“... (ბელგები კი კელტები იყვნენ). სახელწოდება „გერმანელი“ რაინის მარცხენა ნაპირზეც იყო... ბელგები, ნერვიები და ტრევერები თავისთავს თვლიდნენ გერმანელთაგან, ე. ი. რაინის მარჯვენა ნაპირიდან წარმოშობილად. ეს გარემო კი მოფენილია კელტური გეოგრაფ. სახელე-ბით. თვით რაინი კელტურია. სახელწოდება „გერმანელი“ გავრცელებული იყო ესპანეთში და მრავალ სხვა ადგილას, სადაც კი კელტები იყვნენ. მაშასა-ღამე, კიდევ რომ დაეუშვათ, რომ german კელტური არაა, მას მაინც არა-ფერი აქვს საერთო ლათინურ Germanus-თან. მაგრამ ამ სახელწოდების კელ-ტურობა დამარწმუნებლად ირკვევა. სტრაბონის ცნობა: „ამიტომ ვფიქრობ, რომ იმათ (გერმანელებს) რომაელებმა დაარქვეს ეს სახელი (germanus), რად-განაც მათთვის უნდოდათ ეწოდებინათ „ნამდვილი“ გალიელები, ვინაიდან რომ-აულად „ნამდვილი“ ნიშნავს „გერმანელსო“, მართალია, ძალიან სასიამოვნოა შოვინისტ გერმანელთათვის, მაგრამ არ შეიძლება სიმართლეს შეჰფერებოდეს: არც ერთ რომაელ მწერალს არ გაუმეორებია ბერძენი მწერლის ეს ეტიმო-ლოგია. მაშ., ტაციტუსის ცნობები „გერმანელთა“ შეურეელობისა და სხვა მრავალი სიკეთის შესახებ ეკუთვნის რომელიღაც კელტურ ტომს და არა დღე-ვანდელი მხეცი ფაშისტების წინაპრებს. გარდა ამისა, სრულიად აშკარად ირ-კვევა, რომ საერთო სახელწოდება გერმანელ ტომთა არ არსებობდა. შესაძლოა „გერმანია“ ერქვა ადგილს, ხოლო გერმანელი—ამ ქვეყნის ადამიანს, კელტი იყო თუ სხვა ვინმე.

მე არ შეუდგები Germani-ს ეტიმოლოგიურ ანალიზს კელტური თვალ-საზრისით; ამის შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობს. მკვლევართა უმრავლე-სობა კელტურ ეტიმოლოგიას იზიარებს.

აი, რა ღირებულებისაა თვით ჰირტიის ზემოთ მოყვანილი დებულება. რაღა იქნება საბუთიანობა წვრილ-წვრილ ფაშისტ „ენათმეცნიერთა“, რომელთა უპასუხისმგებლო თარეშს მეცნიერებაში მალე მოეღება ბოლო, ისე როგორც ფაშიზმს მთლიანად.

(შემოვიდა რედაქციაში 5.XI.1941)



პრ. ბურჯულაძე

## ისტორიის ფაზისტური ფალსიფიკაცია

### I

1934 წლის ივლისში ამხანაგმა სტალინმა ინგლისელ მწერალ ჰერბერტ უელსთან საუბარში თქვა: „ფაშიზმი არის რეაქციული ძალა, რომელიც ცდილობს ძველი სამყარო ძალადობის გზით შეინარჩუნოს“.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის XIII პლენუმმა ფაშიზმი დაახასიათა როგორც ფინანსური კაპიტალის ყველაზე რეაქციული, ყველაზე შოვინისტური, ყველაზე იმპერიალისტური ელემენტების აშკარა ტერორისტული დიქტატურა.

ფაშიზმი—ეს ომია და ხალხთა დამონება. ფაშიზმი—ეს არის შიმშილი, სიღატაკე, განადგურება. ფაშიზმი—ეს ბარბაროსობაა და ბნელეთის მოციქულობა, შუასაუკუნეებრივი ობსკურანტიზმია.

ფაშიზმის ბარბაროსობა, რეაქციულობა, კაცთმოძულეობა, მკაფიოდ იხატება ხალხთა წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურებში, მშვიდობიანი მოსახლეობის—ქალებისა და ბავშვების მიმართ მხეცურ ძალადობაში, რასულ კანონებისა, ოჯახისა და ქორწინების სფეროში; ფაშიზმის ბნელეთისმოცეპულობა მკვეთრად იხატება აგრეთვე იდეოლოგიის დარგშიც: ისტორიაში, ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში.

ძალაუფლების დაპყრობის პირველისავე დღეებიდან ჰიტლერელებმა გამოაცხადეს ჯვაროსნული ლაშქრობა მეცნიერების, კულტურის წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ძვირფასია და უდიდეს კულტურულ ღირებულებას შეადგენს კაცობრიობისათვის.

ფაშისტურმა რეჟიმმა გერმანიაში წაბილწა და ბრწყინვალე განაწორა მეცნიერება და კულტურა; სადაც კი ფეხი შედგა ფაშიზმმა, ყველგან მარაზმი და გახრწნილება, სამხედრო საკატორლო რეჟიმი და შუასაუკუნეებრივი ბარბაროსობა გაამეფა.

ფაშისტების სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა ბლინინმა კაცობრიობის აზროვნების მსოფლიო კლასიკურ ნაწარმოიბთა დაწვეთ. პირისსხლიანმა ფაშისტმა-დეგენერატებმა დიდად გაუსწრეს წინ შუასაუკუნეების ესპანეთის განთქმულ ინკვიზიტორ თომასო ტორკემადას: ბერლინში და გერმანიის სხვა ქალაქების მთავარ მოედნებზე გაჩაღებულ კოცონებზე უმრავლად იფერფლებოდა





მარქსისა და სპინოზას, ლენინისა და ჰაინეს, ბებელსა და ჰიუგოს, ბარბიუსისა და გორკის თხზულებები. 20 მილიონზე მეტი წიგნი—გენიალური ტვინის მეცნიერული და კლასიკურ-მხატვრული ნაშემატე-დარი—შეიწირა პირსისხლიანმა ფაშიზმმა. გერმანიის ფაშიზმის ცენტრალური ორგანო „ფოლკიშერ ბეობახტერ“ ცინიკურად წერდა: „თუ ჩვენ სამართლიანად თავი მოგვწონს პრუსიული ძროხებით... ვერაფერ ჩვენგანი ვერ იამაყებს მარქსით, ჰაინეთი ან ნაბიჭვარა აინშტაინით“.

ფაშისტმა ინკვიზიტორებმა გამანადგურებელი იერიში მიიტანეს ყოველივე პროგრესულს, მოაზროვნის, შემოქმედისა და ტალანტის წინააღმდეგ: მათ მხეცურად აწამეს და ამოჟლიტეს ათეული და ასეული მეცნიერები, ლიტერატორები; შავ ჯურღმულებში ჩამწყვდიეს ტელმანი, კარლ ოსეცკი, ჰანს ლიტენი; გერმანიიდან გაძევებულ იქნენ ჰენრიხ და ტომას მანი, ლიონ ფეიხტვანგერი, განთქმული ფიზიკოსი ალბერტ აინშტაინი, შრედინგერი, ისტორიკოსი ვალენტინ ფოიტი, ქიმიკოსები ჰაბერი, ფროინდლიხი; ბიოლოგები ჰოლდ შმიდტი, შაკსელი და ბევრი სხვა. გერმანიის ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები იძულებული არიან უცხოეთში ეძებონ თავშესაფარი. ფაშისტი ბარბაროსები ანადგურებენ კულტურას, სპობენ მეცნიერებას, რადგან სჯერათ, რომ მეცნიერება და კულტურა დაბრკოლებას წარმოადგენს ფაშისტური რეაქციის „ისტორიული მისიის“ განხორციელების გზაზე.

ფაშიზმი და მეცნიერება ისევე შეუთავსებელია ერთმანეთთან, როგორც ფაშიზმი და გონიერება. ჭეშმარიტი მეცნიერება საბრალდებო აქტს წარმოადგენს ფაშისტური ბარბაროსების წინააღმდეგ. ამით უნდა აისხნას პირსისხლიანი ფიურერის და მის დამქაშთა მხეცური გაბოროტება, მათი გააფთრებული ბრძოლა მეცნიერების, გონების, ინტელექტის წინააღმდეგ.

ადოლფ ჰიტლერს არა ერთხელ განუცხადებია, რომ მეცნიერება, კულტურა, ცივილიზაცია, ჰუმანურობა და სხვა ამგვარი რამ მხოლოდ „სისულელისა და სიმხდალის შენაერთის გამოხატულებას წარმოადგენს“. ერთ-ერთ თავის სიტყვაში მან აშკარად განაცხადა; „ჩვენ ამჟამად გეტანჯავს ზომავე მეტი განათლებულობა... ჩვენ მხოლოდ ნებისყოფის ინსტინქტები გვინდა“.

საზიზღარმა მაიმუნმა გებელსმა ასე გამოხატა თავისი აპოკალიფსური და-მოკიდებულება ინტელექტისა და კულტურისადმი: „ინტელექტი—საფრთხეს უქა-დის ხასიათის აღზრდას... მე მომბეზრდა ყოველივე სულიერი, მე გულს მირევს თითოეული ნაბეჭდი სიტყვა“. ერთ-ერთმა ჰიტლერელმა შინისტრმა მკაფიოდ გამოხატა ფაშისტური სიველურის იდეალი: „რა კარგი იქნებოდა თავი დაგველ-წია გონების ძალადობისაგან“. ფაშისტური „ფილოსოფოსი“ ოტმარ შპანი წერს: „ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მსოფლმხედველობას, რომელსაც აძაგებენ, როგორც ბარბაროსობას, რადგან საუკეთესოდ მიგვაჩნია უკანასკნელ წლებში გადმოსრო-ლილი საბრძოლო ლოზუნგი: „უკან ბარბაროსობისაკენ“.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, თითქოს ფაშისტებს მსოფლ-მხედველობა არ მოეპოვებოდეს. ფაშისტებს აქვთ „მსოფლმხედველობა“, მაგრამ ამ კაცობიების კონცეფციისა და სარწმუნოების სიმბოლო მხოლოდ ომი და



ე. წ. „რასული თეორია“ არის. ამ „რასული თეორიის“ საგარეო მხარე კური ფუნქცია—ეს არის მტაცებლური ომებისა და ხალხთა დამონების გამართლება; მისი საშინაო პოლიტიკური ფუნქცია ყველაზე მხეცური ექსპლოატაციისა და სისხლიანი ტერორის გამართლებაა.

ფაშიზმი—მოწინავე, პროგრესული კაცობრიობის უბოროტესი მტერია, ფაშიზმი ყველა ხალხსა და ქვეყანას ნამუსის ახლას, მონობასა და განადგურებას უქადის. გერმანიაში აყვავებულია მხოლოდ ერთადერთი მეცნიერება, რომელსაც ომის მეცნიერება ეწოდება.

ამხანაგი სტალინი სიტყვაში საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე მიუთითებდა, რომ „ფაშიზმი მიისწრაფვის მეცნიერება დაუმორჩილოს ომისათვის მზადების ამოცანებს“.

ფაშისტური „მეცნიერების“ მოიერიშენი გაბატონების პირველივე დღეებიდან გააფთრებულნი შეუდგნენ მტაცებლური ომების დაცვასა და ქება-დიდებას. გერმანიაში აყვავდა „თეორები“, რომელნიც ამართლებენ და ხოტბას ასხამენ ყაჩაღობას, ძალადობას, რასულ კაცთმოძულეობას, ხალხთა ურთიერთ ქიშპობასა და მტრობას. ფაშიზმმა მობილიზაცია უყო ყველაზე უფრო რეაქციულ იდეოლოგიას, რეაქციულ თეორიებს.

გერმანელი ფაშისტების უმთავრესი „თეორეტიკოსი“ ალფრედ როზენბერგი თავის ბოდვითს შრომაში: „XX საუკუნის მითი“ კაციჰამობის მხეცურ ინსტინქტებს ქადაგებს და ნერგავს. უკუაგდებს რა კულტურისა და ცივილიზაციის მიღწევებს, როზენბერგი საზოგადოების ისტორიის განმარტავს როგორც „ადამიანთა ბუნებრივ და მარადიულ მისწრაფებას ომებისადმი“ და ურთიერთ ხოცვა-ჟლეტისაკენ. იგი ახალგაზრდობას პირუტყვეულ ზიზლს უნერგავს მეცნიერებისა, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი.

ფაშისტ კანიბალთა მიზნები და იდეალები მკაფიოდ გამოხატა აგრეთვე ფაშისტმა „თეორეტიკოსმა“ ერნსტ ბერგმანმა. იგი ოცნებობს „სანატრელი“ მომენტის მოახლოების შესახებ, „როცა ჩრდილოეთი რასა მსოფლიო ნანგრევებზე თავის დროშას აღმართავს და მთელ კულტურულ მსოფლიოს სრულ ნაცარტუტად აქცევს“.

ფაშისტების მტკიცებით, ნამდილ „ცივილიზებულ“ ადამიანად გახდომა ნიშნავს თავი დააღწიო საერთო საკაცობრიო კულტურას. ჯერ კიდევ ფაშისტური ბნელეთის მოციქული ოსვალდ შპენგლერი ამ ფაშისტური „ცივილიზაციის“ შემოქმედად თვლიდა ახალ გერმანელ კაცს—„მტაცებელ ნადირს“ (შპენგლერის ტერმინია „Raubtier“). შპენგლერი „ამტკიცებს“, რომ ადამიანში დასაბამიდან ცოცხლობენ „მტაცებელი მხეცის“ ინსტინქტები. კულტურის მთელი ისტორია განუწყვეტელი ომების ისტორიაა. იმპერიალისტური ომი, როგორც მატერიალური და სულიერი კულტურის შემმუსვრელი ძალა, შპენგლერის აზრით, „ყველა დიად ნივთთა შემოქმედი“...

ფრანკფურტის უნივერსიტეტის რექტორმა ასეთი ამოცანა დასაბა უმაღლესი სასწავლებლის წინაშე: „საუნივერსიტეტო სწავლების ამოცანა არის არა ობიექტური მეცნიერება, არამედ მეცნიერება ჯარისკაცისა“. ფაშისტური მტარვალები გერმანელ ახალგაზრდობას მეცნიერებისა და კულტურის წილ ომისა და





სისხლის იდეალს უნერგავენ, ჰუმანურობისა და ცივილიზაციის ნაცვლად გასა-  
წნილებასა და კაცთმოძულეობას ასწავლიან, მაღალ სულიერ იდეალებს უმეცრების,  
უხეში ძალისა და მხეცური ინსტინქტების კულტის ქადაგებით ცვლიან. ჰიტლერმა  
რაუშინინგთან საუბარში ასე განსაზღვრა ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანები:  
„მე მსურს აღვზარდო უხეში, უფლებებისმოყვარე, უშიშარი, მკაცრი ახალგაზრ-  
დობა... მისი თვალები უნდა ელვარებდეს, როგორც თავისუფალი, დიდებული  
მტაცებელი მხეცის ცქერა“. ჰიტლერელი ახალგაზრდობის ხელმძღვანელმა ბალ-  
დურ ფონ-შირახმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში შემდეგი სიტყვებით დაახა-  
სიათა ახალგაზრდა გერმანელის „იდეალური“ ტიპი: „ჩვენი ახალგაზრდობა,—  
ამბობდა იგი,—არ არის პატივისცემით გამსჭვალული მეცნიერებისადმი. იგი  
მხოლოდ ჯანიერ ვაჟკაცს აფასებს“. ჰიტლერელი ახალგაზრდობის დამახასიათე-  
ბელი დევიზია: „ჩვენ ვიშვით იმისათვის, რათა მოვკვდეთ“.

ჰიტლერულმა ფაშიზმმა ფილოსოფია, მეცნიერება, პუბლიცისტიკა, ხელოვნება  
მთლიანად დაუმორჩილა ფაშისტურ სვასტიკას. რასული „თეორიით“ გამ-  
სჭვალულია მთელი ფაშისტური იდეოლოგია: არა მარტო საზოგადოებრივი  
მეცნიერებანი, არამედ ყველაზე კონკრეტული, ზუსტი მეცნიერებანიც. პროფე-  
სორი ლეონარდი „გერმანული ფიზიკის“ სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში  
წერს: „ეს წმინდა არაქული ფიზიკა არის. მეცნიერება იქმნება რასისაგან და  
განისაზღვრება სისხლის სიწმინდით“. მეორე პროფესორი, ერვინ ჰეკი, ამტკი-  
ცებს, რომ „მათემატიკა წარმოადგენს ჩრდილოეთის, გრიული სულის გამოვლი-  
ნებას, მის მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისაკენ“.

ფაშისტებმა ყოველგვარი ცოდნა მტაცებლური ომების უკვდავოფის იდეა-  
ლებს დაუმორჩილეს, ყველა ტექნიკური, ქიმიური, ფიზიკური, მათემატიკური,  
საბუნებისმეტყველო მეცნიერება და სათანადო კვლევითი სამეცნიერო ინსტი-  
ტუტი მის სამსახურში დააყენეს და თუ ისეთი ზუსტი მეცნიერებანი, როგო-  
რიცა მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბუნებისმეტყველება გერმანიის ფაშისტურმა  
ბარბაროსებმა ისე შერყვნეს და გაათახსირეს, რომ მთლიანად გამოიყვნეს თა-  
ვისი მხეცური მიზნებისათვის, აღვილი წარმოსადგენია, თუ რა სავალალო ბედი  
ეწია საზოგადოებრივ-სოციალურ მეცნიერებათ—ეკონომიურს, იურისპრუდენ-  
ციას, ხელოვნებათმეცნიერებას და სხვ. თავის მტაცებლურ მიზნებს ფაშისტებმა  
დაუმორჩილეს გეოგრაფია, ეთნოგრაფია, ისტორია, რომელნიც ძირფესვიანად  
შერყვნეს და წაბილწეს. ამათ ნაცვლად ფაშისტებმა „შეჰქმნეს“ ცრუმორწმუნე-  
ობა—ე. წ. „გეოპოლიტიკა“, რომლის საბურველ ქვეშ ცდილობენ „დასაბუ-  
თონ“ და „გაამართლონ“ სხვისი მიწა-წყლის დაპყრობის ყაჩაღური პოლიტიკა-

## II

ფაშისტმა მოიერიშეებმა თავიანთ საჯირითო მოედნად განსაკუთრებით  
საისტორიო მეცნიერება აირჩიეს. გაბატონების პირველი დღეებიდანვე  
ფაშისტები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ისტორიული მეცნიერების ფალსიფიკაციას,  
დაწყებული ძველ გერმანელთა საზოგადოებრივი წყობილებიდან და გათავებული  
მთელი კაცობრიობის უახლესი ისტორიით. კომინტერნის VII მსოფლიო კონ-  
გრესზე ამხ. დ ი მ ტ რ ო ვ მ ა დაუზოგავად გამოაშჰარავეა ფაშისტის მიერ ის-





ტორიის ურცხვი ფალსიფიკაციის ბინძური სარჩული. იგი ამბობდა: „ფაშისტური გადაქექეს თითოეული ხალხის მთელი ისტორია, რომ თავი გაასაღონ მეშვედრეებად და განმგრძელებლებად ყოველივე იმისა, რაც ამ ხალხის წარსულში დიადი და გმირულია. ყოველივე იმას, რაც ხალხის ნაციონალური გრძობის დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იყო, ისინი იარაღად იყენებენ ფაშისტის მტრების წინააღმდეგ. გერმანიაში გამოიცა შრავალი ასეული წიგნი, რომელთა ერთადერთი მიზანია გერმანელი ხალხის ისტორიის ფალსიფიკაცია ფაშისტურ ყაიდაზე“<sup>1</sup>.

ფაშისტური გადატრიალების პირველ წელსვე, 1933 წ., გამოვიდა ლაიპციგის პროფესორის თეოდორ ლიტტის შრომა: „მეცნიერებათა მდგომარეობა სულის შესახებ ნაციონალ-სოციალისტურ სახელმწიფოში“. ქვეწარმავლური ქვემძრომობით ავტორი ცდილობს „პროტესტი“ განაცხადოს ფაშისტ მმართველთა მოთხოვნებზე: „თეორიული ფუნდამენტი შეექმნას ნაციონალ-სოციალისტის პოლიტიკურ ნებისყოფას“. პროფესორი წუწუნებს, რომ მეცნიერება პიტლერის წინაშე დააჩოქეს და მეცნიერები ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს ოფიციალურ მსახურებად აქციესო. ამ „პროტესტანტულმა“ გატაცებამ ხელი არ შეეშალა თვით პროფესორ ლიტტს სულ მალე მოენანიებია ცოდვა და შეერთებოდა ფაშისტური სვასტიკის მსახურთა ხროვას. მიუხედავად ამისა, ე. წ. ობიექტური მეცნიერების წარმომადგენლების თავდაპირველი ამხედრება ფაშისტურ გონებალუნგ კალმოსანთა წინააღმდეგ ფრიად დამახასიათებელი იყო.

გერმანელი ფაშისტები როდი დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ისტორიული მეცნიერების გადაქექვით. ფაშისტური კანიბალები „ღრმად“ შეიჭრნენ ისტორიის დამხმარე მეცნიერებათა სფეროში და „შეავსეს“ ისინი თავიანთი უზიაკი ტინის ნაცოდვილარი რასული „თეორიებით“.

ფაშისტებმა „რასობრივი“ თვალთახედვით გადასინჯეს და შეამოწმეს არქეოლოგიური გათხრების შედეგები; ისტორიის კვალდაკვალ ფაშისტურ ყაიდაზე გააყალბეს არქეოლოგია, ლინგვისტიკა, მეცნიერებათა სხვა დარკები. ფაშისტების ეს ანტიისტორიული და ანტიმეცნიერული ნავარჯიშევი მთლიანად გამიზნულ იქნა გერმანულ-ფაშისტური აგრესიული პოლიტიკის გასამართლებლად.

1937 წლის სექტემბერში პიტლერელმა პუბლიცისტმა და „ისტორიკოსმა“ ერიხცხ-იოხბერგმა თავის წიგნში („გერმანიის ისტორია“) წამოაყენა ფაშისტური ისტორიოგრაფიის სახელმძღვანელო იდეა. ბნელეთის ამ მოციქულმა უფრო სრულად და ზუსტად გამოხატა თავისი საკუთარი და თავის ბატონთა ქვემარტი დამოკიდებულება ისტორიული მეცნიერებისადმი. მისი „ზეავტორიტეტული“ აზრით, უნდა იწერებოდეს „არა უბრალო ისტორია, არა პოლიტიკის ისტორია, არამედ ისტორიის პოლიტიკა“<sup>2</sup>.

გადასწყვიტეს რა ისტორიული მეცნიერების შეწყობა-შეგუება თავისი რეაქციული დაპყრობითი მიზნებისათვის, ფაშისტებმა არ დააყოვნეს თავისი საკუ-

<sup>1</sup> მ. დიმიტროვი, ფაშისტის შემოტევა და კომ. ინტ. ამოცანები. გვ. 78, პარტ გამომცემლობა, 1935 წ.

<sup>2</sup> იხ. კრებ „ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაციის წინააღმდეგ“, გვ. 259.





თარი „სწავლული კადრების“ „დაწინაურება“. მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ მათ განეხორციელებიათ ძველ ისტორიკოს-აკადემიკოსთა სკოლის აფეთქება. ძველი აკადემიური პროფესურა, თუმცა თავისი შემადგენლობითა და იდეალებით კონსერვატიული და რეაქციული, ნაციონალური სახელმწიფოს წინაშე მდგარ ახალ ამოცანებს ვერ გადასწყვეტდა. ფაშისტებს მოუხდათ რკინის ცოცხით გაეწმინდათ უნივერსიტეტები, ისტორიული კათედრები, ისტორიული ინსტიტუტები ლიბერალურ მოაზროვნეთაგან, მერყევთაგან და „არაარიელთაგან“. საჭირო გახდა მთელი რიგი ისტორიული ჟურნალების, ისტორიული საზოგადოებების, სხვადასხვა ისტორიული კომიტეტისა და ორგანიზაციის დახურვა და ლიკვიდაცია. საქვეყნოდ ცნობილი სწავლული ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ლინგვისტები, არქეოლოგები „სამსახურის ვადის განვლის“ მოტივებით გაძევებულ იქნენ კათედრებიდან, უნივერსიტეტებიდან, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებიდან. ასეთი ბედი ეწიათ იტალიის ისტორიაში მრავალრიცხოვანი შრომების ავტორს პროფესორ ვალტერ ჰეტცს, ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშ. კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს კარლ ბრანდის, ახალი ისტორიის ცნობილ პროფესორს ვინდელბანდს, ფილოსოფიისა და სოციოლოგიის პროფესორს ტენნიხს, პროფ. ოტტო ჰეტჩს, განთქმულ მეცნიერთ ონკენს, მეფენეკეს და სხვა მრავალს.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფაშისტების მიერ დევნილი სწავლული თითქოს ლიბერალურ-პროგრესულ მოაზროვნეთა კატეგორიას ეკუთვნოდნენ. პირიქით: გაძევებული პროფესორის აბსოლუტური უმრავლესობა იდგა და კვლავ განაგრძობს დგომას იმავე პრინციპულ პოზიციებზე, რომლებზეც ფაშისტები დგანან; ისინი იდეოლოგიურად და პოლიტიკურად არსებითად ისეთივე კონსერვატორები და რეაქციონერები არიან, როგორც ჰიტლერელები. მათი უმრავლესობა ნაციონალისტები და იმპერიალისტები არიან, რომელნიც ერთგულად იცავენ და ემსახურებიან „დიდი გერმანიის“ გიჟურ იდეას (მათი დევიზია: „Deutschland über alles“). თავის დროზე მათ თავი გამოიჩინეს გერმანიის იმპერიალიზმის აპოლოგეტიზმით და ამტკიცებდნენ, რომ გერმანიის იმპერიალისტებს, კაიზერ ვილჰელმ მეორეს, ან თუნდაც რომელიმე სხვა გერმანელთაგან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წარმოშობასთან, რომ ომებს გერმანელები საერთოდ მუდამ თავს არიდებდნენ, ხოლო ყოველგვარ ომებს „მრავალტანჯულ“ გერმანელ ხალხს მარადეამს თავს ახვევდნენ „პანსლავისტები“, ფრანგი „რევანუსისტები“ ან ანგლოსაქსების ჩარჩვაჭართა მტაცებლები. ასეთი არგუმენტაცია, რომელიც ქათამსაც კი სიცილს მოგვრიდა, პირველი შეხედვით ჭკაუში უნდა დასჯდომოდათ ფაშისტებს. მიუხედავად ამისა, ძველი კონსერვატიული სკოლის ისტორიკოსთა და ჰიტლერელ ცრუისტორიკოსებს შორის წინააღმდეგობათა უფესკრული გაიზარდა, რამაც გათიშვა აუცილებელი გახადა.

ფაშისტებმა ერთი ხელის გაქნევით დაადამბლავეს ურჩი სწავლულები. ჰიტლერელი მტარვალეები თავის ჯოჯოხეთურ ღონისძიებებს ისტორიის ფრონტზე ატარებდნენ მათთვის ჩვეული იეზუიტური დაკვრით, დრაკონისებურად. ლიკვიდირებულ საისტორიო მეცნიერების დაწესებულებებისა და ორგანიზაციების



ნაცვლად 1935 წ. 19 ოქტომბერს ფაშისტებმა დააარსეს „ახალი გერმანიის ისტორიის საიმპერიო ინსტიტუტი“, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა ვალტერ ფრანკი—ფიურერი „ისტორიულ ფრონტზე“. ნაცისტებმა სახელდახელოდ შეაკაო-წიწეს „ისტორიკოსთა“, „არქეოლოგთა“, „ლინგვისტთა“, „რასათმცოდნეების“ ახალი კადრები, რომელნიც მთელი გატაცებით შეუდგნენ მათთვის მინდობილი მოვალეობის შესრულებას—მთელი კაცობრიობის ისტორიის შერყვნისა და ფალსიფიკაციის საქმეს. ამ ახლად გამომცხვარ „ისტორიკოსთა“ დანიშნულება მდგომარეობდა იმაში, რათა, ერთი მხრით, დაემტკიცებიათ, თითქოს კაცობრიობის მთელი წარსული მხოლოდ ჰიტლერისა და ჰიტლერელების ბატონობის მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენდა. მეორე მხრით, მათ უნდა „დაესაბუთებიათ“ ფაშისტური გერმანიის „სრული უფლება“ ევროპაში და მთელ მსოფლიოში საჭირო სივრცეების დაპყრობისა, ნაციზმის მთელ მსოფლიოში ბატონობის „სრული უფლება“. ახლად გამომცხვარი ნაციონალ-სოციალისტური ისტორიკოსები ცდილობენ დაგვიხატონ გერმანიის ისტორია იმგვარად, თითქოს რაღაც „ისტორიული კანონზომიერების“ ძალით 2.000 წლის მანძილზე წითელი ძაფით გადის განვითარების ხაზი, რომელმაც ისტორიულ სცენაზე მოავლინა გერმანელი ხალხის ნაციონალური „მხსნელი“, მესია, ცნობილი „ეფრეიტორი“ ავსტრიული წარმოშობისა. ამ წიგნებში გერმანელი ხალხის უდიდესი მოღვაწეები წარსულში მძნათლული არიან ფაშისტებად, ხოლო გლეხთა დიდი მოძრაობანი დახატულია პირდაპირ როგორც ფაშისტური მოძრაობის წინამორბედნი<sup>1</sup>.

ფაშისტური „მეცნიერების“ ამომწურავი პროგრამა ვალტერ ფრანკმა გადაშალა ბერლინის უნივერსიტეტში „ისტორიის საიმპერიო ინსტიტუტის“ გახსნის საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში: ორატორი მოუწოდებს ფაშისტურ „ისტორიკოსთა“ ფალანგას „გახდნენ ახალი მეცნიერების ჯარისკაცებად“, არ გაეიჯნონ პრაქტიკულ ცხოვრებას და არ ჩაიკეტონ „წმინდა მეცნიერების“ ნაჭუჭში. ფრანკი ურჩევს „მკვლევართ“, „რათა უძველეს დროთა და უცხო ქვეყნების დოკუმენტთა მრავალათას გაყვითლებულ ტომებში, ქალაქებსა და წიგნებში ყოველ მომენტში ისმოდეს ჩვენი ხალხის ძლევაშობილი წინსვლა“. ისტორიული ფრონტის ახლადმოვლენილი ფიურერი უმოძღვრებდა „ისტორიკოსებს“ არ გამოეკვლიათ ფაქტები, არამედ საჭიროებისდა მიხედვით თვით შეეთხზათ და შეექმნათ ეს ფაქტები. იგი მოითხოვდა, რათა ისტორიული მეცნიერება ექციათ შემტევად და „დამყრობელ იარაღად“. „ჩვენ გვწამს,—ლადებდა ფრანკი,—როგორც გერმანელებს და როგორც ჩრდილოეთის ქვეყნებს ყოველთვის სწამდათ, რომ მეცნიერება თვით დამყრობელს წარმოადგენს“<sup>2</sup>.

როგორია ფაშისტური ისტორიოგრაფიის პრინციპული მიზანმიმართულება? პირველ ყოვლისა — ფაშისტურ „ისტორიკოსთა“ მიერ ისტორიული ფაქტების ფალსიფიკაცია, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაყალბება პრინციპად არის გამოცხადებული. ფაშისტები არც კი ცდილობენ ეს გარემოება

<sup>1</sup> იხ. გ. დიმიტროვი I. ც. გვ. 78—79.

<sup>2</sup> კრებ. „ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაციის წინააღმდეგ“, გვ. 32.



დაშვარონ, პირიქით: ფაქტების „თვითშექმნის“ პრინციპს ფაშისტი ცინიკებოდრიდ მიღწევად და ახალ აღმოჩენად თვლიან.

მეორე — ფაშისტური ცრუსტორია მიმართულია დემოკრატიული აზროვნების წინააღმდეგ გერმანიაში და სხვა ქვეყნებში. მისი შხამიანი ისარი კლასიკალურად მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობასა და მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებას უპირისპირდება.

მესამე — ფაშისტურ ისტორიოგრაფიას წითელი ზოლივით მიჰყვება ომებისა და „რასული“ კაციკომიობის აპოლოგეტიკა. რასულობის, კაცთმოძულეობის ქადაგება, მთელი ზოწინავე კაცობრიობის შემშუსვრელი ომების უკვდავყოფა, მარაზმისა და გახრწნის პრინციპთა დანერგვა ფაშისტური ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი თვისებებია.

მეოთხე — ფაშისტური „ისტორიკოსები“ მთელ თავის მხეცურ მძულვარებას დიდი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართავენ. შეიძლება ითქვას, ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაცია წარმოადგენდა და წარმოადგენს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის მომზადებისა და ჩვენს სამშობლოზე მუხანათური თავდასხმის ერთ-ერთი სახის იარაღთაგანს.

ფაშისტური ისტორიოგრაფია, რომელიც ყურმოჭრილ მონასავით ემსახურება ჰიტლერელ ბატონთა ველურ მოთხოვნებს, გერმანელი ხალხის მთელი წარსულის გადასინჯვას ახდენს. რათა „ისტორიულად“ გაამართლონ ფაშისტ ბარბაროსების დანაშაულებანი გერმანელი ხალხისა და მთელი მსოფლიოს წინაშე, დაიცვან და დაასაბუთონ ფაშისმის ყაჩაღური და მტაცებლური პოლიტიკა, ნაცისტებს მიერ დაქირავებული კალმონები ურცხვად ამახინჯებენ არა მარტო გერმანელი ხალხის წარსულს, არამედ ყველა ხალხის ისტორიასაც. როგორც ამხ. დიმიტროვი მიუთითებდა, ფაშისტებმა გადაქექეს თითოეული ხალხის ისტორია „რასული თეორიის“ და ჰიტლერიზმის მტაცებლური პოლიტიკის ანტიმეცნიერული და რეაქციული თვალთახედვის საფუძველზე.

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს ფაშისტურ „იდეოლოგთა“ უარყოფითი დამოკიდებულება ობიექტურ-მეცნიერულ კვლევა-ძიების მეთოდთან. ისინი ისტორიკოსთაგან მთელი კატეგორიულობით მოითხოვენ უკუაღონ ე. წ. „ობიექტივიზმი“ წყაროების გამოკვლევის დროს, უგულვებელჰყონ ისტორიული ფაქტები და საკუთარი ფანტაზიით „შეთხზან“ საჭირო ფაქტები. ვალტერ ფრანკი ურცხვად აღიარებს, რომ „არსებითი ხელოვნება და მეცნიერება ფორმაში როდი მდგომარეობს. არსებითს მეცნიერებაში ფაქტები როდია! ფორმები და ფაქტები წარმოადგენენ მხოლოდ წინამძღვრებს (Voraussetzungen). რაობა ხელოვნებისა, ისე როგორც მეცნიერებისა, მდგომარეობს იმაში, რათა პასუხი გასცეს იმ დიად კითხვებზე, რომლებსაც მებრძოლი ადამიანური სულის სამყარო აყენებს“. ამრიგად, შერჩეულ უნდა იქნას და; თუ არ აღმოჩნდა, „შეთხზულ“ იქნას ისეთი ფაქტები, რომელნიც ამართლებენ, გუნდრუკს უკმევენ პირსისხლიანი ფაშისტური ბანდიტების განგსტერულ პოლიტიკას, მათ რასულ კაციკომიობის „თეორიას“. ფაშისტები სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებენ ისტორიულ წყაროებს, ისტორიულ ფაქტებს. ფაქტების შეკრება, ფალსიფიკაცია მათ პრინციპში აპყავთ. ჰიტლერელი „სწავლულები“ მოქმედებენ ანეგლოტურ



ვერმანელი პროფესორის „ბრძნული“ რჩევის მიხედვით: „თუ ფაქტები აღმდევებიან თეორიას—მით უარესი ფაქტებისთვის“.

ისტორიული მეცნიერების ურცხვი ფაშისტური ფალსიფიკაცია და ისტორიული წყაროებისა და ფაქტებისადმი მათი ცინიკური დამოკიდებულება შემთხვევითი არ არის; ბნელეთის მოციქულთ შავი ჭირით ეშინიათ მეცნიერებისა, საერთოდ, და საისტორიო მეცნიერებისა, განსაკუთრებით, რადგან ჭეშმარიტი მეცნიერება სასიკვდილო ლახვარს სცემს ფაშისტურ იდეოლოგიას, ფაშისტურ პოლიტიკას, ფაშისტურ რეჟიმს მთლიანად. ბარბაროსები ანადგურებენ კულტურას, რადგან კულტურა, განათლება, დაუძლეველ ჯებირად ელობება მოსახარ ბარბაროსთა აღვირაზსნილობას.

ფაშისტები ებრძვიან და „აუქმებენ“ ისტორიულ მეცნიერებას, რადგან ჭეშმარიტი ისტორია პიტლერელი ბარბაროსების და მათი სისხლიანი პოლიტიკის საბრალდებო აქტს წარმოადგენს. პირსისხლიან ბანდიტებს გაშმაგებით სძულთ ყოველგვარი მეცნიერება, რადგან იგი ურყევი საბუთებით წინასწარმეტყველებს ფაშისმის გაკოტრების მოახლოებას, მის გარდუვალ დაღუპვას. ჭეშმარიტი მეცნიერება ფაშისმის ინტერესებთან სრულიად შეუთავსებელია.

ფაშისტები ისტორიულ მოვლენებს აკლიან მის შინაგან თანაარსს, მოვლენათა მიზეზობრივ დიალექტიკურ კავშირს და ურთიერთგანპირობებულობას, ისტორიის მხოლოდ მიღმიერ შეგონებისა და „მისტიფიკაციის“ სფეროდ აცხადებენ, „ამტკიცებენ“, რომ სამყარო თავისი არსებით შეუცნობადია, ხოლო ისტორია—იორაციონალურ ძალთა ნაყოფია, რომლის შემეცნება და განქვრეტა შეუძლებელია. უარყოფს რა ისტორიას, როგორც მეცნიერებას, ფაშისტი შპენგლერი შემდეგნაირად წვრთნის მის ეპიგონებს: „რამდენადაც ისტორიოგრაფია თავისი ობიექტის შექმნისას მიზეზობრივი ურთიერთდამოკიდებულების დადგენის გზას მიმართავს, მით უფრო იგი ფშუტვა და ცარიელი“. ფაშისტი „ისტორიკოსები“, ისე როგორც საერთოდ ამავე რანგის სხვა „მეცნიერები“, გადაჭრით უარყოფენ სამყაროს, ისტორიის ობიექტური შემეცნების შესაძლებლობას, ხოლო სინამდვილისა და ჭეშმარიტების კრიტერიუმად აღიარებენ რასულ „ინსტინქტს“, მისტიკურ „განცდებს“, „ინტუიციას“, „ცხოვრების გრძობას“, „სულს“ და სხვა ამისთანებს. ფაშისტური ისტორიოგრაფია თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია არა მარტო გამოგონებული ფაქტებით, არამედ იგი მტკნარ იდეალიზმსა და რელიგიურ ცრუმორწმუნეობებს ემყარება. დამახასიათებელია, რომ პიტლერელები რელიგიური ბნელეთის მოციქულობას და მისტიკურ აბრუნდებს მოხერხებულად იყენებენ თავისი ყაჩაღური მიზნებისათვის ბრძოლაში. ასე, მაგ.: ჰაიდელბერგელი „ფილოსოფოსი“ ფრანკ ბევი თავის სტატიაში („უშუალო მოცემულობა და ტრანსცედენტობა ისტორიაში“) წერს: „ისტორია არის რელიგიური ცნება, მაგიური და მითური აზროვნება თავიდან ბოლომდე ისტორიულია. მაგრამ მთელი თავისი არსით ისტორიის ცნება რელიგიურია... ჭეშმარიტი ნაციონალიზმი ისტორიისადმი რელიგიურ რწმენას ნიშნავს“.

ფანატიკოს კრემერის რასიზმის ფაშისტური ფილოსოფიით, „ისტორიულ მეცნიერებას ყველაზე მეტად ხელს უწყობს ჩავონება, ინტუიცია; უღრმესი გამ-





მკვრეტელობა გააცისკროვნებს მაძიებელს“. კრემერი ქურუმივით ქადაგებს: „ისტორია არ უნდა იქნას გაგებული როგორც კანონზომიერება და აუცილებლობა, არამედ როგორც ბედისწერა და ქმედობა“. „მისი სისხლის გვარეობა, — განაგრძობს კრემერი, — თითოეულ ხალხს წინასწარ უსახავს მთელი მისი განვითარების ბედისწერას“. ეს გამყალბებული კაციჟამია „თეორიული მსჯელობიდან“ მკვეთრად გადადის ერთობ „საჭირბოროტო“ პრაქტიკულ საკითხებზე „ყველა გერმანელთა გაერთიანებისა“ და ამ ლოზუნგით ავითარებს რევანშის იდეას ხალხების წინააღმდეგ. კრემერი თავხედური ცინიზმით ქადაგებს ფაშისიმის აგრესიულ პოლიტიკას „აღმოსავლეთისაკენ“ (იგულისხმებენ სსრკ წინააღმდეგ). იგი წერს: „გერმანელთა ჯგუფები, რომლებიც საზღვარგარეთ უცხო სახელმწიფოებში არიან განსახლებულნი, ამ ერთიანობას ეკუთვნიან... გერმანიის ისტორიული მეცნიერება, ძველი საუკუნეების შეხედულებათა წინააღმდეგ, უნდა გასცილდეს სახელმწიფო საზღვრებს და დააყენოს საკითხი გერმანიის ხალხის შესახებ მთლიანად... საკითხი მისი იმპერიის ჭეშმარიტ, ბედისწერისაგან წინასწარ განსაზღვრული საზღვრების შესახებ სხვა ხალხებს შორის. მაშინ ახალი სახით წარმოსდგება ჩვენ წინაშე აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპა, შეიცვლება ჩვენი წარმოდგენა გერმანული ერთიანობისა და გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ...“<sup>1</sup>. ფაშისტური კაციჟამია „ფილოსოფოსის“ „მსჯელობაში“ ავტორის მისტიკურ-იდეალისტური მსოფლმხედველობა მჭიდროდ არის გადახლართული ხალხთა დამონებისა და გაძარცვის ფაშისტურ-მხეცურ პროგრამასთან.

საერთოდ ფაშისტმა „ისტორიკოსებმა“ ბევრი მელანი დახარჯეს ნაციონალური და ზენაციონალური სახელმწიფოს საკითხზე მსჯელობის დროს. მათ მტკიცედ გადასწყვიტეს რაღაც უნდა დაუჯდნენ მოსძებნონ გერმანიზმის ბატონობის „ისტორიული უფლება“ მთელი შუა ევროპის ტერიტორიაზე. შეთითხნილ იქნა „ისტორიული თეორია“, რომლის თანახმად გერმანიზმის „სული“ თითქოს მოითხოვს ეგრეთწოდებულ „ზენაციონალურ“ იმპერიას, რაც „გერმანული ევროპის“ შექმნას ნიშნავს. ამ იმპერიამ უნდა მოიცვას, ამტკიცებენ ფაშისტები, ყველა ტერიტორიები, სადაც ოდესღაც უცხოვრიათ გერმანელებს, ან ახლად ცხოვრობენ ისინიო. ამ ლოგიკის ძალით ფაშისტური „გეოპოლიტიკოსები“ გიჟურ პროპაგანდას ეწევიან „საარსებო სივრცეების“ გაფართოებისათვის, ხოლო „გერმანულ ფართობში“ უნდა მოექცეს ბელგია და საფრანგეთი, უკრაინა და ინგლისი, კავკასია და ურალი, ინდოეთი და ამერიკის ნახევარსფეროც.

ავტრიელმა ფაშისტმა პროფესორმა ჰენრიხ ფონ-სრბიკმა (მეტერნიხის ორტომიანი ბიოგრაფიის ავტორმა) 1935 წ. დაბეჭდა ახალი ორტომიანი შრომა სათაურით: „გერმანული ერთობა“. ეს შრომა გადაიქცა გერმანიის ფაშისტების საბრძოლო ნაციონალურ პროგრამად. შრომის ავტორი ცდილობს ისტორიულად გაამართლოს ფაშისტური გერმანიის მისია ყველა გარემოცულ ხალხზე ბატონობისა. ფონ-სრბიკის აზრით, ნაციონალური სახელმწიფოს იდეა ეწინააღმ-

<sup>1</sup> იხ. ჟურნ. „Под знаменем марксизма“, 1937 წ., III, გვ. 159, 166.



დეგება „გერმანიზმის“ სულს. ასეთი იდეა სრულიად მიუღებელია და გამოუსადეგარი გერმანელებისათვის. ისტორიულ პირობათა ძალით (განსაზღვრული ეთნოგრაფიული საზღვრების არარსებობა და სხვ.) იდეალურ სახელმწიფოებრივ ფორმად გერმანიისათვის უნდა ჩაითვალოს „ზენაციონალური“ სახელმწიფო, წერს სრბიკი. ავტორი ენერგიულად ესხმის თავს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და მოითხოვს შეიქმნას „ზენაციონალური“ შუა-ევროპა, ცხადია, გერმანელთა (იგულისხმება ფაშისტების) ჰეგემონიით.

ისტორიის მეორე ფაშისტური ფალსიფიკატორი საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში ფრიდრიხ შტივე თავის „შრომაში“ („გერმანიის და იტალიის გეოგრაფიული მდებარეობა და ჩისი გავლენა ისტორიაზე“) გერმანიისა და იტალიის ხალხთა ისტორიას რასული და „გეოპოლიტიკური“ თვალსაზრისით განიხილავს. შტივეს „მტიციებით“, თითოეული სახელმწიფოს და ხალხის ბედ-იღბალს ორი ელემენტი—„რასა“ და „სივრცე“—განსაზღვრავს. ავტორის აზრით, სწორედ ამ ორმა ფაქტორმა უზრუნველყო ძველ დროში რომის იმპერიისა, ხოლო საშუალო საუკუნეებში—კარლოს დიდის იმპერიის მსოფლიო ბატონობა. ფრიდრიხ შტივე გერმანიისა და იტალიის გეოგრაფიულ სტრუქტურას აღარებს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთისას („რუსეთის უწყვეტ მინდორ-ვლებს და საფრანგეთის მკვეთრად შეზღუდულ სივრცეს“). იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ გერმანიისა და იტალიის ქვეყნების ბატონობის „გარდუვალობას“ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთზე თითქოს თვით ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკა განსაზღვრავს. შტივეს „ზეავტორიტეტული“ განცხადებით, გერმანია და იტალია მოწოდებული არიან იბატონონ არა მარტო საფრანგეთზე და რუსეთზე, არამედ ყველა სხვა ხალხზე, მთელ მსოფლიოზე.

შეიძლება ითქვას, შტივემ წინასწარ „განსკვრიტა“ „ლერძის“ სახელმწიფოთა აგრესიული პოლიტიკის მიმართულებას და „დაასწრო“ ფართო დაპყრობების ფაშისტური პროგრამის დამუშავება.

მოსახლეობის თვალისაზრების, ხალხთა სხვადასხვა ფენის გახრწნისა და დამონების მიზნით ფაშისტები არ ერიდებიან არავეითარ ზრიკებს: დემაგოგიას, სიცრუეს, შანტაჟს, დაპირებებს, პროვოკაციებს. ისინი განსაკუთრებით გლეხობის გაბიაბრუებას ცდილობენ. სურთ რა გლეხთა მასები დამპყრობელია გაწვრთნილ და მორჩილ არმიად აქციონ და აგრეთვე რათა დაფარონ საშუალო და ღარიბი გლეხობის მხეცური ექსპლოატაცია, ფაშისტებმა გამოიგონეს ლეგენდა ე. წ. გერმანიის „გლეხთა იმპერიისა“ და „გლეხური თავადაზნაურობის“ შესახებ. ამ თვალსაზრისის შესაბამისად მათ „გადააკეთეს“ გერმანელი ხალხის ისტორიული წარსულიც. როგორც ამხ. დიმიტროვი აღნიშნავდა კომინტერნის VII კონგრესზე, ფაშისტ „ისტორიკოსთა“ წიგნებში „გერმანელი ხალხის უდიდესი მოღვაწეები წარსულში მონათლული არიან ფაშისტებად, ხოლო გლეხთა დიდი მოძრაობანი დახატულია პირდაპირ როგორც ფაშისტური მოძრაობის წინამორბედნი“. ფაშისტებმა შეთხზეს ლეგენდა, თითქოს ფაშისტური რეჟიმი წარმოადგენს გლეხთა იმ იდეალის გამოხატულებას და განხორციელებას, რისთვის-





საც საუკუნეთა განმავლობაში გერმანიის გლეხობა თავგამეტებით ებრძოდა სასულიერო და სამოქალაქო ფეოდალებს.

დამახასიათებელია, რომ თვით მიხაკისფერი ფიურერის ბოლდიუს „წიგნ-შიაც“ გამოხატულება ჰპოვა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის „წონასწორობის დამყარების“ გიჟურმა იდეამ. ჰიტლერი გერმანიის გლეხობას „პირდება“, რომ დაპყრობილ ტერიტორიებს გასწმენდს ადგილობრივ მოსახლეობისაგან და ყველა არა გერმანელ ერს წაართმევს პოლიტიკურ უფლებებს. ამ ახალ მიწებზე იგი მარტოოდენ გერმანელ გლეხებს დაასახლებს. იგი ფერადი საღებავებით ხატავს გერმანელ „გლეხ-მხედართა“ ახალი კლასის შექმნას, მათი უსაზღვრო გამდიდრების პერსპექტივას. ამ მიმართულებით ფაშისტები კრეკენ და აყალბებენ გერმანიის გლეხთა ომებისა და რეფორმაციის ისტორიასაც. ჰიტლერელები გერმანიის მთელ ისტორიას წარმოადგენენ როგორც მარტოოდენ შუასაუკუნეებრივ გლეხთა ისტორიას. ისინი სრულიად უგულვებელჰყოფენ გერმანულ ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას, რომელიც ესოდენ მაღალკულტურულ გავლენას ახდენდა მთელ შუასაუკუნეებრივ ცხოვრებასა და ურთიერთობაზე. ფაშისტური ისტორიოგრაფიის ეს უდიდესი სიყალბე ჯერ კიდევ ხაზგასმით ამხილა განთქმულმა ისტორიკოსმა გერმან ონკენმა<sup>1</sup>.

ასეთივე კრაზი განიცადა „გლეხთა თავადაზნაურობის“ ფაშისტურმა იდეალმა. ისტორიულ წყაროებთან ახლოს გაცნობა საპნის ბუშტივით აქარწყლებს ფაშისტურ ლეგენდებს გერმანელთა „რასის“ მძარად მაღალკულტურულობის შესახებ. არამცთუ იულიოზ კეისარი (100—44 წწ. ჩვენს ერამდე), არამედ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ისტორიკოსი ველვი პატერკულე და განსაკუთრებით გამოჩენილი რომაელი ისტორიკოსი კორნელი ტაციტუსიც (55—117 წ. წ.) მკაფიოდ მოგვითხრობენ გერმანელ ბარბაროსთა ველურობის, სიზარმაცისა და მუქთახორობის შესახებ. ძველ გერმანელთა მეურნეობა ძალზე ჩამორჩენილი ყოფილა, მათ არ გააჩნდათ არავითარი ლითონის იარაღი და წარმოდგენაც არ ჰქონდათ მკვიდრი მეურნეობის წარმოებაზე. გერმანელები „იზრდებოდნენ სიშიშვლესა და ქუჭუში... რომელთა აღზრდა არაფრით არ განსხვავდება მონის აღზრდისაგან. ისინი ცხოვრობენ პირუტყვებს შორის, პირუტყვებთან ერთად“<sup>2</sup>.

ერთადერთი „ღირსება“, რითაც ძველი გერმანელობა გამოირჩეოდა, თავდავიწყებული ლოთობა და ღრეობა იყო. უთუოდ, ამ პირუტყვულ თვისებაში გამომჟღავნდა გერმანელთა აღზრდა და ცხოვრება პირუტყვთან ერთად: „მათ სირცხვილად არ მიაჩნიათ განუწყვეტელი ღრეობა დღისითა და ღამით, როგორც ეს ხდება ხოლმე მთვრალებს შორის, ძალიან ხშირად მათ ერთმანეთს შორის ჩხუბი და აყალბაყალი მოსდით, რაც იშვიათად თავდება მხოლოდ ლანძღვაგინებით, უფრო ხშირად—მკვლევობებითა და ქრილობების მიყენებით“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. კრებული „ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაციის წინააღმდეგ“: სკაზინის, სეგალის, გრაცინსკისა და ნუუსინინის სტატიები.

<sup>2</sup> იხ. ქრესტომათია: ტაციტუსი, ძველი გერმანელები, გვ. 27, 1939.

<sup>3</sup> იქვე.



მაგრამ საინტერესოა ფაშისტების მიერ იდეალიზირებული წინაპრების სწრაფი უოფაცხოვრებო დეტალიც: „მათი საკვები მარტივია: ტყის ხეხილის ნაყოფები, ნანადირევი ან დამეფებული რძე, სრულიად შეუშაბდებლად, საკმაზისა და სანელებლის გარეშე ისინი შიმშილს იკლავენ. სმაში ისინი თავდაუტყრობას იჩენენ, სმასა და ლოთობაში ისინი რომ ნებაზე მიუშვან და წათამამო, ამ მანკის დახმარებით მათ უფრო ადვილად დაამარცხებ, ვიდრე იარაღით“<sup>1</sup>. აქედან გასაგებია ჰიტლერული კაციჭამიების ალკოპოლიანი სასმელებით ესოდენ საეჭვო გატაცება. დაკვირვებულ გენეალოგს უთუოდ არ გაუჭირდება დაამტკიცოს ლეისა და ჰიმლერის გვარტომობრივი სიახლოვე ბახუსის მოყვარულ წინაპრებთან.

ფაშისტური ისტორიოგრაფიის, ისე როგორც მთელი ფაშისტური იდეოლოგიის, სიმბოლოს, საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს რასული კაციჭამიობის „თეორია“. მიაწერეს რა თავისი თავი და თავიანთი ავაზაკთა ხროვა „უმადლეს რასას“, რომელიც მოწოდებულია მთელ კაცობრიობაზე იბატონოს, ჰიტლერი, გებელსი, როზენბერგი, ჰიმლერი და მათი მეგობრები მთელ დანარჩენ კაცობრიობას „ისტორიის ნაგავად“ და „არასრულფასიან რასად“ აცხადებენ. ფაშისტების განსაზღვრით, ამერიკელები და ინგლისელები „ნახევარკაცებია“, ფრანგები — „ნეგროიდები“ და „მეტისები“, იაპონელები — „არასრულფასიანი ადამიანები“, რუმინელები, უნგრელები, თურქები — „მაიმუნები“, სლავიანთა ყველა ხალხები — „დაბალი რასა“, ხოლო რუსები — „მონგოლოიდები“, იტალიელები — „სისხლგახრწნილი და მოწამლულ-სულიანი ადამიანები“, ზანგები და აღმოსავლეთის ხალხები — „ცხოველები“ ან „გარეული მხეცები“. საერთოდ თითოეულს არა გერმანელს ფაშისტები თვლიან „ადამიანებიდან ცხოველისაკენ გარდამავალ საფეხურზე მყოფად, რომელიც გაცილებით ახლოს დგას მაიმუნთან, ვიდრე ადამიანთან“.

მხოლოდ გერმანელობა — ეს მითიური „არიელები“ ანუ „ნორდული რასა“ ბატონთა „უმადლესი რასის“ შარავანჯითაა შემოსილი.

ამასთანავე არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ ფაშისტური კონცეფციით თითოეული რასა თავის მხრით იყოფა სრულფასიან და არასრულფასიან ადამიანთა ჯგუფებად: ფაშისტების მტკიცებით, მხოლოდ გერმანიის გაბატონებულ კლასებში — კაპიტალისტებში, მემამულეებში, კულაკობაში — მათ შორის ფაშისტთა ხროვაში არის შენახული „ჩრდილოეთის წმინდა სისხლი“, ხოლო მშრომელი მასები, მუშათა კლასი და მშრომელთა სხვა ფენები „მწერებს“, „პირუტყვს“ და „ისტორიის სასუქს“ წარმოადგენენ, ისინი მოწოდებული არიან ფაშისტურ არისტოკრატის ნიადაგი გაუბოხიერონო.

ფაშისტი ბარბაროსები სისხლიანი ექსპერიმენტებით ცდილობენ უფრო დამაჯერებელი გახადონ თავიანთი ველური „თეორიები“. ასე, მაგალითად: 1938 წელს გერმანიის ფაშისტურ ჟურნალში გამოქვეყნებულ იქნა ჰიტლერული არმიის ერთ-ერთი უმაღლესი ოფიცრის „მეცნიერული“ სტატია: „საპაერო ბომბარდირების სარგებლობის შესახებ რასული სელექციისა და სოციალური ჰი-

\* იქვე, გვ. 27.





გიენის თვალსაზრისით“. აზოგადებდა რა ესპანელ ქალთა და ბავშვთა ბომბარდირების „მეცნიერული“ ცდის შედეგებს, პირსისხლიანი ფაშისტი ოფიცერი ცოფიანი მხეცის დორბლმორვეით წერდა:

„საპაერო ბომბარდირებით ქალაქებში ყველაზე მეტად ზარალდება უფრო მჭიდროდ დასახლებული რაიონები. რადგან ეს რაიონები და უბნები დასახლებულია ღარიბი, უსახსრო მოსახლეობით, ამიტომ საპაერო ბომბარდირებით საზოგადოება თავისუფლდება ასეთი მოსახლეობისაგან... გარდა ამისა, ერთ ან რამდენიმე ტონიანი ყუმბარების აფეთქება არა მარტო მრავლად ხოცავს ხალხს, არამედ გარდუვალად იწვევს მოსახლეობის დიდი რაოდენობის ჭკუაზე შეშლას. ნერვულ-სისტემასწილილი ადამიანები ვერ გადაიტანენ ასეთ დიდ საშინელებას. ამრიგად, საპაერო ბომბარდირებანი დაგვეხმარებინ ასეთი სუსტნერვებიანი ადამიანების გამოძლევენებასა და საზოგადოების ცხოვრებიდან მათ გარიყვაში. როდესაც ასეთი ავადმყოფობა გამოძლევენდება, საჭიროლა იქნება დავადებულის სტერილიზაცია (უხაყოფოდ ქცევა). ამით უზრუნველყოფილი იქნება რასული შერჩევა“<sup>1</sup>.

ფაშისტი „თეორეტიკოსთა“ კონცეფციით, კაცობრიობის მთელი ისტორია რასების ბრძოლით განისაზღვრება. აღფრედ როზენბერგის მტკიცებით („XX საუკუნის მითი“), ისტორია წარმოადგენს „სისხლის სისხლთან, რასის რასასთან ბრძოლას“. ეს მკვლელი ძველი ორაკულივით ქადაგებს: „ახლა ახალი ერა იღვიძებს: მითი სისხლისა, რწმენა, რომ სისხლთან ერთად ჩვენ ვიცავთ ადამიანის ღვთაებრივ არსობას საზოგადოდ“.

ფაშისტების შეხედულებით, კულტურის ჩასახვა, აყვავება და დაღუპვა რასული ურთიერთდამოკიდებულებითაა პირობადებული. სახელმწიფოს დაცემა, ხალხების ღვერადაცია და დაღუპვა თავდაპირველი „სრულფასიანი რასის“ სიწმინდის დარღვევით, „დაბალი რასების“ სისხლის მოზღვავევით არის გამოწვეული. „ჩრდილოეთის“ რასა—ეს თანდაყოლილ ბატონთა ფენაა. ფაშისტები ამტკიცებენ, რომ ვერობის ყველა სახელმწიფო და მათი კულტურული ფასეულობანი „გერმანელების შექმნილია“. გამოდის, რომ ისტორია მოწოდებულია დაამტკიცოს „მაღალი გერმანული რასის“ ისტორიული უფლება სხვა ხალხებზე ბატონობისა. ფაშისტური ისტორიოგრაფია ასეთ მისიას „წარმატებით“ ასრულებს.

ჰიტლერელ „ისტორიკოსთა“ პლედა ცდილობს დაამტკიცოს, თითქმის „გერმანული სისხლი“ აღუღაბებდა ერთმანეთთან ყველა ხალხს, რომელნიც რომის საღეთო იმპერიაში შედიოდნენ. თურმე სწორედ ეს „გერმანული სისხლი“ ყოფილა არა მარტო ხალხებისა და სახელმწიფოების შემავრთებელი ფაქტორი, არამედ იგივე „ნორდული სისხლის“ მაგიური ძალა განსაზღვრავდა და აპირობებდა „არიელთა რასის“ უძლეველობას ხალხებთან ბრძოლაში ძველ, საშუალო და ახალ საუკუნეებში. ფაშისტი კალმონები წელში წყდებიან, რათა ამავე საბუთებით „დასაბუთონ“ ყაჩაღური გეგმები დასავლეთ, შუა და აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიების დაპყრობისა. განსაკუთრებით ყურადღებას ფაშისტები

<sup>1</sup> იხ. გაზ. „იზვესტიას“ 1938 წ. 16 მაისის ნომერი.





„აღმოსავლეთის სივრცეების“ „ათვისების“ პრობლემას მიაქცევენ. არა მარტო ბალკანეთის სლავიანები, არამედ მთელი ბალტიის მხარე, ბელორუსია, უკრაინა, ურალი, კავკასია ნერწყვესა ჰგერის მტარვალებს. თვით ჰიტლერი თავის ბოღვითს წიგნში („ჩემი ბრძოლა“) ცინიზმით აყალიბებს ფაშისტური გერმანიის გეგმას განაგრძოს დაპყრობითი ხაზი აღმოსავლეთისაკენ იმ ადგილებიდან, სადაც 600—700 წლის წინათ მათი წინაპრები მოგერიებულ იქნენ რუსების მიერ. ახლანდელი პირსისხლიანი ფაშისტების „ლირსეული“ წინაპრები, რომელთაც ფაშისტები ასე აიდეალებენ, იყვნენ ტევტონური და ლივონური რაინდები, რომელთაც კარლ მარქსმა „ქოფაკი ძალები“ უწოდა. რუსმა მხედრობამ ამ გერმანელ „ჯვაროსნებს“ არა ერთხელ ჩასცა გამანადგურებელი ლახვარი და საბოლოოდ დაუჯარგა მათ რუსეთის მიწა-წყალზე თავისი ღორული დინგის შეყოფის მაღა.

ტევტონურ ბარბაროსების ახლანდელი მემკვიდრეები—ფაშისტები ყოველგვარი ხრიკებით ცდილობენ გააღვივონ და წააქეზონ გერმანელთა მხეცური ინსტინქტები, ისინი გაფაციცებით ჭეჭავენ არქივებიდან ძველ-გერმანელი ბარბაროსების „საგმირო საქმეებს“, აიდეალებენ გერმანელ „ქოფაკ რაინდთა“ კანიბალურ ზნე-ჩვეულებებს, მათ მხეცურ სისასტიკეს. მათი წინაპრების დამარცხებას აღმოსავლეთში გერმანელი ფაშისტები მიაწერენ გერმანელი მეფეების „მცდარ“ პოლიტიკას, რომლებმაც თავიანთი შეუწყვეტელი ლაშქრობით სამხრეთისაკენ (იტალიის წინააღმდეგ) გამოფიტეს გერმანიზმის ძალები აღმოსავლეთშიო. ფაშისტების აზრით, გერმანელთა ძალების დაქსაქსევით ორ ფრონტზე თურმე ისარგებლეს რუსებმა, ლატვიელებმა, პოლონელებმა და გერმანელები მათ მიერ დაკავებული ადგილებიდან გააძევესო. ფაშისტები მთელი ძალდონით მოუწოდებენ გერმანელებს სისხლით წარეცნონ ეს სირცხვილი და კვლავ მოაწყონ ჯვაროსნული ლაშქრობა აღმოსავლეთის წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ფაშისტური ისტორიოგრაფია სარევენო ლოზუნგს „Drang nach Osten“. თავის ცენტრალურ და საბრძოლო ლოზუნგად აღიარებს. ფაშისტი „ისტორიკოსები“ ტყავიდან ძვრებიან, რათა აღმოსავლეთ ტერიტორიების მიმართ „დაასაბუთონ“ ფაშისტური გერმანიის „ისტორიული უფლება“<sup>1</sup>.

ისტორიული მეცნიერების უტიფარი ფაშისტური ფალსიფიკაციისა და ისტორიული წყაროებისადმი ცინიკური დამოკიდებულების წინააღმდეგ ამხედრდნენ კონსერვატიულ-ნაციონალისტური სკოლის ისტორიკოსები. ამ სკოლის წარმომადგენელთა პროტესტებმა და კრიტიკამ რელიეფურად გამოხატა ის იდეოლოგიური უთანხმოებანი, რომელნიც გერმანიის იმპერიალიზმის სხვადასხვა მიმართულებას ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ. ძველი აკადემიური სკოლა, რომელსაც სათავეში ედგა ისტორიკოსთა მთელი რიგი — მეინგეკე, ონკენი, ბრანდენბურგი და სხვ., მკვეთრად წინ აღუდგა ფაშისტ ცრუისტორიკოსთა პლედას ვალტერ ფრანკის ხელმძღვანელობით. დამახასიათებელია, რომ ძველ ნაციონალისტ მეცნიერთაგან ისტორიის ფაშისტურ ინსტიტუტს მხოლოდ სამი პროფესორი მიემხრო, მათ შორის ფაშისტის უტენიო მსახური ერის მარქსი,

<sup>1</sup> ან. იმავე კრებულში აკად. ტარლეს და გრაციანსკის სტატები.





პროფესორი კ. მიულერი და ავსტრიელი ფაშისტი პროფესორი ჰენრიხ ფონ-სრბიკი.

მოწინააღმდეგე მიმართულებებს შორის კონფლიქტმა გამწვავებული ხასიათი მიიღო. „აკადემიკოსებმა“ გაბედეს „თახელობა“ ხმა აღმალგებით ფაშისტების ველური „კონცეფციების“ წინააღმდეგ, რითაც უდიდესი რისხვა და რეპრესიები დაიმსახურეს. გერმან ონკენი და ბრანდენბურგი გაბედულად წინ აღუდგნენ ფაშისტ ცრუისტორიკოსებს გერმანიისა და მსოფლიო ისტორიის კარდინალურ საკითხთა განმარტება-შეფასებაში. ისინი კვალდაკვალ უმტკიცებდნენ ფაშისტებს მათ აბსოლუტურ უფიცობას, დაუზოგავად ააშკარავებდნენ მათ თაღლითობას, გაუგონარ სიყალბესა და ფალსიფიკაციას. ძველი სკოლის ისტორიკოსები არ ასრულებდნენ ფაშისტების მოწოდებას დაეწერათ „ისტორიის პოლიტიკა“, დღევანდლობის პოლიტიკური იდეალი წარსულზეც გადაეტანათ, შეეკრიჭათ და შეერყვნათ ისტორიული ფაქტები ფაშისმის ახალ ამოცანათა შესაბამისად. ამ უკანასკნელთ არ სურდათ შერიგებოდნენ ბნელეთის მოკვებულთა ისტორიულ მანიპულაციებს, რომელნიც თავიანთ წიგნებში და სტატიებში ძირფესვიანად ამახინჯებდნენ ისტორიულ ფაქტებს, ისტორიულ სიმართლეს, რათა ფაშისმის მხეცობა და სისაძაგლე წარსულის „ანალოგიებით“ გაემართლებიათ. კონსერვატიული სკოლის წარმომადგენლებმა ასტეხეს განგაში ფაშისტების მიერ ისტორიული სკოლის უხეში ფალსიფიკაციის გამო და მოუწოდებდნენ შეურიგებელი ბრძოლისაკენ „სწავლული“ დერჟი-მორდების წინააღმდეგ. მწვავედ ამითრახებდა რა ფაშისტებს, ისტორიკოსი ონკენი მიუთითებდა, რომ პიტლერელები ამახინჯებენ ისტორიულ მეცნიერებას, უარყოფენ მას, გაუბრბიან და უგულვებელჰყოფენ სარწმუნო წყაროებს. ონკენი მოუწოდებს ისტორიული ფრონტის მუშაეებს „დაუბრუნდნენ შემეცნების წმინდა წყაროებს, რათა სიმართლისა და სამართლიანობის გამახვილებული შეგნებით მისგან წარსულის ნაციონალურ ფასეულობათა გაღრმავებულნი გაგება ამოვიღოთ“.

დამახასიათებელია, რომ აღნიშნული ისტორიკოსები გამოდიოდნენ აგრეთვე ისტორიული მეცნიერებისადმი რასული „თეორიის“ გამოყენების წინააღმდეგაც, არ ეთანხმებოდნენ ფაშისტებს, რომელნიც მთელი კაცობრიობის ისტორიას რასათა ბრძოლის გამოხატულებად აცხადებდნენ. გერმან ონკენი და მისი თანამებრძოლები ხალხების ისტორიას განიხილავდნენ, როგორც ერთიან ისტორიულ პროცესს, რომლისგან გერმანელი ხალხის ხელოვნურად გამოყოფა და გამოცალკეეება დაუშვებელიაო. ისინი გადაჭრით მოითხოვდნენ, რათა გერმანიის ისტორიის შესწავლა და გაშუქება დაეკავშირებიათ სხვა ხალხების საყოველთაო ისტორიასთან; მათი მტკიცებით, გერმანელი ხალხი იმ ტომთა კონგლომერატიდან გამოვიდა, რომელნიც კარლოს დიდმა თავის იმპერიაში გაერთიანა.

ონკენმა და მისმა თანამაზრებებმა ისტორიული საბუთებით მოხერხებულად დაამხვრიეს ფაშისტების უილაჯო „არგუმენტები“, რომლებითაც ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ გერმანიის სახელმწიფოს ყველა დამარცხება და ფათერაკი გერმანელ იმპერატორთა მცდარი პოლიტიკით აეხსნათ.





განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ სკოლის წარმომადგენელთა გაღმარება ფაშისტების იმ რეაქციული თეზისის წინააღმდეგ, თითქოს გერმანელობა წარმოდგენდეს მითითურ „სრულფასიანი სისხლის არიელთა უმაღლეს რასას“, რომელსაც კაცობრიობის წინაშე ვითომდა რაღაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდეს. დიდძალი ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძველზე, ონკენი და მისი მეგობრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „ჩრდილოეთის წარმართული გერმანელების“ უმთავრესი „ღვაწლი“ ბალტიის ზღვის გერმანულ სანაპიროეთის ცეცხლითა და მახვილით აოხრებაში გამოიხატებოდა. ან, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, გამოირკვა, რომ „ჩრდილოეთის სრულფასიანი“ სისხლის მქონე წარმართი გერმანელები დაუზოგავად უსწოდებოდნენ, ძარცვავდნენ, ჰკლავდნენ თავის მოძმე ქრისტიან გერმანელებსვე, როდესაც ეს უკანასკნელები ბალტიის სანაპიროების კოლონიზაციას ახდენდნენ. ეს ისტორიული დეტალი ფაშისტებისათვის გამანადგურებელი ლახვარის ჩაცემას უდრიდა: დიდი ჰაპანწყევტა გადახდათ ფაშისტ ბაშიბუზუკებს, რათა „ნორდული რასის“ ისტორიული „ღვაწლი“ და „დამსახურება“ ნათელეყოთ, მაგრამ წყეულმა „აკადემიკოსებმა“ მაინც ყველაფერი ამაოდ აქციეს. დიდძალი ოფლი და მელანი დაღვარეს ფაშისტებმა თავიანთ „მამაც და სახელოვან“ წინაპართა აღმოჩენისათვის ზრუნვის დროს, ქექეს წარსული, იმდენი ქექეს, რომ მთელი ისტორია გადააბრუნეს და, აი, მტრების საამებლად გამოთხარეს თავიანთი წინაპრები. ფაშისტების „სახელოვანი“ წინაპრები აღმოჩნდნენ ძველი გერმანელი წარმართი ბარბაროსები (ქრისტიანი გერმანელები კიდევ უარესად გამოიყურებოდნენ), რომელნიც მხეტია ჯოგებად თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, ძარცვავდნენ ხალხს, აწამებდნენ ქალებსა და ბავშვებს, არ ინდობდნენ თავისიანებს და უცხოელებს, მთელ ტომებსა და ხალხებს სპობდნენ. ძველი გერმანელების მხეცობასა და სიველურეს აღნიშნავდა ჯერ კიდევ I საუკ. რომის ისტორიკოსი ველეი პატერკულე: „გერმანელები,—წერდა იგი,—მთელ თავის სიველურესთან ერთად ნამდვილი გაბღენძილი პირუტყვები არიან და თითქოს სიცრუისათვის არიან გაჩენილი“<sup>1</sup>.

ტაციტუსიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ იყო დიდი წარმოდგენისა მის თანამედროვე გერმანელებზე. მისი გადმოცემით, გერმანელები „მთელ თავის დროს ატარებენ ნაწილობრივ ნადირობაში, მაგრამ უფრო მეტად სრულიად უქმად—ძილსა და ჭამაში, ასე“ რომ ყველაზე უფრო ძლიერები სრულიად არაფერს არ აკეთებენ. სახლის პენატთა და ყანების მოვლას ქალებს, ბებრებსა და საზოგადოდ თავისი ოჯახის ყველაზე უფრო სუსტ წევრებს აკისრებენ. თვითონ ისინი კი სიზარმაცეში არიან ჩაფლულნი“<sup>2</sup>. ან, კიდევ: „გერმანელები გაცილებით ადვილია დაარწმუნოთ საომრად გასვლაზე და ქრილობათა მიღებაზე, ვიდრე მიწის ხენაზე... კიდევ მეტიც—მათ სულმოკლეობად და სიზარმაცედ მიაჩნიათ ოფლით მოიპოვონ ის, რისი მოპოვებაც სისხლით შეიძლება“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. ქრესტომათია: ვ. პატერკულე, მარობოდის სახებდრო კავშირის ისტორია, გვ. 12.

<sup>2</sup> იხ. ქრესტომათია: ტაციტუსი, ძველი გერმანელები, გვ. 25.

<sup>3</sup> იქვე.





როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანან ერთმანეთს ეს „ქერთაშენებელი“ და მათი ჩამომავალი — პირსისხლიან ფაშისტთა ხროვა.

აი, თურმე, რაგვარ „სრულფასიანი ნორდული“ სისხლის წინაპრებზე გაჰკვივან ასე ხმამაღლა „უმაღლესი რასის“ ჰიტლერელი ნაშვირები. აი, ვის თვლიან ისინი გერმანიზმის უმაღლეს იდეალად, „ჩრდილოეთი რასის განსახიერებად“ და ცივილიზაციის მებაირახტრეებად. ნამდვილად ისინი, თვით გერმანელ ჰუმბოლდტ მეცნიერთა აღიარებით, „მტაცებელი კაც-ნადირნი“ იყვნენ, რომელნიც, მსგავსად ჰიტლერელ კაცობაშია, უდანაშაულო აღამიანთა სისხლს ნიაღვრად აყენებდნენ და მასში საღისეობრივ განცხრომით ბანაობდნენ.

ძველი ისტორიკოსები არ ეთანხმებიან ფაშისტებს ისტორიის მთელ რიგ სხვა კარდინალურ საკითხებშიაც. ფაშისტთა სავალალოდ, ისინი წარმატებით ამტკიცებენ, რომ თანამედროვე გერმანელი ერი შექმნილია კარლოს დიდის იმპერიის მრავალეროვნული და სხვადასხვა ტომობრივი იმპერიის საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ გერმანელ ხალხს, ისე როგორც სხვა ხალხებსაც, უხვად ურევია „არასრულფასიანი“ სისხლი ანუ „გერმანული, სისხლის დანაგვიანება“, რაზეც განუწყვეტლივ ჰყეფენ ფაშისტების გოშები, რისიც მათ ასე ეშინიათ, და რაც დიდი ხანია უკვე მომხდარა და დასრულებულია კიდევ. ამას ადასტურებენ თვით გერმანიის გამოჩენილი მეცნიერები. ეს უკანასკნელი აგრეთვე მკვეთრად ეწინააღმდეგებიან „გოტანის“ წარმართულ კულტს, რომელსაც ჰიტლერელები ქადაგებენ. ონკენი და მისი თანამოაზრენი კიცხავენ ფაშისტების ვალაშკრებას ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ და აღნიშნავენ ქრისტიანიზმის უდიდეს ისტორიულ დამსახურებას გერმანელი ხალხის წინაშე.

ფაშისტთა და ძველი კონსერვატიული სკოლის ისტორიკოსთა შორის უთანხმოებათა კედელი აღიმართა. ჰიტლერელებს, ცხადია, არ შეეძლოთ მშვიდად ეცქირათ ისეთი ავტორიტეტული ოპოზიციისათვის, რომლის წარმომადგენლები დიდი ერუდიტები იყვნენ და ამავე დროს უდიდესი გავლენით სარგებლობდნენ გერმანიაში. როგორც მოსალოდნელი იყო, ფაშისტებმა უჩრთა წინააღმდეგ ხელის ერთი მოქნევით მოაწყვეს „ბართლომეს ღამე“.

როგორ უნდა შეფასდეს ძველი სკოლის ისტორიკოსთა პოზიციის მნიშვნელობა? მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მეცნიერთა გამოსვლას ფაშისტების ბნელეთის მოციქულთა წინააღმდეგ ობიექტურად უდიდესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, ისინი მაინც ვერ ჩაითვლებიან ფაშისტების პრინციპულ მოწინააღმდეგეებად. ცხადია ისიც, რომ გერმან ონკენი და მისი თანამოაზრენი ძველი კონსერვატიული სკოლიდან ისტორიულ მეცნიერებაში ცდილობენ „ობიექტურობის“ დროშით გამოვიდნენ, მოითხოვენ ისტორიული წყაროებისა და ფაქტების ღრმად შესწავლას, მათ მეცნიერულ ანალიზს, მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმი სრული გარკვეულობით აღნიშნავს ბურჟუაზიული „ობიექტურობის“ რაობასა და ღირებულებას. ლენინი სტატიაში „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი“ წერდა: „კლასობრივ ბრძოლაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში „მიუდგომელი“ სოციალური მეცნიერების არსებობა შეუძლებელია. მიუდგომელ მეცნიერებაზე ფიქრი დაქირავებული მონობის საზოგადოებაში ისეთივე სულელური გულუბრყვილობაა, როგორც ის, რომ



ფაბრიკანტებისაგან მოველოდეთ „მიუდგომლობას“ საკითხში, ხომ არ ვერაფერი მოხდება და კაპიტალის მოგების შემცირება“<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ „აკადემიკოსები“ ოსტატურად და ზოგჯერ გაბედულადაც კი აკრიტიკებდნენ ისტორიული წარსულის ფაშისტ ფალსიფიკატორებს, ისინი ვერ ამჩნევდნენ და ზურგს უქცევდნენ იმ რეაქციული აგრესიული მიზნების გამომწვევებას, რისთვისაც ფაშისტებმა ასე უმოწყალოდ „გადაქექეს“, შერყვნეს და წაბილწეს მთელი ისტორია.

იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ინტერესთა დაცვასა და დასაბუთებას, ამ პუნქტში ეს ორივე ზანაკი არა ანტიპოდებს, არამედ ტყუბებს წარმოადგენენ.

### III

მარქსისტულ-ლენინურ ისტორიკოსთა წმიდათა წმიდა მოვალეობას წარმოადგენს ძირფესვიანად გამააჟკარავონ ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკაცია, ნათელჰყონ ფაშისტების ბნელეთის მოციქულობა, რომელიც მეცნიერებას თავის ყაჩაღურ პოლიტიკას უმორჩილებს. კომუნისტური ინტერნაციონალის მეშვიდე მსოფლიო კონგრესის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „კომუნისტები ყოველნაირად უნდა ებრძოდნენ ხალხის ისტორიის ფაშისტურ ფალსიფიკაციას, ყოველივე იღონონ, რათა ისტორიულად სწორად, ნამდვილი ლენინურ-სტალინური შიძღვრების საფუძველზე გაუშუქონ მშრომელთა მასებს მათი საკუთარი ხალხის წარსული, რათა თავისი ახლანდელი ბრძოლა დაუკავშირონ წარსულის რევოლუციურ ტრადიციებს“<sup>2</sup>.

ფაშისტურ ფალსიფიკატორთა ნამდვილი მხილება და მათი სრული განადგურება შეუძლია არა ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას, არამედ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას. მარქსისტულ-ლენინური ისტორიული კრიტიკა, რომელიც ისტორიული მეცნიერების მარქსისტულ-ლენინური გენიალური მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს, აკამპტვერებს და სრულიად გააცამტვერებს ფაშისტურ ისტორიოგრაფიას.

მარქსის უდიდესი დამსახურება მეცნიერების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველმა აღმოაჩინა საზოგადოების ისტორიული განვითარების შინაგანი ფარული კანონები. მარქსის საფლავზე 1883 წ. 22 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში ფრ. ენგელსი ამბობდა: „როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული ქვეყნის განვითარების კანონი, ისე მარქსმა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი აღმოაჩინა“<sup>3</sup>.

ჯერ კიდევ თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე მარქსმა და ენგელსმა ხაზგასმით აღნიშნეს ისტორიული მეცნიერების უდიდესი მნიშვნელობა რევოლუციური პროლეტარიატისათვის. „გერმანულ იდეოლოგიაში“ ისინი წერდნენ: „ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთადერთი მეცნიერება, მეცნიერება ისტორიისა. თუ ისტორიას განვიხილავთ ორი მხრიდან, შეიძლება მისი გაყოფა

<sup>1</sup> ლენინი, ტომი XVII, გვ. 349.

<sup>2</sup> იხ. კონგრესის „რეზოლუციები“, გვ. 28. პარტგამომც. 1935 წ.

<sup>3</sup> კ. მარქსი, რჩ. ნაწ. გვ. 12, პარტგამომც., 1935 წ.





ბუნების ისტორიად და ადამიანთა ისტორიად. მიუხედავად ამისა, მხარე განუყრელად დაკავშირებულია: რამდენადაც არსებობენ ადამიანები, ბუნების ისტორია და ადამიანთა ისტორია ურთიერთ განაპირობებენ<sup>1</sup>.

ამრიგად, ისტორიულ მეცნიერებას, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ და საითკენ მოძრაობდნენ კლასები წარსულში და საითკენ მიემართებიან ისინი მომავალში, მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილთაგანი უკავია. მეცნიერული კომუნიზმის დიდი ფუძემდებლები აღიარებდნენ, რომ ისტორია წარმოადგენს პროლეტარიატის იდეურ იარაღს ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოებისათვის. ისტორია ეხმარება მუშათა კლასს გაიგოს ისტორიული განვითარების პროცესის კანონზომიერებანი და დასახოს ძირითადი გზები საზოგადოების საბოლოო განთავისუფლებისათვის.

როგორც ცნობილია, ისტორიული მეცნიერების წარმოშობა დაკავშირებულია ამომავალი ბურჟუაზიის პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსვლასთან, მის პირველ პოლიტიკურ ნაბიჯებთან მისი ზრდისა და აყვავების პერიოდში; ვარადავალ რეაქციულ კლასებთან და წოდებებთან ბრძოლის დროს ბურჟუაზიული ისტორიკოსები მოწინავე და პროგრესულ ისტორიულ მეცნიერებას ემყარებოდნენ. ლენინი სტატიაში „სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება“ წერდა: „თუ მარქსმა შესძლო აეთვისებია და შემდგომ განეგრძო ერთი მხრით „XVIII საუკუნის სული“ მის ბრძოლაში ფეოდალურ და ხუცურ შუასაუკუნეებთან, ხოლო მეორე მხრით XIX საუკუნის დასაწყისის ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების ეკონომიზმი და ისტორიზმი (აგრეთვე დიალექტიკა), ეს მხოლოდ ამტკიცებს მარქსიზმის სიღრმეს და ძალას... იმას, რომ რეაქციონერ ისტორიკოსთა და ფილოსოფოსთა მოძღვრებებში არსებობდნენ ღრმა აზრები პოლიტიკურ მოვლენათა ცვალებადობის კანონზომიერებისა და კლასთა ბრძოლის შესახებ, მარქსი მუდამ მიუთითებდა ისეთი გარკვეულობით, რომელიც გაუგებრობისათვის ადგილს აღარ სტოვებდა“<sup>2</sup>.


მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიის აღმავალი მოძრაობის დროსაც კი ისტორიული მეცნიერების განვითარებამ ვერ მოიპოვა მეცნიერული საფუძვლები. ეს ვასაგებიცაა: კლასობრივმა შეზღუდულობამ ბურჟუაზიის არ მისცა შესაძლებლობა სწორად შეეფასებინა კაცობრიობის წარსული განვითარება, ისევე როგორც მან ვერ შესძლო მისი მომავალი განვითარების მიმართულების გაგება. ამიტომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია უმთავრესად კმაყოფილდებოდა ნედლი ფაქტებისა და ისტორიული წყაროების დაგროვებით, ან, უკეთეს შემთხვევაში, იგი ისტორიული პროცესის ცალკე მხარეებს გამოსახავდა. მაგრამ ბურჟუაზიული მეცნიერება მეთოდოლოგიურად სრულიად უილაჯო იყო და არის: მას არ შეუძლია გახსნას საზოგადოების ისტორიული განვითარების დიალექტიკური არსი — მისი შინაგანი კანონზომიერება.

ახალ იმპერიალისტურ ეპოქაში, კაპიტალიზმის ლაბობისა და ხრწნის პერიოდში ბურჟუაზიულ-ისტორიული მეცნიერების, განსაკუთრებით მისი მეთოდ-

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ., ტ. IV, გვ. 8.

<sup>2</sup> ლენინი, ტომი XVII, გვ. 275.





დოლოგიის კრიზისი კიდევ უფრო განვითარდა და გაღრმავდა. სოციალისტური მშენებლობის ისტორიული გამარჯვებები საბჭოთა კავშირში და რევოლუციური მოძრაობათა გიგანტური განვითარება ევროპასა და კოლონიურ ქვეყნებში იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ განიცადა როგორც უდიდესი კატასტროფა და მან საბოლოოდ პირი იბრუნა ისტორიული მეცნიერებისაგან. ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის რეაქციულმა ტენდენციებმა. რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგია ფალსიფიკაციისა და საზიზღარ სიყალბეთა გზას დაადგა...

ჯერ კიდევ თანამედროვე ფაშისტების წინამორბედი ე. წ. აკადემიური ნაციონალისტური ისტორიოგრაფია ამ მიმართულებით შორს წავიდა. მან საქმით დაამტკიცა, რომ ე. წ. „ობიექტივიზმი“ და ისტორიული წყაროების მეცნიერული შესწავლა-ანალიზი მისთვის—შედარებითი ცნებაა. იმპერიალიზმის ბურჟუაზიულმა აპოლოგეტებმა თვალსაჩინოდ გვიჩვენეს, თუ რამდენად შესწევთ უნარი მათთვის საჭირო მოვინისტურ-დაპყრობითი პოლიტიკის შესატყვისად განმარტონ ყოველგვარი ისტორიული წყარო და ფაქტი. ისტორიის ბურჟუაზიული გამყალბებლები მიდიან ისტორიული წარსულის ობიექტური შესწავლის წინააღმდეგ. მათ ისტორია გადააქციეს ხელოვნურად შერჩეულ, ერთი მეორისაგან გათიშულ, დამახინჯებულ და ხშირად გამოგონებული ფაქტების საგნად; განვითარების, პროგრესის ცნება და მიზეზობრივი კანონზომიერება მათ ჩვენი მომწესრიგებელი შეგნების პროლექტად გამოაცხადეს. ამგვარად, მათ არსებითად „გააუქმეს“ ისტორია, როგორც მეცნიერება. გამოდის, რომ ნაციონალისტურ-კონსერვატიულმა ისტორიოგრაფიამ წინ გაუსწრო და წინასწარ განსაზღვრა პირისხელიანი ჰიტლერელების „ისტორიული“ მისია.

ფაშისტურმა ურჩხულმა მდიდარი მზა მემკვიდრეობა მიიღო, მაგრამ იგი როგორც ფინანსიური კაპიტალის ტერორისტული დიქტატურის უფრო მხეცური ფორმა, როგორც ბნელეთის მოციქულობის ბარბაროსული გამოვლინება, არა თუ „წარმატებით“ დაუფულა მის წინამორბედთა ნამოღვაწარს, არამედ გაუგონარი თავხედობით გადააყირავა მთელი კაცობრიობის ისტორია; ფაშიზმმა მხეცური გამძვინვარებით უკუაგლო, „გააუქმა“ ისტორია როგორც მეცნიერება.

მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ ისტორიულ მეცნიერებას შეუძლია ფაშისტური ისტორიოგრაფიის მიღება და განადგურება. მხოლოდ მას შესწევს უნარი იხსნას ისტორია ფაშისტ ბარბაროსთა ხელყოფისაგან. მარქსიზმ-ლენინიზმმა „გვიჩვენა გზა მეცნიერულ შესწავლისაკენ ისტორიისა, როგორც ერთიანი კანონზომიერი პროცესისა მის მრავალმხრივობასა და წინააღმდეგობაში“<sup>1</sup>.

მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიის ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიულისაგან იმაში მდგომარეობს, რომ იგი არა შარტო სწავლობს კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონებს, არამედ გადაჭრით მოითხოვს საზოგადოების ისტორიის, როგორც საზოგადოებრივი განვითარების, კანონზომიერი პროცესის განხილვას.

<sup>1</sup> ლენინი, რჩ. ნაწ. ტომი VI, 33. 16.



მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერება მოვლენებსა და მოვლენებსა და გამოიკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბუნების მოვლენებთან მიზეზობრივ კავშირში, ყველა იმ პირობის ობიექტურად შესწავლის შედეგად, რომლებშიაც წარმოიშობიან და ვითარდებიან საზოგადოებრივი მოვლენები, კლასობრივი ბრძოლა, სამართლიანი და უსამართლო ომები და სხვ. იგი აღმოაჩენს მათ მიზეზობრივ კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას. „მაშასადამე, საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოების ისტორია უკვე აღარ წარმოადგენს „შემთხვევითობათა“ გროვას, ვინაიდან საზოგადოების ისტორია ხდება საზოგადოების კანონზომიერ განვითარებად, მხოლოდ საზოგადოების ისტორიის შესწავლა იქცევა მეცნიერებად“<sup>1</sup>.

ამხანაგმა სტალინიმა თავის გენიალურ შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ საბჭოთა ისტორიკოსებს უმტკიცესი მეთოდოლოგიური საფუძველი მისცა. დიდმა ბელადმა თვალსაჩინოდ გვიჩვენა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმმა, რომელმაც აღმოაჩინა ისტორიული განვითარების კანონები, საზოგადოების ისტორიის შესწავლა პირველად გადაქცია ნამდვილ მეცნიერებად. საზოგადოებრივი მოვლენებისადმი ისტორიულმა მიდგომამ იხსნა ისტორიული მეცნიერება „შემთხვევითობათა ქაოსად და ყოველად უაზრო შეცდომათა გროვად გადაქცევისაგან“<sup>2</sup>.

ავრცელებს რა ფილოსოფიური მატერიალიზმის დებულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი სცნობს ისტორიის ისეთსავე ზუსტ მეცნიერებად, როგორც არის ბიოლოგია და სხვა კონკრეტი მეცნიერებანი. სტალინი დაასკვნის, რომ მეცნიერებას ისტორიის შესახებ საცესებით შეუძლია მოგვეცეს სარწმუნო ობიექტური ცოდნაო.

ამხანაგი სტალინი ლენინის კვალდაკვალ, ახალი ისტორიული ფაქტების განზოგადების საფუძველზე, ღრმად სწავლობს მსოფლიო ისტორიის და იდეურად აიარაღებს რევოლუციურ მასებს გადამწყვეტი ბრძოლებისა და გამარჯვებისათვის. სტალინი, როგორც დიალექტიკის უდიდესი ოსტატი, ასწავლის ისტორიკოსებს ისტორიის საკითხებისადმი დიალექტიკური მიდგომის ხერხებს, აძლევს ამოსავალ მეოროდოლოგიურ ძაფს მსოფლიო ისტორიის ძირითადი საკითხების სწორი შესწავლისა და გაგებისათვის. ილაშქრებს რა საერთო ევროპული და მსოფლიო ისტორიიდან ცალკეული ქვეყნის ისტორიის მოწყვეტის წინააღმდეგ, ამხანაგი სტალინი კატეგორიულად მოითხოვს ამა თუ იმ ხალხის ისტორია შესწავლილ იქნას როგორც მსოფლიო ისტორიის ნაწილი.

ამხანაგ სტალინის გენიალურ შრომებს და მითითებებს ისტორიის საკითხებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფაშისტ ფალსიფიკატორთა მხილების საქმეში.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სტალინის გენიალური მოძღვრება ხალხთა ეთნოგენეზისის შესახებ. თავისი ბრწყინვალე დასკვნებით ნაციო-

<sup>1</sup> ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც. გვ. 676.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 671.



ნალური სახელმწიფოების წარმოშობის საკითხზე, ეროვნებათა ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ სტალინი ნაცარტუტად აქცევს ფაქტურ კაციკამიების ცრუმეცნიერულ რასულ „თეორიებს“. ამხანაგმა სტალინმა 1934 წ. თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVII ყრილობაზე დაუზოგავად ამხილა ფაქტების ეს ნაბოღვარი, რომელიც „ისევე დაშორებულია მეცნიერებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან“<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1876 წ. განთქმული სწავლული—ექიმი და ანთროპოლოგი რუდოლფ ვირხოვი (1821—1902) ამტკიცებდა, რომ შეხედულება ერთიანი გერმანული ტიპის შესახებ სრულიად თვითნებურია და უაღბიო. ვირხოვი წერდა: „ჯერ კიდევ არავის არ მოუტანია იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ გერმანელებს ჰქონდეთ თავის ქალის ერთი და იგივე ფორმა, ანუ, სხვა სიტყვებით, თითქოს გერმანელები დასაბამიდან მთლიან ხალხს წარმოადგენდნენ“.

1929 წ. კ. ზალემ, დიდძალი ანთროპოლოგიური მასალის გულდასმითი ანალიზის საფუძველზე, თვალსაჩინოდ დაამტკიცა, რომ არავითარი „ჩრდილოეთის“ ანუ „არიელთა“ რასა არ არსებობს და არც არასოდეს ყოფილა.

გერმანელმა ისტორიკოსმა, ლინგვისტმა და არქეოლოგმა თეოდორ მომზენმა (1817—1903) თვალსაჩინოდ ნათელჰყო ფაქტი გერმანელთა და კელტთა ტომების შეჯვარებისა<sup>2</sup>.

მაგრამ თუ ასე უსჯელობდნენ თითქმის ჩვენი თანამედროვე მეცნიერები, მოვუხმინოთ ძველი საუკუნეების ისტორიკოსს.

ტაციტუსი გარკვევით მიუთითებდა გერმანელთა და ვალთა ტომების აღრევაზე, რამაც გამოიწვია არა გერმანიზაცია, [არამედ კელტიზაცია. ტაციტუსი წერდა გერმანელთა შესახებ, რომ „შერეულ ქორწინებათა წყალობით ისინი მნიშვნელოვნად დამახინჯდნენ მსგავსად სარმატებისა“<sup>3</sup>. ასეთია უაღრესად ავტორიტეტული მოწმობა გერმანელთა „წმინდა“ ქორწინებათა და „რასული სიწმინდის“ შესახებ.

თანამედროვე ისტორიულმა მეცნიერებამ უცილობლად დაამტკიცა, რომ ყველა ამჟამად არსებული ეროვნებანი სხვადასხვა რასათა და ტომთა ხანგრძლივი და მრავალჯერი აღრევისა და ასიმილაციის ნაყოფს წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1913 წ., დიდძალი მასალის შესწავლა—ანალიზის საფუძველზე, დაასკვნიდა, რომ ეროვნული ერთობა არ წარმოადგენს არც რასულს და არც ტომობრივ ერთობას. „დღევანდელი იტალიის ერი შექმნილია რომაელებისა, გერმანელებისა, ეტრუსკებისა, ბერძნებისა, არაბებისაგან და სხვ. საფრანგეთის ერი ჩამოყალიბდა ვალებისა, რომაელებისა, ბრიტებისა, გერმანელებისაგან და სხვ... იგივე უნდა ითქვას ინგლისელებზე, გერმანელებზე და სხვებზე“<sup>4</sup>. მაშასადამე, გამოდის, რომ არავითარი

<sup>1</sup> სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 539.

<sup>2</sup> იხ. თ. მომზენი, რომის ისტორია, ტომი III, გვ. 174, 176.

<sup>3</sup> იხ. ქრესტომათია: ტაციტუსი, ძველი გერმანელები, გვ. 29.

<sup>4</sup> სტალინი, მარქსიზმი და ნაც. კონ. საკითხი, გვ. 7. პარტკამოც. 1934 წ.





რასული „სიწმინდის“ შესახებ არ შეიძლება ლაპარაკი. ამხანაგმა სტალინმა უდავოდ დაამტკიცა, რომ თვით რასული „ხასიათი“ და თვისებანი განუწყვეტლივ იცვლებიან, რომ რასული განსხვავებანი ისტორიული განვითარების მსვლელობაში და საზოგადოებრივ წყობათა ცვლებადობის დროს უფრო და უფრო სწორდება და გლუვდება.

არ უარყოფს რა რასების არსებობას, მარქსიზმ-ლენინიზმი ამასთანავე მიუთითებს, რომ „წმინდა“ რასები ბუნებაში არ არსებობენ. რასული ნიშნები წარმოადგენენ კაცობრიობის შიგნით ბუნებრივად წარმოშობილ განსხვავებებს და ეს განსხვავებანი ისტორიული განვითარების პროცესში თანდათან უნდა გაქრნენ და ქრებიან კიდევ. ამგვარად, რასულობა არ წარმოადგენს რაიმე მყარს, მარადიულ კატეგორიას, არამედ იგი არის მორფოლოგიურ ნიშანთა მარად განვითარებაში მყოფი ჯგუფები, რომლებიც საზოგადოებრივ კანონზომიერებებს ექვემდებარებიან და ცხოვრების პირობების შეცვლის კვალდაკვალ იცვლებიან.

მაგრამ რასული „თეორია“ ესაჭიროება ფაშიზმს, მას იგი სჭირდება იმისათვის, რათა დაფაროს თავისი კაციჟამიობის მხეცური ინსტინქტები, რათა გაამართლოს თავისი აგრესიულ-დაპყრობითი პოლიტიკა, თავისი ბოღვითი ანტიურთისტული მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ.

ამხანაგმა სტალინმა ევროპულ ტელეგრაფთა სააგენტოს შეკითხვაზე ასე უპასუხა: „ნაციონალური და რასული შოვინიზმი არის კაცთმოძულეობის ზნე-ჩვეულების გადანაშთი, რომელიც კანიბალიზმის პერიოდს ახასიათებს; ანტი-სემიტისმი, როგორც რასული შოვინიზმის უკიდურესი ფორმა, წარმოადგენს კანიბალიზმის ყველაზე საშიშ გადანაშთს“<sup>1</sup>.

ამხანაგ სტალინის შრომებს საბჭოთა ისტორიკოსებისათვის აქვს ფასდაუდებელი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ფაშისტური ცრუსტორიკოსების და ფალსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ ანტიისტორიულ ცდებში — გააყალბონ და შეაფერადონ ისტორიული მოვლენები და ფაქტები. ისტორიულ შრომაში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ ამხანაგი სტალინი განსაკუთრებული გარკვეულობით და სიღრმით განსაზღვრავს ისტორიული მეცნიერების მიზნებსა და ამოცანებს. ებრძვის რა შიშველ აბსტრაქტულ სქემებს, გაუბრალოებასა და ვულგარიზატორულ გამოვლინებას, ამხანაგი სტალინი გვიჩვენებს დიალექტიკური მეთოდის სრულყოფილ გამოყენების ნიმუშს სამყაროს შემეცნებაში, გვიჩვენებს ყოველგვარი ისტორიული ეპოქის და ისტორიულ ვითარებაში კლასობრივი ბრძოლების კლასიკური ანალიზისა და შეფასების ოსტატობას.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. მან დაუზოგავად უნდა გამოააშკარავოს ისტორიის ფაშისტური ფალსიფიკატორები, ნათელჰყოს მათი სიწყალბე, ანტიმეცნიერულობა, ვერავობა და დემაგოგია. მაგრამ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკ ისტორიკოსთა ამოცანა არ ამოიწურება მარტო იმით, რომ ამხილონ ფაშისტი გამყალბებლები. მათ ამასთანავე

<sup>1</sup> მოლოტოვის სიტყვიდან სსრ კავშირის VIII საგანგებო ყრილობაზე 1936 წ.



უნდა დაიცვან, დაასაბუთონ და ფართოდ გაავრცელონ მასებში ისტორიის მატერიალისტური გაგება, გაარკვიონ ხალხების ცხოვრების ისტორიის სიმართლე და ქეშმარიტი აზრი.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის ამოცანები ამხ. მოლოტოვმა ასე განსაზღვრა: „ჩვენ ბოლშევიკები... ვაფასებთ და პატივს ვცემთ ჩვენი ხალხის ისტორიის დიდებულ საქმეებს, ისე როგორც ყველა ხალხისა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ნამდვილი პროგრესი უნდა ემყარებოდეს ხალხების მთელ ისტორიას და მათ ყველა მიღწევაზე წარსულ საუკუნეებში. უნდა გაიხსნას ხალხების ცხოვრების ისტორიის ქეშმარიტი აზრი, რათა საფასვლით უზრუნველყოთ დიდებული მომავალი ჩვენი ხალხებისა და, მასთან ერთად, ნათელი მომავალი ყველა ხალხისა<sup>1</sup>.

(შემოვიდა რედაქციაში 1.XI.1941)

<sup>1</sup> 1939 წ. 7 ნოემბრის გაზ. „პრაედა“.



დ. უსნაჰე

## ზოგი რამ ფაზიზმის „თეორიებიდან“

უკვე მეორე წელია, რაც კონტინენტალური ევროპის თითქმის მთელი დასავლეთი ნაწილი გერმანული ფაზიზმის ძალაუფლების ქვეშ მოექცა. ფაზიზმმა ყველგან თავისი „წესები“ დაამყარა, „წესები“, რომელთა საფუძველზეც, ფაზისტების ბრწინებით, ევროპის ხალხთა ჯერ არყოფილი, ჰემმარიტად „სამართლიანი“, მშვიდობიანი, კულტურული, ბედნიერი ცხოვრების შესაძლებლობა უნდა იქნას დიდხნით უზრუნველყოფილი.

მაგრამ რას ნიშნავს ფაზისტების „სამართლიანი“, „მშვიდობიანი“, „კულტურული“, „ბედნიერი“ ცხოვრება, ეს ამ ორი წლის განმავლობაში ყველასათვის ნათლად გამოირკვა. ევროპის დაპყრობილი ხალხების კენესა, ცრემლი და სისხლი ყველას თვალსაჩინოდ მოუთხოვს, რომ ფაზიზმის „სამართლიანი“ უსამართლოს ნიშნავს, მისი „მშვიდობიანობა“ განუწყვეტელ შეუბრალებელ სისხლისღვრას, მისი „კულტურა“ ბარბაროსობას და მისი „ბედნიერი“ ცხოვრება სიკვდილის ნატერას. რომ ეს ასეა, ამას პრაქტიკულად განიცდის დღევანდელი კაცობრიობა. მაგრამ რომ ეს ასე უნდა ყოფილიყო, ეს დიდი ხანია ნათლად მოჩანდა ფაზიზმის „თეორიული“ შეხედულებებიდან—ფაზიზმის პრაქტიკა ფაზიზმის თეორიის ღვიძლი შვილია.

### რასა, როგორც ძირითადი მნიშვნელობის ცნება

მართლაცდა, როგორია ფაზიზმის ძირითადი ზრახვები? როგორია მისი მსოფლმხედველობის, მისი იდეოლოგიის მთავარი პრინციპები? ცნობილია, რომ გერმანელი ფაზისტების ძირითადი ცნება რასის ცნებაა. მათი თეორეტიკოსები ერთხმად აცხადებენ „რასა ყველაფერია“-ო. მათი აზრით, რასაა ის ძირითადი ძალა, რომელიც წარმართავს ყველაფერს და რომელსაც, მაშასადამე, ყველაფერი უნდა ემორჩილებოდეს. იგია ის საფუძველი, რომელიც მთელს ცხოვრებას, საზოგადოებრივსა და პიროვნულს, აზრსა და მიმართულებას აძლევს—მთელი ისტორიის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

მაგრამ რაა რასა? რაა რასა, რასული თეორიის მიხედვით? რასა ცოცხალ არსებათა ჯგუფია, რომელიც სხვათაგან გამოცალკევებულობისა და ბუნებრივი შერჩევის წყალობით განვითარდა—ერთი ძირიდან, ყოველგვარი უცხო ელემენტის შერევის გარეშე. ეს ჯგუფი თავისი, მემკვიდრეობით მიღებული, ფიზიკური





და სულიერი თვისებების გამო, არსებითად განსხვავდება სხვა ამგვარ ჯგუფთაგან და ყოველთვის თავის მსგავსს წარმოშობს“, — ამბობს ფაშინის ერთ-ერთი თეორეტიკოსი. გამოდის, რომ მისთვის რასა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ზოოლოგიური ერთიანობაა, რომელსაც საფუძვლად „სისხლს“ და შთამომავლობა უდევს — იგი ისაა, რისთვისაც დაახლოებით ჯიშის შეიძლება გვეწოდებია.

გერმანული ფაშინის თეორეტიკოსების აზრით მთელი კაცობრიობა ასეთი რასებისაგან, ასეთი ჯიშებისაგან შედგება და კაცობრიობის მთელი ისტორიის შინაარსს ამ რასათა ბრძოლა, საზოგადოდ, ამ რასათა ურთიერთდამოკიდებულება შეადგენს. რასობრივი თავისებურება ან „რასული სული“ — ან ერთადერთი ძალა, რომელიც მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მთელს ისტორიას ამოძრავებს: „ჩვენ გვწამს რასის სულის არსებობა, რომელიც შინაგანად ჯანსაღ ერს იმ გზით წარმართავს, რომელიც მას იმთავითვე, წინასწარ აქვს განგებით განკუთვნილი. ჩვენი დროის უდიდესი განვითარება, ან უკეთ, უღრმესი რწმენა იმაში მდგომარეობს, რომ ახლა სისხლი და ხასიათი არა როგორც ურთიერთის მიმართ უცხო ცნებები განიხილება, არამედ როგორც რაღაც ერთგვაროვანი, როგორც განსხვავებული განსახიერება არსებითად ერთისა. ასეთ რწმენას არც მატერიალისტური ხასიათი აქვს და არც სპირიტუალისტური, ვინაიდან იგი პირველად ფენომენად სისხლისა და ხასიათის ერთობის ფაქტს აღიარებს, პირველად ფენომენად, რომლის საფუძვლების ძებნა, მაშასადამე, სრულიად არაა საჭირო. რასა წარმოადგენს სულის გარე მხარეს, სული კი პირიქით, რასის შინაგანი ასახვა... არსებითად, მსოფლიო ისტორია არ არსებობს. არის მხოლოდ ისტორია სხვადასხვა რასებისა და ხალხებისა, ისტორია სხვადასხვა რასული სულისა, რომელნიც ურთიერთს ებრძვიან“, — ამბობს როზენბერგი.

რასაკვირველია, რასულ განსხვავებულობათა ფაქტის უარყოფა აზრადაც არ მოსდის თანამედროვე მეცნიერებას. მარქსი და ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ასეთი ფაქტი არსებობს, და მიუთითებენ ერთგვარ როლზე, რომელსაც იგი ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში ასრულებს: „თუ ჩვენ საზოგადოებრივი წარმოების მეტი ან ნაკლები განვითარების განყენებას მოვხდენთ, შრომის ნაყოფიერება მაშინ ბუნებრივ პირობებთან აღმოჩნდება დაკავშირებული. ეს უკანასკნელი კი მთლიანად შეიძლება დაყვანილ იქნას თვით ადამიანის ბუნებაზე, მის რასაზე და ა. შ. და ადამიანის ირგვლივ არსებულ ბუნებაზე“, — ამბობს მარქსი (Капитал, т. I, 1936, გვ. 4 26). მაგრამ რასული თავისებურება, რომელიც ბუნებრივი ფაქტორის გამოვლენას წარმოადგენს, ადამიანის განვითარების ისტორიულ პროცესში სოციალურ ფაქტორს ემორჩილება და მისი გავლენით ხშირად თვალსაჩინოდ იცვლება: „ისტორიული განვითარების პროცესში შეიძლება მოისპოს და უნდა მოისპოს თვით ბუნებრივად წარმოშობილი გვაროვნული განსხვავებულებებიც კი, როგორც, მაგალად, რასობრივი განსხვავებულებები“, — ამბობენ მარქსი და ენგელსი (Соч., т. VI, გვ. 413). ნაციონალური ხასიათი, რომელსაც როზენბერგი „რასულ სისხლთან“ აიგივებს, სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთხელ და სამუდამოდ როდია მოცემული, არამედ ცხოვრების პირობებთან ერთად იცვლება“.



ამრიგად, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რასული თეორიისა და რასულ განსხვავებულებათა ფაქტის აღნიშვნა იყოს სპეციფიკური. არა! ამ თეორიისათვის სულ სხვაა დამახასიათებელი, სახელდობრ, განსაკუთრებით ენერჯიული ხაზგასმა, გამუდმებული მტკიცება იმისა, თითქოს რასული თვისებები, ე. ი. ის, რასაც ისინი „რასულ სულს“ უწოდებენ, სწორედ ერთხელ და სამუდამოდ იყოს მოცემული, თითქოს იგი, როგორც ასეთი, არ იცვლებოდეს, თითქოს ისტორია კი არ ცვლიდეს მას, არამედ, პირიქით, ის ცვლიდეს, ის ქმნიდეს ისტორიას.

### რასების წარმოშობა

რასისტები ამტკიცებენ, რომ კაცობრიობა, მართალია, რამდენიმე რასას შეიცავს, მაგრამ ეს გარემოება იმას კი არ ამტკიცებს, თითქოს ეს რასები ისტორიული განვითარების პროცესში გამოეყვნენ ურთიერთს და როგორც განსხვავებული რასული ერთეულები, ჩამოყალიბდნენ. არა! კაცობრიობა, რასული თეორიის რწმენით, იმთავითვე, ჩანასახშივე რამდენიმე განსხვავებულ რასად იყო გაყოფილი. აღამიანი ერთს ბიოლოგურ გვარს როდი წარმოადგენს, არამედ იგი თავიდანვე რამდენიმე განსხვავებულ შტოს შეიცავდა, რომელიც ურთიერთისაგან სრულიად დამოუკიდებლად გაჩნდა და რომელსაც არაფერი ერთმანეთთან საერთო არ ჰქონდა. რასული თეორია, ბუნებრივად, აღამიანის წარმოშობის ე. წ. პოლიგენისტურ ჰიპოთეზს იცავს, ჰიპოთეზს, რომელიც ძირიანად ეწინააღმდეგება თანამედროვე მეცნიერებაში უდავოდ დადასტურებულ ფაქტებს და არაფითარ შემთხვევაში ნამდვილ მეცნიერულ ჰიპოთეზად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ რასულ თეორიის ნამდვილი მეცნიერება არც წამს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მისთვის სარწმუნოებაა მთავარი და არა ის, რასაც მეცნიერება ეწოდება.

### განვითარების უარყოფა

გერმანული ფაშისხმის თუნდ მარტო ამ ჰიპოთეზის გაცნობაც საკმარისია, რათა მისი იდეოლოგიის უსირცხოდ გამიშვლებული რეაქციული და კონტრ-რევოლუციური ბუნება დაეინახოთ.

მართლაცა, როგორც დავინახეთ, ფაშისტების აზრით, ისტორიას ერთხელ და სამუდამოდ გარკვეული, უცვლელი ძალა—ჯიში, რასა—ამოძრავებს. მაშასადამე, განვითარებაზე აქ ლაპარაკიც ზედმეტია: განვითარება შეცვლას ნიშნავს, რასის ფაქტებისებურება კი სწორედ ისაა, რომ იგი ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, რომ იგი არ იცვლება და არც უნდა შეიცვალოს. პირიქით, რაც უფრო შეცვლილია რასა, ე. ი. რაც უფრო შერეულია იგი, მით უფრო ცუდია: შეცვლა რასისათვის უბედურებაა, და ისტორიის აზრი, ფაშისტების რწმენით, ისაა, რომ ასეთი შეცვლილი, შერეული, არა წმინდა რასები რაც შეიძლება მალე მოისპოს.





ფაშიზმის თეორეტიკოსები შეგნებულად ებრძვიან პროგრესის, განვითარების ცნებას. ისინი, ისე როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც ნიციშეს რეაქციულ ფილოსოფიას ეყრდნობიან. როგორც ცნობილია, ნიციშემ განვითარების ცნებას თავისი ცნობილი „მარადიული დაბრუნების“ (die ewige Wiederkehr) ან მუდმივი განმეორების იდეა დაუბირისპირა. მისი აზრით, ძლიერებისადმი ძალა, რომლის გამოვლინებაც კაცობრიობის ისტორიის მთელ შინაარსს შეადგენს, არ შეიძლება განუსაზღვრელი იყოს. სამაგიეროდ დრო, რომელშიც მას გამოვლენა უხდება, დაუბოლოებელია. მაშასადამე, არ შეიძლება ამ ძალას თავისი გამოვლენის ფორმების განმეორება არ დასჭირდეს: ისტორიაში მუდამ ძველი მეორდება—იქ ახალი არაფერია, ამბობდა ნიციშე. და ამ დებულებას არსებითად უცვლელად იმეორებენ ფაშიზმის თეორეტიკოსები. ლენცი პროგრესს, განვითარებას სრულიად უარჰყოფს: „აზრი განვითარების შესახებ სიყალბეა... ისტორიაში არავითარი პროგრესი არ არსებობს“,—ამბობს იგი. განსაკუთრებით ენერგიულად ასაბუთებს განმეორების იდეას ცნობილი ფაშისტი ფილოსოფოსი ოთმარ შპანი. თავის „კატეგორიათა მოძღვრებაში“ იგი აღუნიშნავს—პერიოდულობა სინამდვილის განსაკუთრებით აუცილებელ კატეგორიას წარმოადგენსო და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ეს მართლაც ასეა: ბუნებაში ყველაფერი მეორდება, მეორდება წლის ნაწილები, ქიმიური ელემენტების სისტემის პერიოდულობაც ამასვე ამტკიცებს, ცოცხალ არსებებს სუნთქვა და გულისცემა ახასიათებს, ძილი და სიფხიზლე, რომელნიც ურთიერთს ცვლიან, პოეზიას რითმი, ენას პერიოდები, მეურნეობას ფულის ტრიალი... წინსვლას, ახალი ფორმების აღმოცენებას, პროგრესს, განვითარებას ნამდვილად არსად არა აქვს ადგილი. განვითარების იდეა მექანიკური იდეაა, რომელიც სიცოცხლეს, კულტურასო,—სრულიად არ ეგუება, იგი კლავს მას და მისი აღიარება სრულიად შეუძლებელია, ამბობს შპანი. „მეურნეობას, სახელმწიფოს, მთელ კულტურას შეუძლია ახალგაზრდობიდან სიმწიფისა და მერე მოხუცებულობის მდგომარეობაში გადავიდეს. მაგრამ არასდროს არ შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რაც იმთავითვე არ იყო პირველადს მთლიანში მეცემული“,—მსჯელობს შპანი და, ამრიგად, განვითარების იდეას არსებითად ნიციშეს „მარადიული განმეორების“ ცნებას უპირისპირებს. განვითარების იდეის უარყოფა ბუნებრივია რასული თეორიის თვალსაზრისით, და ვასაგებია, რომ ლენცი პირდაპირ, წარბეუხრელად აცხადებს: „პროგრესი ჩვენს ხანაში თვითმკვლევლობას ნიშნავს“.

განვითარების ცნების უარყოფა და პროგრესის თვითმკვლევლობად აღიარება განსაკუთრებით დამახანსიათებლად და სიმპტომატურად უნდა ჩაითვალოს ფაშისტური თეორიისათვის: „ლზობის პროცესში ჩართულ კლასს არ შეუძლია წამოაყენოს მოძღვრება პროგრესის შესახებ ან მხარი დაუჭიროს მას—აზრი პროგრესის შესახებ, აღიარება პროგრესისა ბურჰუაზიისათვის საკუთარი გაკოტრების, საკუთარი მოსპობის აღიარებას ნიშნავს“,—შენიშნავს სამართლიანად ბერნარდ ინჟერი.



## დაბალი და მაღალი რახები და ისტორიის აზრი

მთელი კაცობრიობა, ფაშისტების აზრით, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, იმთავითვე გარკვეული რასული ერთეულებისაგან შედგება, და განსაკუთრებით საფულისხმოა, რომ მათ ეს ერთეულები სულ სხვადასხვა ღირებულების მქონედ მიაჩნიათ: არიან ხალხები, ერები სრული ღირებულებისა, და არიან ხალხები, ერები ნაკლები ღირებულებისა.

რასიული თეორიების ავტორები თავის მეცნიერულ ამოცანად სთვლიან სხვადასხვა ხალხების, რასების ღირებულების მიხედვით დაჯგუფებას. არსებობს მრავალი ასეთი დაჯგუფების ცდა და თავისთავად იგულისხმება გერმანელი ფაშისტების ამ ცდებში ყველაზე უფრო მაღალ რასად ნორდული, ე. ი. ჩრდილოელი რასა, ანუ გერმანული რასა ითვლება.

ცნობილი ფაშისტი ავტორის, გუნთერის მიხედვით, სამი ძირითადი რასა—ჩრდილო რასა, დასავლეთის რასა და აღმოსავლეთის რასა—ასე ხასიათდება: „ჩრდილოელი ადამიანის ძირითადი თვისებებია მსჯელობის უნარი, სიმართლე და აქტივობა. იგი თავის თავს ფლობს და ამიტომ სხვის გავლენას ეწინააღმდეგება. მისთვის დამახასიათებელია რეალობის გრძნობა; ეს გრძნობა, შეერთებული აქტივობასთან, რომელსაც სიმამაცის დონემდე შეუძლია ამაღლდეს, აღძრავს მას ფართო წამოწყებებისათვის. იგი ყოველთვის გონიერია, ჩუმი, მდგარია, აუღელვებელია თავის მსჯელობებში. მოვალეობის გრძნობა მას ძლიერ აქვს განვითარებული. იგი ბევრს მოითხოვს თავის თავისგანაც და სხვებისგანაც.“

დასავლეთელი ადამიანის დამახასიათებელი ნიშნები სხვაგვარია: ადვილი აღზნებულება, ცხოვრების დროსტარებდა განცდა და არა მოვალეობად, როგორც მას ჩრდილოელი ადამიანი განიცდის; ყბედობა, ზერელობა, სექსუალობა, საღისტური მიდრეკილებებით, სუსტი შრომისუნარიანობა, სიხარმავე და მიდრეკილება ანარქიზმისა და ფარული შეთქმულებების მიმართ.

აღმოსავლურ რასას იგივე გუნთერი შემდეგნაირად ახასიათებს: „ამ რასის ადამიანი ეჭვიანია, ნელია, იგი ფილისტერია. მას არა აქვს გამბედაობა არც აზროვნებაში, არც მოქმედებაში. იგი ფულის მოყვარულია. მისწრაფება აქვს თანასწორობისადმი, დემოკრატიისადმი. ეს იმით აიხსნება, რომ აღმოსავლური რასის ადამიანი საშუალო სიმაღლეს ვერაფერში ვერ ამეტებს და ამიტომ ყოველგვარი სიდიდის მიმართ, რომელსაც კი ხვდება ცხოვრებაში, თუ ზიზღს არა, ანტიპათიას მიიჩნევს გრძნობს.“

როგორც ვხედავთ, რასულ თვისებათა აღწერა აქ წმინდა ღირებულების თვალსაზრისით არის ნაწარმოები და ნამდვილი დადებითი ნიშნებით მხოლოდ „ჩრდილოელი რასა“ დახასიათებული. კიდევ უფრო აშკარად იგივე თვალსაზრისი როზენბერგის კლასიფიკაციაშია მოცემული.

როზენბერგი კაცობრიობას ორს მთავარ ნაწილად ჰყოფს: ერთი „ბატონთა რასები“, ხოლო მეორე—„დაბალი ადამიანების რასები“,—ამბობს იგი, და ამ უკანასკნელთა რიცხვს, ფაშისტების რწმენით, ფერადი ხალხების გვერდით რუსებიც ეკუთვნიან.





ყველაზე უფრო გავრცელებული რასული მოძღვრების—ციმეტი-მოდღვრების—მიხედვით, დედამიწაზე სულ სამი ძირითადი რასული ჯგუფი არსებობს. პირველია ე. წ. „ფელახებისა და კულეების რასა“, ე. ი. რასა, რომელსაც ახასიათებს მცირე მოთხოვნილებების ქონება, მორჩილება, სიცოცხლის უნარიანობა, სიბეჯითე. ესაა მონების რასა, რომელიც მთელი ქვეყნიერების მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს („აზიისა და აფრიკის მკვიდრი რასები, რუსეთის აღმოსავლეთი აზიის მცხოვრებნი და სხვ.“). ისინი მოუთმენლად ელოდებიან სხვა რასების წარმომადგენლებს, როგორც თავის ბატონებსა და კოლონიზატორებს. რასათა მეორე ჯგუფს შეადგენენ, ფაშისტების სიტყვით, „პარაზიტული რასები“, რომელნიც მოტყუებითა და ვერაგობით მოქმედებენ. ყველაზე უფრო საშიში მათ შორის ებრაელების რასააო, ამბობენ კაცისჭამია რასისტი თეორეტიკოსები. დასასრულ, მესამე ჯგუფს, ციმერმანის მიხედვით, წარმოადგენენ „ბატონებისა და მეომრების რასები, გერმანიის მეთაურობით, რომლის სამხედრო ძლიერება, მეცნიერება და ტექნიკა მოწოდებულია მთელ ქვეყნიერებაზე გაბატონდეს“.

რა დასკვნები გამოიმდინარეობს აქედან? თუ, რასული თეორიის მიხედვით, ისტორიის მთელ შინაარსს რასათა ურთიერთშორისი ბრძოლა წარმოადგენს, მაშინ ცხადია, რომ მთელი ისტორიის ნამდვილი აზრი ისაა, რომ ყველა რასას თავისი შესაფერისი ადგილი მიეჩინოს: მონებს მონისა და ბატონებს ბატონისა. ეს იმას ნიშნავს, რომ, ფაშისტების აზრით, ნამდვილი, სამართლიანი, კაცობრიობისათვის ერთადერთი ბუნებრივი და, მაშასადამე, გარდუვალი წესი ის იქნება, რომ ბატონებისა და მხედრების რასამ, ე. ი. ფაშისტების გერმანიამ, ყველა ქვეყანა დაიპყროს და სამუდამოდ ყველგან თავისი შეუზღუდველი ბატონობა დაამყაროს.

### რასისტული „შემეცნების თეორია“

ბუნებრივად უჩნდება ადამიანს საკითხი: ნუთუ სერიოზულად ფიქრობენ ფაშისტი-თეორეტიკოსები, რომ მათი მოძღვრება რასების შესახებ მართლაც სწორია? ნუთუ მართლაც დარწმუნებული არიან ისინი, რომ ისტორიას რასა, სახელდობრ, გერმანული რასა წარმართავს? რასაკვირველია, არა. საქმე ისაა, რომ ფაშისტის თეორეტიკოსები თავისებური აზრისა არიან თეორიის, ჭეშმარიტი შემეცნების შესახებ. მათ არ სწამთ მეცნიერება, ნამდვილი შემეცნება, ნამდვილი ჭეშმარიტება. ეს ნათლად ჩანს მათი შეხედულებიდან ადამიანის გონების, ადამიანის ინტელექტის შესახებ.

გონება ობიექტური სინამდვილის სწორ ასახვას, სწორ შემეცნებას ესწრაფვის. მაგრამ, ფაშისტი-თეორეტიკოსების აზრით, მას ამისი ძალა არ შესწევს. ის, რასაც იგი სინამდვილის შესახებ გვეუბნება, არავითარ შემთხვევაში ობიექტურ ჭეშმარიტებას არ წარმოადგენს. ამისი მიზეზი ისაა, რომ ობიექტური სინამდვილე საზოგადოდ არ არსებობს. ბუნება შესაფერი კულტურის ფუნქციას წარმოადგენსო, ამბობს შპენგლერი: მისთვის იგი სუბიექტური განცდაა და მეტი არაფერი. მაშასადამე, გონების ძალებით მოპოვებული ჭეშმარიტება არავით-





თარ შემთხვევაში ობიექტური ვითარების ასახვად არ შეიძლება ჩაითვალოს გონება სინამდვილეს კი არ ასახავს, როგორც ობიექტურად არსებობს ეს უკანასკნელი. არა, გონება „ძლიერებისადმი ნებელობას“ ემსახურება. ამიტომ ჭეშმარიტების საზომად ობიექტური ვითარებისადმი შესატყვისობა კი არ შეიძლება ჩაითვალოს, არამედ მხოლოდ ის, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას „ძლიერებისადმი“ ნსწრაფი ნებელობისათვისო, ფიქრობდა ნიცშე, და თანამედროვე ფაშისტური შემეცნების თეორია მთლიანად იზიარებს ამ შეხედულებას. აქედან გასაგები ხდება, რომ ფაშისმის იდეოლოგიების შემეცნების თეორიაში კვლავ რასის ცნება თამაშობს მნიშვნელოვან როლს; შემეცნება ინსტინქტის, „სისხლის“ საქმეა. სწორი შემეცნება რასისათვის სასარგებლო შემეცნებას ნიშნავს. ამიტომ მისი მიგნება გონების საქმე კი არაა. არა! მას მხოლოდ ინტერნაციონალური შეიძლება წვდებოდეს: სინამდვილის ჭეშმარიტი შემეცნება მხოლოდ ის შემეცნებაა, რომელსაც „უმაღლესი რასის“ „სისხლი“ წვდება.

მაგრამ თუ ასეთია ფაშისტების იდეოლოგიების შემეცნების თეორია, მაშინ გასაგებია, რომ შეუძლებელია მათ თავისი რასისტული მოძღვრების ჭეშმარიტება სწამდეთ. მათ მხოლოდ იმდენად მიაჩნიათ იგი ჭეშმარიტებად, რამდენადც ეს მოძღვრება შეიძლება სასარგებლო, ხელსაყრელი იყოს რასისათვის. როზენბერგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ მითითებულ გვაქვს საქმე, რომელსაც დამტკიცება კი არა, რწმენა სჭირია.

ამრიგად, რასული თეორია არა ნამდვილ თეორიას წარმოადგენს, არამედ რელიგიურ მოძღვრებას, სარწმუნოებას, რომლის დანერგვასაც ევოლუენი დაჟინებით ცდილობენ გერმანელი ფაშისტები გერმანელი ახალგაზრდობის ცნობიერებაში.

### რასული თეორია და ომი

რისთვის ესაჭიროება ფაშისმს რასული თეორია, ეს „ახალი მითი“, ეს „ახალი სარწმუნოება“. პასუხი ნათელია: რასული თეორია ხალხის ცნობიერებას ჩრდილავს. იგი ბურჟუაში ახვევს გერმანელი ხალხის ნამდვილ ინტერესებს და მათი შეგნების ნაცვლად იგი ველურ ინსტინქტებს აღძრავს მასში, ინსტინქტებს, რომლებიც ევოლუენ ესაჭიროება ფაშისმს თავისი ბატონობის დასამყარებლად.

ომის ცემა საზოგადოდ დიდ როლს ასრულებს რასული თეორიის მოძღვრებათა სისტემაში. შეიძლება ითქვას, ფაშისმში ომის აშკარა კულტს ქადაგებს და, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, აქაც ნიცშეს ძალაუფლების ნებელობის ფილოსოფიას ეყრდნობა. ჩრდილი რასას, გერმანულ რასას, როგორც უმაღლესი ღირებულების მქონე რასას, ბუნებრივად ძალაუფლებისადმი ნებელობა ამოძრავებს და მთელი მეოცე საუკუნის ისტორიას, რასისტების მტკიცებით, ეს გარემოება აძლევს აზრსა და შინაარსს. ძალაუფლებისადმი ნებელობა ძალადობას ნიშნავს, ომს სხვა რასებთან და ხალხებთან. გარეშე ომისა, მაშასადამე, შემდგომი განვითარება შეუძლებელია. ამიტომაც, რომ ფაშისტები შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ ყოველგვარი პაციფიზმის წინააღმდეგ. ჰიტლერი გადაჭრით აცხადებს: მუდმივი მშვიდობიანობის შემთხვევაში კაცობრიობა უთუოდ





დაიღუპებოდაო. მუსოლინი ამბობს: „როდესაც ორი ელემენტი ერთმანეთს შეჯახდება, საკითხს მხოლოდ ძალა სწყვეტს. არასდროს ისტორიაში არ ყოფილა და არც იქნება საკითხის სხვაგვარი გადაჭრა. ფაშიზმს არ სწამს რაიმე მტკიცე მშვიდობიანობის შესაძლებლობა, არ სწამს, რომ ასეთ მშვიდობიანობას რაიმე სარგებლობის მოტანა შეუძლია“.

ჰიტლერის მთავარი პრინციპი ასეთია: ყოველ ხალხს საკმარისი ტერიტორია უნდა ჰქონდეს, თორემ იგი შექველად დაიღუპებაო. მაგრამ ტერიტორია მხოლოდ ძალით შეიძლება ჩაიგდო ხელში. გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ, რომ მან ძალით ჩაიგდოს ხელში საჭირო ტერიტორია: „მხოლოდ გამარჯვებული ხალხის ძალა მოგვეცემს მიწა-წყალს და ამით ჩვენი ხალხის სიცოცხლეს უზრუნველყოფს... მე გადაჭრით ვილაშქრებ ყველა იმ უბადრუკი მწერლის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებს—მიწა-წყლის შეძენის ეს წესი „ადამიანის უწმინდესი უფლებების უფურაცხოვად“ უნდა ჩაითვალოსო. ამით ეს მწერლები დანაშაულებრივ უწყობენ ხელს დასუსტდეს და მოისპობს ჩვენს ხალხში ნებელობა საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთადერთი სწორი საშუალების მიმართ“. „ვინც მართლაც სულითა და გულით ესწრაფვის პაციფიზმის გამარჯვებას, იგი ყოველგვარი საშუალებით უნდა ესწრაფოდეს ქვეყნის დაპყრობას გერმანელების მიერ,—განაგრძობს ჰიტლერი,—ფაქტიურად პაციფისტურ-ჰუმანური იდეა მხოლოდ მაშინაა კარგი, როცა მალა მდგომი ადამიანი წინასწარ იპყრობს და იმორჩილებს ქვეყანას ისეთი მოცულობით, რომ იგი დედამიწის ერთადერთ ბატონად გადაიქცეს“.

გასაგებია, რომ რასისტები დაუსრულებელ დითირამბებს უვალობენ ომს: იგი ზრდის და ავითარებს ყველაფერს, რაც კეთილშობილია ადამიანში, ძლიერია და მაღალი, რაინდულია და გამირულიო. სამაგიეროდ პაციფიზმი ყველაფერს ამას ჰკლავსო: იგი ხელს უწყობს სისუსტესა და უძლურებას, ლაჩრობასა და ვერაგობასო.

ამრიგად, რასული თეორიის ძირითადი აზრი, მისი ნამდვილი შინაარსი გერმანული იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობისათვის მზადებაში მდგომარეობს.

### ფაშისტური იმპერიალიზმის ნამდვილი აზრი

მაგრამ რას ნიშნავს ფაშისტური გერმანული იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობა? ნამდვილად ვისი ბატონობის დამყარებაზე ოცნებობენ ფაშისტი მოძალადეები, როდესაც გერმანული რასის მსოფლიო ბატონობის სამართლიანობაზე ლაპარაკობენ?

### დემოკრატია, რასისტების მიხედვით

თითქოს ერთადერთი დასკვნა, რომელიც რასული თეორიიდან გამოიძინარეობს, თითოეული ცალკე რასის ფარგლებში სრული თანასწორობის იდეის აღიარება უნდა ყოფილიყო. მართლაცდა, თუ რომ ყველაფერს რასა უდევს საფუძვლად, მაშინ საიდან უნდა გაჩენილიყო უანსხვავება ერთ და იმავე რასის ადამიანებს შორის? მაღალი რასა მხოლოდ მაღალი ღირებულების მქონე ადა-



მიანებისაგან უნდა შედგებოდეს და, მაშასადამე, რასისტების თეორიის კითხვით, ყოველი ხალხის სახელმწიფოებრივი და სოციალური ორგანიზაცია სრული თანასწორობის პრინციპზე უნდა ყოფილიყო აგებული: ფაშისტური სახელმწიფო უაღრესად დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ყოფილიყო.

ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, არაფერს ისე შეუძლებელ ბრძოლას არ უცხადებენ ფაშისტები, როგორც სწორედ თანასწორობის იდეას, არაფერს ისეთ დიდ ბოროტებად არ სთვლიან, როგორადაც დემოკრატია. „სისულელე იქნებოდა, — ამბობს ჰიტლერი, — განგვესხვაგვებია ადამიანები მათი ღირებულების მიხედვით რასის თვალსაზრისით და ამით ომი გამოგვეცხადებია მარქსისტული დებულებისათვის: „ადამიანი თანასწორია ადამიანის“, ისე რომ აქედან სათანადო დისკვენები არ გამოგვეტანა... თანამიმდევრობა მოითხოვს, აღიარება სისხლის მნიშვნელობისა და აქედან რასული ძლიერებისა გადატანილი იქნას ცალკეულ ადამიანებზეც. დებულება იმის შესახებ, რომ ცალკეულ ხალხებს, მათ რასულ თავისებურებათა მიხედვით, სხვადასხვა ღირებულება აქვთ, უნდა გავრცელდეს ცალკეულ ადამიანებზეც თითოეული ხალხის ფარგლებში... ის მსოფლმხედველობა, რომელიც, უარყოფს რა დემოკრატიულ მოძღვრებას, ისწრაფვის საუკეთესო ხალხს და, მაშასადამე, საუკეთესო ადამიანებს განუმტკიცოს მსოფლიო, ლოგიკური აუცილებლობით ხალხის შიგნითაც არისტოკრატიულ პრინციპს უნდა გაჰყვეს“.

რასისტული თეორია არა მარტო საერთაშორისო პოლიტიკაში ებრძვის თანასწორუფლებიანობის იდეას, იგი პრინციპული მოწინააღმდეგეა დემოკრატიაში „შინაურ პოლიტიკაშიც. დემოკრატიულმა პრინციპებმა კინალამ დაღუპვის კარამდე მიიყვანეს გერმანია, ამბობენ გერმანელი ფაშისტები, მისი გადარჩენა და ამაღლება მხოლოდ არისტოკრატიულ პრინციპს შეუძლიაო. რატომ? იმიტომ, რომ დემოკრატია ხალხის უმრავლესობის, ხალხის ფართო მასების ბატონობას ნიშნავს. ხალხის უმრავლესობა, მასა კი, ფაშისტების ქადაგების თანახმად, ნამდვილ ადამიანებს როდი შეიცავს, რომელთაც კულტურის შექმნა შეუძლიათ: „მასა უძრავია და ზარბაცი... მასას შეთვისების უნარი ძლიერ შეზღუდული აქვს, გაგების წრე ძლიერ ვიწრო, სამაგიეროდ დავიწყების უნარი აქვს ძლიერ დიდი...“ მასსა „სისულელის, უნიჭობის და მხდალობის“ განსახიერებაა, იგი მხოლოდ მასალაა, რომლითაც ნამდვილი „პიროვნება“, „გმირი“, „გენიოსი“ სარგებლობს. „კაცობრიობის კულტურის პროგრესი უმრავლესობის პროდუქტს როდი წარმოადგენს, იგი მხოლოდდამხოლოდ პიროვნების გენიალობასა და მოღვაწეობას ეყრდნობა“, — ამბობს ჰიტლერი.

აქედან, ცხადია, შეუძლებელია ჯანსაღი სახელმწიფო ფართო მასების ინტერესზე აიგოს: მასების ბატონობა, ფაშისტების უსირცხო მტკიცებით, უნიჭობის, უზნეობის, სიზარმაცის, იდიოტიის ბატონობა იქნებოდა. პროლეტარებს, პლებეებს, „საზოგადოების ნაძირალებს“ არ შეუძლიათ დიად კულტურულ ნაწარმოებთა გაგება. მათ მხოლოდ დანგრევა შეუძლიათ მათი, მათ მხოლოდ „ზიზლი შეუძლიათ ყველაფრის იმის მიმართ, რაც დიადია და კეთილშობილი ამ ქვეყნად“, — ამბობს ბრაზმორეული შპენგლერი.





ასეთი თვალებით უყურებენ ფაშისტები ხალხის ფართო მასებს. ზარს ჰგვრის მასების რევოლუციური სულისკვეთება, რომელმაც დრომოკმული ბურჟუაზიული წესწყობილების ნანგრევებზე ახალი, კომუნისტური საზოგადოება უნდა ააგოს.

კი, მაგრამ, როგორ არის მიანიც შესაძლებელი, რასისტული თეორიის მიხედვით, ერთი ხალხის, ერთი რასული მთლიანობის ფარგლებში ადამიანთა შორის ეგოდენ დიდი ხარისხობრივი განსხვავება ვალიაართ? განა ამ თეორიით ყოველგვარ ასეთ განსხვავებულობას რასის ფაქტორი არ განსაზღვრავს? ერთადერთი პასუხი, რომელიც რასისტებს მოეპოვებათ ამ საკითხზე, შემდეგია: ადამიანები ერთნაირად წმინდა წარმომადგენლები როდი არიან თავისი რასის, თუგინდ ისინი ერთ ხალხს ეკუთვნოდნენ—ზოგს უფრო წმინდა რასული სისხლი აქვს, ზოგს ნაკლებ წმინდა. ნამდვილი რასის წარმომადგენლებს მხოლოდ გაბატონებული წრეები იძლევიანო, ამტკიცებენ ფაშისტები, დაბალი წრეები, ხალხის ფართო მასა, პროლეტარიატი უფრო აღმოსავლური რასის თვისების მატარებელია, მასში აღმოსავლური სისხლია შერეული; ამიტომაც, რომ ეს ადამიანები ბატონებდნენ ვერ გადაიქცნენ; ამიტომაც, რომ ისინი დამორჩილებული წრეების შედგენილობას ქმნიანო.

ამრიგად, ნათელი ხდება, თუ რაშია მთელი არსება რასისტული თეორიისა, რისთვისა იგი გამოგონებული, რატომაც იგი ახალ რელიგიად გამოცხადებული. ფაშისტების მთელი ფილოსოფია, როგორც ვხედავთ, ბოლოს და ბოლოს იმთავითვე ამ დებულებაზეა დამყარებული: ხალხის ფართო მასა, პროლეტარიატი, დაბალ რასას ეკუთვნის; დაბალი ღირებულების რასა კი მარად დამორჩილებულ მდგომარეობაში უნდა დარჩეს, იგი წმინდა რასის წარმომადგენლების, გაბატონებული წრეების მარადიულ ბატონობას უნდა დაექვემდებაროს. სამართლიანი წესწყობილება, მარადიული და გარდუვალი წესწყობილება, რომლის გარეშე კულტურული შემოქმედება სრულიად შეუძლებელია, ფაშისტების ქადაგების თანახმად, ექსპლოატაციაზე დაფუძნებული წყობილებაა.

აი ნამდვილი არსება და ერთადერთი აზრი ფაშისტების რასისტული თეორიისა. აქედან გასაგები ხდება, რომ, რასისტული თეორიის მიხედვით, სამართლიანი პროგრესული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრება შეუძლებელია დემოკრატიის პრინციპებზე იყოს აგებული. ამ პრინციპებს ფაშისტები იერარქიის პრინციპებს უპირისპირებენ და მთელს თავის საშინაო პოლიტიკას მათი მიხედვით წარმართავენ.

### იერარქიული წყობილება

ისე, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ფაშისტები აქაც ნიცშეს ეყრდნობიან. როგორც ცნობილია, რანგისა და იერარქიის ცნებას ნიცშეს ფილოსოფიაში განსაკუთრებით თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი. ნიცშესთვის „აზნებობის უღრმეს არსებას ძალაუფლებისადმი მისწრაფება „შეადგენს...“ „ს უ რ გ ი ლ ი უ ფ რ ო ძ ლ ი ე რ ი შ ე ი ქ ნ ა... წარმომადგენს ერთად-



ერთ რეალობას... სურვილი მიითვისო, ბატონად გადაიქცე, გაძლიერდე... ხოლო ამ სურვილის განხორციელების ძალა ყველას ერთნაირი არა აქვს. მაშასადამე, არ შეიძლება თანასწორობა არსებობდეს ადამიანთა შორის: არიან სუსტი და არიან ძლიერი ადამიანები.

კაცობრიობის არსებობის აზრს, მის იმედსა და ბედნიერებას მხოლოდდამხოლოდ ძლიერ ადამიანთა წარმოქმნა შეადგენს. „თვითონ კაცობრიობა უფრო საშუალებაა, ვიდრე მიზანი“. მიზანი მხოლოდ ზეადამიანების შექმნაში მდგომარეობს.

მაშასადამე, მიზანშეწონილად, ნიცემს მიხედვით, მარტო ისეთი საზოგადოებრივი წყობილება შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც სწორედ ძლიერია და უფლებამოყვარული ადამიანების გაჩენასა და განვითარებას უწყობს ხელს. ასეთ წესწყობილებად კი მხოლოდ მკაცრი იერარქიის პრინციპზე აგებული წესწყობილება უნდა იყოს.

ნიცემ საზოგადოებრივი წესწყობილების იდეალად კასტურ წყობილებას თვლის: „დღემდე ადამიანის ტიპის ყოველგვარი ამაღლება უთუოდ არისტოკრატიული საზოგადოების საქმე იყო, ისეთი საზოგადოებისა, რომელსაც რანგთა და ღირსების მიხედვით ადამიანთა ურთიერთშორისი განსხვავების გრძელი მწკრივი სწამს და საჭიროდ მიაჩნია მონობა ამა თუ იმ აზრით“, — ამბობს იგი.

ფაშისმი, შეიძლება ითქვას, უცვლელად ღებულობს ნიცემს ამ იდეას და მთელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრინციპად იერარქიის ცნებას აღიარებს. მაგალითად, შპანის აზრით, „თანასწორობა სიცოცხლის დასასრულია. მხოლოდ რანგი, მხოლოდ განსხვავება ნიშნავს სიცოცხლეს. რანგის მიხედვით, განსხვავებთა გარეშე მსოფლიო ვერ იარსებებდა...“ „ბუნებაში ჩვენ ვხედავთ ადამიანსა და შიმპანზეს, ლომსა და ტურას, კრისტალებსა და ამორფულ მასას—ყველა ეს ხომ სხვადასხვა რანგისაა და სხვადასხვა ადგილი უკავია მსოფლიო კიბზე“, — ამბობს იგი და ამით იერარქიის პრინციპის ბუნებრივობისა და უნივერსალობის დასაბუთებას ცდილობს. მეორე „თეორეტიკოსი“—ვეიპერტი იერარქიის იდეას ემანაციის იდეას უკავშირებს. კოსმოსში წესიერება საფეხურებრივ, რანგობრივ ხორციელდება: იგი ღვთაების ემანაციას, ღვთაების საფეხურებრივ გამოვლენას წარმოადგენსო, ამბობს იგი.

ამრიგად, მთელი სინამდვილე, კოსმოსი, რანგობრივ წესრიგს შეიცავს. მასში ყველაფერი იერარქიულადაა მოწყობილი: დაბალი მაღალს ემორჩილება და ეს უკანასკნელი კი უფრო მაღალს.

იერარქიის ცნების ასეთის, ასე ვთქვათ, უნივერსალური და ონტოლოგიური ხასიათის ხაზგასმა, რასაკვირველია, იმისათვის აქვთ განზრახული ფაშისტ თეორეტიკოსებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავისი იერარქიული წყობილების სამართლიანობა და აზრიანობა დაამტკიცონ და ამრიგად გზა აუზნონ ხალხს, რომელიც ამ იერარქიულ წესებს უნდა შეუთრდნენ და თავისი ექსპლოატაციის სამართლიანობა და გარდუვალობა სცნონ.

უკვე მესამეე წელია, რაც თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ფაშისმი თავისი რასისტული თეორიების აზრის განხორციელებისათვის, მსოფ-





ლიოში თავისი ველური ბატონობის დამკვიდრებისათვის იბრძვის. ამ წინადადებაში მავლობაში კაცობრიობა საკმაოდ დარწმუნდა, რომ ფაშიზმს სიკვდილი და აოხრება მოაქვს, რომ მისი გამარჯვება კულტურისა და ადამიანური ცხოვრების დაღუპვას ნიშნავს. პროგრესული კაცობრიობა თვითმკვლევლობას ვერ ჩაიდენს, ეს სრულიად შეუძლებელია. ფაშიზმი უნდა დაიღუპოს და დღეს, როდესაც მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს საბჭოთა ხალხები და მათი გენიალური ბელადი ხელმძღვანელობს, დღეს ყველასათვის უეჭველია, რომ ფაშიზმის დაღუპვა უანაღოესი მომავლის საქმეა.

(შემოვიდა რედაქციაში 10.X.1941)





დ. ასათიანი

### ვიღებოვნის რასული ინტეგრატაციის სიყალბე

ფაშისტები ჩვენი დროის ობსკურანტები არიან, ობსკურანტიზმი და ფაშ-შიზმი სინონიმებად შეიძლება ჩაითვალოს. ფაშისტები ადამიანის გონების ბუნებრივი სიფხიზლის წინააღმდეგ იბრძვიან. ისინი ცდილობენ გონებრივად დააქვეითონ ხალხი და ამგვარად თავისი შავ-ბნელი ზრახვები იოლად ახორციელონ.

ფაშისტები ცდილობენ რასული „თეორია“ გაავრცელონ ხალხში.

მაგრამ იმავე დროს თვითონაც კარგად გრძნობენ, რომ ფაშშიზმი ანტი-მეცნიერული მოვლენაა. ისინი კარგად გრძნობენ, რომ ამისათვის მათ მოუხდებათ მეცნიერების წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან მეცნიერება სინამდვილის ქეშ-მარტი მხარეებს იკვლევს, ფაშშიზმი კი სწორედ რომ სინამდვილის დამახინჯებაა, მისი გაყალბება.


ამიტომ ფაშისტები ცდილობენ შეაჩერონ მეცნიერული კვლევა-ძიების ძლევამოსილი პროგრესი.

მეცნიერებათა შემოტყვევისგან თავის დაზღვევის მიზნით ცდილობენ გააყალბონ მეცნიერება.

ამიტომ ფაშისტები ცდილობენ მეცნიერების ყოველ დარგში მოიკალათონ. ისინი ცდილობენ ყოველ მეცნიერებაში მოიდგან ფეხი და როგორმე შიგნიდან გააყალბონ იგი. ფაშისტები ამ საქმეს მეტად მალულად და ძნელად დასანახ ფორმებში ახორციელებენ.

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი წარბშეუხრელი გამბედაობით ეწევიან ფაშისტები ამისთანა შემთხვევაში სინამდვილის ფაქტების გაყალბებას, საჭიროა ერთი რომელიმე ასეთი ფაქტთაგანი ავიღოთ და მისი ფაშისტური „ინტერპრეტაცია“ განვიხილოთ.





ერთ-ერთს ასეთს ფაქტთაგანს წარმოადგენს. ეიდეტში, რომლის ტურ-რასული „ინტერპრეტაცია“ ცნობილია როგორც გერმანიაში, სადაც განსაკუთრებით მუშაობენ ამ საკითხის ირგვლივ, ისე დასავლეთის სხვა ქვეყნებშიაც საერთოდ.

რა არის ეიდეტში და რომელი მეცნიერების ფაქტებს მიეკუთვნება იგი? ეიდეტში ფსიქოლოგიური მეცნიერების ფაქტებს მიეკუთვნება. ეიდეტში ადამიანის გრძნობათა ორგანოების მუშაობასთანაა დაკავშირებული. ადამიანის გრძნობის ორგანოები კი განუწყვეტილად ეწევიან მუშაობას. განსაკუთრებით ადამიანის მხედველობაა ამ მხრივ აღსანიშნავი. საგნის დანახვა, საგნის ხედვა აუცილებელია, რომ ჩვენ ამ საგანზე ესა თუ ის ზემოქმედება ვავსწიოთ.

როცა ჩვენ საგანს ვხედავთ, მისი ყოველმხრივი აღწერა შეგვიძლია, რადგან ყოველი მისი შინაარსი უშუალოდ განიცდება ჩვენ მიერ. საგანი მოქმედებს ჩვენს გრძნობის ორგანოებზე უშუალოდ, და ჩვენც ამ საგნის სრული გრძნობადი შთაბეჭდილება გვეძლევა. ვიმეორებ, ასეთი ცოცხალი და მასთან ერთად სრული გრძნობადი შთაბეჭდილება მხოლოდ უშუალო ურთიერთობის პირობებში ეძლევა ადამიანს.

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ასევე ცოცხლად და სრულად განიცდიან საგანს მისი გაცლის შემდეგაც. საგანი აღარაა მათი გრძნობათა ორგანოების წინაშე, მიუხედავად ამისა ისინი წინანდებურად ხედავენ იმავე საგანს. ასეთ ადამიანებზე შედევვი ხასიათის ცდები იქნა ჩატარებული: ვაჩვენებთ მათ წინ მხედველობის ნორმალურ მანძილზე გარკვეული სიდიდის სურათი, რომელიც საკმაო რთული შინაარსისა იყო. რამდენიმე სეკუნდის შემდეგ (8—9 სექ.) ეს სურათი აიღეს და ცდის პირს მისი აღწერა მოსთხოვეს. ცდის პირმა სურათის შინაარსი იშვიათის დეტალობით გადმოსცა, რაც ჩვეულებრივი მეხსიერების პირობებში ყოვლად შეუძლებელია. გარდა ამისა გამოირკვა, რომ ეს პირი სურათის აღწერის პროცესში იმავე ადვილს მისჩერებოდა, რომელზეც ვგულვებოდა სურათი. ყველაფერი აჩვენებს, რომ სურათის გაცლას არავითარი ცვლილება არ გამოუწვევია: გრძნობათა ორგანოები კვლავ მოქმედ მდგომარეობაში განაგრძობენ ყოფნას და დასახელებული პირი იმ გრძნობითს შინაარსებს, რომლებსაც აღწერის პროცესში გადმოვცემს, უშუალოდ მოქმედი საგნიდან მომდინარე შინაარსებად განიცდის. მისთვის ყველაფერი ისე მიმდინარეობს, თითქოს შთაბეჭდილებები ისევე უშუალო მხედველობის გზით წარმოემოზოდეს.

აი, ასეთი მოვლენების აღსანიშნავად ეიდეტშია შემოღებული.

ეიდეტში არც ისე დიდი ხანია რაც ცნობილია მეცნიერებაში. სულ რამდენიმე ათეული წელია მის შემდეგ, რაც ამ საკითხის ირგვლივ კვლევა-ძიება დაიწყო (1907 წლიდან), და დღეს საკმაო ცნობები მოიპოვება მის შესახებ.

მიღებულია ეიდეტშიმის დაპირისპირება მეხსიერების მუშაობის სხვა ფორმებთან. ასეთებია ე. წ. თანამიმდევარი კვალი და წარმოდგენა. ესენიც ამა თუ იმ საგნის უშუალო ზემოქმედების შედეგად წარმოიშვიან ადამიანის ცნობიერებაში. როგორც ერთი, ისე მეორე დიდი ხანია ცნობილია მეცნიერებისათვის.



ამათგან ვიდეტიზმს უფრო უახლოვდება ე. წ. თანამიმდევარი კვალის მიმდევარი კვალიც თვალსაჩინო ქვერტაა იმ საგნისავე, რომელსაც უშუალოდ მიეჩნებოდით და ესესაა თვალთაგან მოგვაცილეს. ასე, მაგალითად, თუ ჩვენ ამა თუ იმ პიროვნებას ვაიძულებთ რამდენიმე სეკუნდის (40 სეკ.) განმავლობაში უტკიროს ამა თუ იმ ფერად ფიგურას, ვთქვათ კვადრატს, და შემდეგ კი ვადავტანივთ თვალს რუხ ან თეთრ ფონზე, იგი დაინახავს იმავე ფიგურას, ოღონდ ე. წ. შემუშავებულ ფერებში: თუ ფიგურა ლურჯი იყო—ყვეთელ ფერში, თუ მწვანე—წითელში.

სულ სხვაა ამა თუ იმ საგნისაგან მიღებული შთაბეჭდილების აღდგენა, რაც წარმოდგენის სახელწოდებით აღინიშნება. მართალია, წარმოდგენის დროსაც თითქოს თვალწინ ვაყენებთ ისევ ჩვენ მიერ ნახულ საგანს, მაგრამ ეს დაახლოებით და არა ისე, რომ მართლაც ვხედავდეთ იმავე საგანს, ამ სიტუციის პირდაპირი მნიშვნელობით, ისე, რომ შეგვეძლოს ამ საგნის გამოხატულების ლოკალიზაცია ჩვენ გარეთ, ვუჩვენოთ მისი ზუსტი მოხაზულობა, როგორც ეს ვიდეტიზმის დროს ხდება და სხვა. არა, ეს საგნის მკრთალი სახეებია, რომლებიც ხან უფრო ნათლად, ხან ნაკლებ ახლდებიან ხოლმე ჩვენს ცნობიერებაში და თანამიმდევარი კვალისაგან მკვეთრად განსხვავდებიან.

როგორც აქედან ჩანს, ვიდეტიკური სახეები განსხვავდება როგორც წარმოდგენითი სახეებისაგან, ისე თანამიმდევარი კვალის სახეებისაგან.

მაგრამ იმავე დროს ამკარაა, რომ მას ორივესთან აქვს ნათესაობა.

ვიდეტიზმის რასული „ინტერპრეტაციის“ გათვალისწინებისათვის აუცილებელია ჩამოეთვალათ ის ძირითადი თვისებები, რომლებიც ვიდეტიზმის ექსპერიმენტულმა შესწავლამ დაადასტურა. ასეთებია შემდეგი:

ვიდეტიზმი თავის ბუნებას ორი სახით ამჟღავნებს: მაღულად ანუ, როგორც ამას აღნიშნავენ, ლატენტურად და ღიად ანუ ამკარად.

ვიდეტიზმი ზოგ ვიდეტიკოსში თანამიმდევარ კვალს უახლოვდება თავისი ბუნებით, ზოგში—წარმოდგენას.

ვიდეტიზმი არ წარმოადგენს მასობრივ და ზოგად მოვლენას, როგორც თანამიმდევარი კვალი ან მენსიერებითი წარმოდგენები. ის დასრულებულ ადამიანთა შორის იშვიათად გვხვდება და უმთავრესად მას აქ გამოიკლვისის ხასიათი აქვს. უფრო ხშირად ვლინდება ვიდეტიზმი პრიმიტიულ ადამიანებში. მისი მასობრივი ვაგლენის ჰასაკი ბავშვობის ხანაა. აქ ის მასობრივ ხასიათს ატარებს. ბავშვებში სხვადასხვა ჰასაკზე ვიდეტიზმის გამოვლენის შემთხვევა ას პროცენტამდე აღწევს.

ამ ჰასაკობრივ დახასიათებას ერთვის ის თავისებურება ვიდეტიზმისა, რომლის მიხედვითაც მისი განსხვავებული სახეები კონსტიტუციის სპეციფიკურ აღნაგობასთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

ვიდეტიზმი, რომელიც წარმოდგენისკენ ისრება, სრულიად განსაზღვრული ტიპის კონსტიტუციის ადამიანებს აღმოაჩნდათ, ხოლო ვიდეტიზმი, თანამიმდევარ კვალს რომ მოგვავაონებს—სხვა ტიპის კონსტიტუციის ადამიანებს.

როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, ჰასაკი და კონსტიტუცია მნიშვნელოვანი ფაქტორი ყოფილა ვიდეტიკური ფენომენის გამოვლენის საქმეში.





როგორც დამტკიცებულად ითვლება, ეიდეტიზმი ქიმიურ ზეგავლენას ემორჩილება: ეიდეტიკოსი თავის ეიდეტურ უნარს ჰკარგავს, თუ მის ორგანიზმში კალციუმის საკმარისი რაოდენობა იქნება შეყვანილი, ოღონდ აქაც კონსტიტუციური განსხვავებანი გარკვეულ ურთიერთობაში იმყოფებიან ამ ფაქტის მიმართ: ერთნი ამ გავლენას ემორჩილებიან, მეორენი—არა.

მეცნიერება ეიდეტიკური მოვლენების შესწავლას სხვა მხრივაც მიუღდა, სახელდობრ, შემდეგი პრობლემის სახით: ახდენს თუ არა რაიმე გავლენას თვითონ ეიდეტიკური ფენომენი მეხსიერების იმგვარ გამოვლინებებზე, როგორიცაა თანამიმდევარი კვალი და მეხსიერებითი წარმოდგენა, რომელთაგანაც, როგორც აღნიშნა, თვითონ ეიდეტიზმი ხან ერთს უახლოვდება თავისი ბუნებით, ხან მეორეს. ცდებმა დაადასტურა, რომ ის ამ მიმართულებით დიდ გავლენას ახდენს.

თანამიმდევარ კვალს შემდეგი ახასიათებს: რაც უფრო შორს წავიდეთ ცდის პირისაგან ქაპროექციო ფონს სურათის გაცლის შემდეგ, მით უფრო დიდი ზომით გამოჩნდება ამ ფონზე ნაჩვენები სურათი (ემერტის კანონი).

ეიდეტიზმის გავლენა ამ შემთხვევებში იმაში იჩენს თავს, რომ თანამიმდევარი კვალის ნიადაგზე წამოჭრილი სახეობა სავნისა ემერტის კანონს აღარ ემორჩილება.

განსაკუთრებით აღნიშნავენ ეიდეტიკური ფენომენის გავლენას, ცოცხალს გრძნობითს შთაბეჭდილებებზე.

ცნობილია, რომ ამა თუ იმ საგნის ზედმოქმედების შედეგად წარმოშობილი შთაბეჭდილება საგნის სიდიდის შესახებ შედარებით უცვლელი რჩება მიუხედავად ჩვენსა და ამ საგანს შორის არსებული მანძილის გადიდებისა. საგნის დაშორება ჩვენი გრძნობათა ორგანოებიდან და დაახლოება განსაზღვრულ მანძილზე შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენს საგნის სიდიდის განცდაზე—იგი იმავე სიდიდისად გვეჩვენება მიუხედავად იმისა, რომ იმავე საგნის გამოხატულება სიდიდის მხრით თვალის ბადურაზე მანძილის შესატყვისად იცვლება: დაშორება ამცირებს მას, დაახლოება—ადიდებს.

ეიდეტიზმი ერთგვარ მონაწილეობას იღებს იმაში, რომ ჩვენი ცნობიერება საგნის შედარებითს უცვლელობას, პირობების ცვალების მიუხედავად, ინარჩუნებს, რასაც ადამიანისათვის დიდი ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ეს იცავს მას მრავალი მოსალოდნელი შეცდომისაგან და ამით თავდაცვითს შესაძლებლობებს უმატებს.

რაც შეეხება მეხსიერებითს წარმოდგენებს, არც ისინი რჩებიან ეიდეტიზმის ზეგავლენის გარეშე. მეხსიერებითს წარმოდგენებთან ეიდეტიკურ მოვლენებს შემდეგი ურთიერთობა აღმოაჩნდათ. გამოირკვა, რომ ეიდეტიკური ფენომენი სშირად პირდაპირ გადადის ხოლმე მასში: ეიდეტიკური სახეები წარმოდგენის სახეებად იქცევა. ასე, მაგალითად: ცდები ადასტურებენ, რომ საკმაოა რაიმე შეფერხება შევიტანოთ ცდების დროს, რომ მოხდეს ეიდეტიკური ფენომენის უშუალო შთაბეჭდილებაში (რომელსაც ვაძლევთ ცდის პირს) შერევის შეფერხება და მისი გადაქცევა წარმოდგენითს სახედ.



თუ ვიქონიებთ მხედველობაში ყველა იმ ცვლილებებს, რომლებსაც ვიდეტიზმი განიცდის ცნობიერების ზემოქმედებით მონაცემების მიხედვით, მაშინ იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ვიდეტიზმი მეტად მერყევი რამ არის.

ამასვე გვიდასტურებს ის ცდები, რომლებმაც გამოარკვია, რომ ვიდეტიზმი იცვლება თვითონ ცდის პირის მომენტალური მდგომარეობის მიხედვით, მაგალ., თავის რხევა, ან ცდის პირის მოძრაობა გავლენას ახდენს ვიდეტიკური სახეების მდგომარეობაზე (ბუსსე). რომელიმე კვადრატის მხედველობითი ფიქსაცია თანამიმდევარ კვალს იწვევს ბავშვის ცნობიერებაში ემერტის კანონის დაცვით, ხოლო უფიქსაციოდ მიღებული შთაბეჭდილება, ვიდეტიკური კანონების მიხედვით, ვლინდება საგნის გაცლის შემდეგ.

აი, ეს თვისებები უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, როცა ვიდეტიზმის რასულ „ინტერბრეტაციას“ ვეცნობით. ფაშისტები ცდილობენ ეს ფაქტები გააყალბონ. ამ ფაქტების გაყალბების საქმეში რასისტების აღვირახსნილობა მკაფიოდ გამოჩნდება, როდესაც ჩვენ ვავეცნობით, თუ რას ამბობენ ისინი ამის შესახებ.

რასისტები ცდილობენ დაგვაჯერონ, რომ ვიდეტიზმის არსებობა სულის უცვლელ ბუნებას გვითვალისწინებს. რომ თითქოს და სულიერი განვითარება შინაგან კანონზომიერებას ემორჩილება და მას მუდმივ ერთი და იგივე ხასიათი აქვს. ვიდეტიზმი, მათი აზრით, გარღვეული ფენომენია, რომლითაც სულის პირველადი გამოვლინება ხდება. შემდეგ ხდება ერთგვარი ინვოლუტია: ვიდეტიზმის წიაღიდან ერთი მხრით ზემოქმედი საგნის ასახულობის ფენომენები ჩნდება, რომლებიც რეალური შთაბეჭდილებების სახით იღებიან საფუძვლად ჩვენი ცნობიერების მუშაობას, ხოლო მეორე მხრით ამ საგნების ამსახველივე მეხსიერებითი წარმოდგენები, რის შემდეგაც თვითონ ქრება. ეს იმანენტური კანონია ადამიანის სულისა, და, მაშასადამე, გარე ზეგავლენისაგან იგი ყოველმხრივ დამოუკიდებელი და თავისუფალია.

აქედან გამოჰყავთ მათ ყველა იმ ფაქტების ახსნა, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი. მაგალითად, ის გარემოება, რომ ვიდეტიზმი საბავშვო ჰასაკში გვხვდება უმთავრესად და აიხსნა შემდეგ და სხვ.

მაშასადამე, ვიდეტიზმი სულის კონსტიტუტური თვისებაა, რომელიც გარღვეული და აუცილებელია. ეს გარდასვლები ვიდეტიზმიდან ცნობიერების სხვა ფენომენებისკენ სულის თანდაყოლილი ტენდენციაა. ის შიგნიდან სრულდება.

ამიტომ რასისტები ამ ვიდეტიკურ თვალსაჩინო სახეებს, რომლებსაც სუბიექტურ თვალსაჩინო სახეებს უწოდებენ, პირველად არადიფერენცირებულ, ჯერ კიდევ გაუნაწევრებელი განცდის სახით წარმოიდგენენ, რომელიც, შინაგანი განვითარების კანონების მიხედვით, განაწევრებისა და თანდათან დიფერენციაციის გზას ადგება. ამ გზაზე ერთი მხრით საგნის უშუალო ასახულობის ფუნქცია ვითარდება, ხოლო მეორე მხრით მეხსიერებითი ფუნქცია.

ეს ფაშისტური ცრუმეცნიერული ლაყობაა, რაშიაც შეიძლება დარწმუნდეს ადამიანი ზემომოყვანილი ფაქტების სრულიად ზერელე გათვალისწინების შემთხვევაშიც.





მხოლოდ უბრალო დაპირისპირებაც საკმარისია ზემომოყვანილი ხელისუფლებისა ურთიერთის მიმართ, რომ გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ. რა გავქვს სინამდვილეში, რაზე მიგვიითიბებენ ეს ფაქტები ნამდვილად?

ეს ფაქტები მიგვიითიბებენ, რომ ვიდეტიზმის არსებობა კი არ ეწინააღმდეგება რომელიმე მატერიალისტურ დებულებას; ზოგი მისი გამაპირობებელი ფაქტორი მხოლოდ მოჩვენებითი გზით კი არ გვიწვევს მატერიალისტური თვალთახედვით ვიდეტიზმის გარჩევისაკენ, როგორც ამას ზოგი რასისტი აღნიშნავს (იენ ში), არამედ ვიდეტიზმი თვითონ წარმოადგენს მატერიალისტური თვალთახედვის სისწორის უტყუარ საბუთთაგანს და ყოველი მხარე მისი გამოვლენისა მხოლოდ იმაზე მიგვიითიბებს, რომ ისიც სწორედ იმგვარადვე, როგორც ყოველი სხვა ფსიქიური ფუნქციათაგანი, მხოლოდდამხოლოდ ლენინური ასახვის თეორიის საფუძველზე ხდება გასაგები.

მართლაც, რაზე მიგვიითიბებს ის გარემოება, რომ ვიდეტიზმი პირველყოფილ ადამიანებში და შემდეგ განსაკუთრებული მასშტაბით ბავშვთა შორის გვხვდება, ხოლო მოსრულებულ პასაკში იშვიათად ან უმეტესად სულ არ გვხვდება.

ეს მიგვიითიბებს იმაზე, რომ ადამიანის საწარმოო ურთიერთობის გართულების განსაზღვრულ საფეხურებზე, რომელზეც წარსული შთაბეჭდილების შემონახვის მოთხოვნები გაჩნდა, მეხსიერების იმ პრიმიტიულ სახეებს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც მიღებული შთაბეჭდილების ჯერ კიდევ ხელუხლებ პასიურსა და ინერტული მდგომარეობის სახით არსებობას მისცემდა გზას.

გამოცდილების უფრო მაღალ საფეხურზე, რომელზეც საჭირო შეიქმნა ამ გამოცდილების ერთგვარი სისტემატიზაცია და განსაზღვრული თვალსაზრისით კლასიფიკაცია, თვით მეხსიერების სახეც უნდა შეცვლილიყო და მეხსიერების მონაცემებისადმი უფრო აქტიური დამოკიდებულების საფუძველზე შემუშავებულიყო მეხსიერების სახეობა, რომელშიაც ეს დანაწევრებითი და შერჩევითი მიდგომა შესატყვის უკუფენას იპოვიდა. ამ საფეხურზე მეხსიერებას უნდა მისცემოდა ისეთი სახეები, რომლებშიაც ეს შერჩევითი დამოკიდებულება და ერთგვარი ეკონომიის პრინციპი (რადგან ყველაფრის უკლებლივი შემონარჩუნება ისევე დამაბრკოლებელია, როგორც დაუმასხვრებლობა) თავის გამოხატულებას იპოვიდა.

მეხსიერებითი წარმოადგენა სწორედ ასეთია. იმით ადამიანი ზემოქმედი სავნიდან ინარჩუნებს ძირითადად და კერძოულის ინერტული მოძალებისგან თავს ითავისუფლებს.

რომ შორს აღარ წავიდეთ ამ მიმართულებით, ამითაც დავკმაყოფილდეთ და ზემომოყვანილი ფაქტები გავიხსენოთ, დავრწმუნდებით, რომ ეს სწორედ ასეა. მართლაც, რომელი ფაქტი შეიძლება დავასახელოთ ზემომოყვანილი ფაქტებიდან, რომ ეს არ მტკიცდებოდეს მისი მეოხებით?

ავიღოთ ცდა შეფერხების შესახებ. ვიდეტიზმი შეფერხების შემთხვევაში წარმოადგენით სახედ იქცევა. აქ ამჟამად ჩანს საჭიროების, მოთხოვნების განსაზღვრული ძალა ვიდეტიზმის გარდაქმნის საქმეში.







И. Талахадзе

## Политическая экономия фашизма

„Анатомию буржуазного общества нужно искать в политической экономии“ (Маркс, „К критике политической экономии“. Предисловие).

Монополистический капитализм. Сращивание денежного капитала с промышленным и торговым. Акционерное общество. Рантье. Капитаны (вожди) промышленности. Загнивание капитала. Гнет монополий.

В конце XIX столетия в экономической структуре капиталистического хозяйства произошли характерные изменения, составившие поворотный момент в развитии этой системы и всей ее идеологической надстройки.

Характеризуя эти изменения, Ленин пишет:

„Старый капитализм, капитализм свободной конкуренции с безусловно необходимым для него регулятором, биржей, отходит в прошлое. Ему на смену пришел новый капитализм, носящий на себе явные черты чего-то переходного, какой-то смеси свободной конкуренции с монополией. Естественно напрашивается вопрос, к чему „переходит“ этот новейший капитализм, но поставить этот вопрос буржуазные ученые боятся“<sup>1</sup>.

Сущность капитализма—эксплуатация огромной массы трудящихся кучкой монополистов средств производства—остается и даже значительно усиливается, углубляется; изменяются лишь формы и методы этой эксплуатации, этого организованного ограбления; изменяется органическая структура капиталистического хозяйства, преимущественное перераспределение массы прибавочной стоимости между отдельными группами и гигантами производства.

Так как капиталистическое хозяйство по своему характеру общественное, но присвоение в нем частное, то для выполнения обеих функ-

<sup>1</sup> Ленин, Империализм, как высшая стадия капитализма, стр. 33.





дый требуется особая структура хозяйства, в которой эти тиворечивые функции слились бы в одну систему, выполнялись бы одной организацией.

Производство и обмен являются лишь различными моментами добывания прибавочной стоимости; они друг от друга неотрывны. Получение прибавочной стоимости немислимо без производства товаров так же, как и без их реализации.

Производство и реализация товаров это — двуединный процесс, неразрывное единство двух действий, без которых невозможно капиталистическое присвоение. Фабрика и биржа это — две части одного и того же процесса производства прибавочной стоимости, это — два элемента капиталистического тела.

Обращая наше внимание на этот существенный момент, Ленин пишет:

„Капитализм в его империалистической стадии вплотную подводит к самому всестороннему обобществлению производства, он втаскивает, так сказать, капиталистов, вопреки их воли и сознания, в какой-то новый общественный порядок, переходный от полной свободы конкуренции к полному обобществлению. Производство становится общественным, но присвоение остается частным. Общественные средства производства остаются частной собственностью небольшого числа лиц. Общие рамки формально признаваемой свободной конкуренции остаются, и гнет немногих монополистов над остальным населением становится во стр раз тяжелее, ощутительнее, невыносимее“<sup>1</sup>.

Из сказанного явствует, что капиталистическое производство переросло рамки биржевой формы реализации и распределения, выросло из костюма свободной конкуренции — этой единственно капиталистической формы распределения прибавочной стоимости; производство становится в резком противоречии с существующими формами распределения, но интерес капиталистов, собственников средств производства не позволяет ликвидировать эти рамки, не допускает смены частного присвоения (планового распределения).

Типичным выражением новой черты новой формы развития капитализма является господство монополии.

„Конкуренция превращается в монополию. Получается гигантский процесс обобществления производства. В частности обобществляется и процесс технических изобретений и усовершенствований“, — пишет Ленин.

Конец XIX и начало XX столетий Ленин характеризует, как период окончательного укрепления монополий и господства финансового капитала.

<sup>1</sup> Ленин, Империализм, как высшая стадия капитализма, стр. 21.



94135741  
189#110933

Рост монополий в Германии шел следующим образом: в 1896 г. их было около 260, в 1906 г.—385, в 1908 г.—500, в 1913 г. свыше 600, в 1924 г.—2.500 в промышленности и 580 в торговле, в 1927 г. свыше 4.000. Еще быстрее рос удельный вес монополии в отношении продукции: так, например, в Германии доля промышленной продукции монополии в 1930 г. составляла:

в горной промышленности . . . . .	90%
в калийной промышленности . . . . .	98%
в электротехнической . . . . .	86%
в тяжелой индустрии . . . . .	85%
в среднем же по всей промышленности страны	65%.

В США: в антрацитовый . . . . .	90%
в алюминиевой . . . . .	100%
в автомобильной . . . . .	83%
в радиосвязи . . . . .	100%.

За последние 10 лет концентрация капиталов в США усилилась еще больше, как это видно из следующей заметки:

„Опубликованные американским агентством Юнайтед пресс данные говорят о сильной концентрации капитала в Соединенных Штатах Америки. Согласно этим данным, в США имеется 28 концернов, из которых каждый распоряжается капиталом свыше миллиарда долларов. Общий их актив составляет 56,5 миллиарда долларов, а их кассовая наличность—7,2 миллиарда долларов. Из этих концернов 8 являются банками и 7—страховыми компаниями; они вместе держат свыше 8 миллиардов в государственных ценных бумагах. 13 промышленных, железнодорожных компаний и компаний, владеющих предприятиями общественного пользования, получили в 1939 г. чистого дохода 628,7 миллиона долларов, против 374,8 миллиона долларов в 1938 г.

О том, в какой мере кучка монополистов захватила в свои руки американскую промышленность, свидетельствуют цифры 1936 года—последнего года, за который имеется подробная статистика. Общее число компаний, плативших подоходный налог, составило 415.654; получили они вместе 7,6 миллиарда долларов чистой прибыли. Из этих компаний менее 0,2% (751 фирма) собрали почти  $\frac{2}{3}$  всех прибылей<sup>1</sup>.

В Англии: в алюминиевой . . . . .	100%
в черной металлургии . . . . .	42%
в судостроении . . . . .	56%
в основной химии . . . . .	95%
в синтетически-азотной . . . . .	100%.

<sup>1</sup> „Спутник агитатора“, № 11. 1941 г.





